ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№4 (34)

აპრილი, 2016 წელი

თბილისის მე-2 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

The 2nd Tbilisi International Festival of Literature

Tbilisi
International
Festival of
Literature

ფასი 5 ლარი

№4 (34) აპრილი, 2016 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ხათუნა ბარქაია, დავით ღოლიჯაშვილი, ნიკა ჯორჯანელი, ოქტაი ქაზუმოვი, თამარ კოტრიკაძე, ლია სტურუა, ლელა სამნიაშვილი, პაპუნა გიორგაძე, დალილა ბედიანიძე, გივი ჩიღვინაძე, ელგუჯა მარღია, რუსუდან რუხაძე, მაკო ჯანჯიბუხაშვილი, მაია ტურაბელიძე, დავით ანდრიაძე

გამომცემლობა – «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ–ფოსტა: saungeo@gmail.com

1. ნომრის თემა

პროგრამა

16 მაისი

18:00 შეხვედრა ნინო ხარატიშვილთან (გერმანია/ საქართველო) ენა: ქართული / **მწერალთა სახლი**

19:30 შეხვედრა ლუდვიგ ლაჰერთან (ავსტრია) ენა: გერმანული/ქართული / **მწერალთა სახლი**

21:00 ფესტივალის გახსნა: პოეტური ჯემი + ჯაზი (ყველა მონაწილე პოეტი) / **მწერალთა სახლი**

22:00 ახალგაზრდა ქართველი პოეტების მარათონი / ენა: ქართული / **მწერალთა სახლი**

17 მაისი

18:00 დისკუსია: ქალი მწერლები აქტივიზმის ზღვარზე. თამთა მელაშვილი (საქართველო), ჰასმიკ სიმონიანი (სომხეთი), ესთერ ნაომი პერკვინი (ნიდერლანდები). მოდერატორი: თათა ცოფურაშვილი / ენა: ინგლისური/ ქართული / **ფრონტლაინ კლუბი**

18:30 პოეზიის საღამო: სერხიო ბადილია კასტილიო (ჩილე) და კრისტიან კარლსონი (შვედეთი) / ენა: ესპანური/ შვედური/ქართული / **კავკასიური სახლი**

19:30 შეხვედრა დიბისი პიერთან (დიდი ბრიტანეთი) / ენა: ინგლისური/ქართული / **მწერალთა სახლი**

21:00 პოეზიის საღამო: იური ანდრუხოვიჩი (უკრაინა), ტადეუშ დაბროვსკი (პოლონეთი) / ენა: უკრაინული/ პოლონური/ ქართული / **მწერალთა სახლი**

18 მაისი

17:00 სერხიო ბადილია კასტილიოს (ჩილე) შეხვედრა სტუდენტებთან /ენა: ესპანური / **თსუ – V კორპ. აუდ. 3**

17:00 კრისტიან კარლსონის (შვედეთი) – შეხვედრა სტუდენტებთან / ენა: შვედური / **თსუ – სკანდინავისტიკის ცენტრი**

18:30 პოეზიის საღამო: იასუჰირო იოცუმოტო (იაპონია) და ესთერ ნაომი პერკვინი (ნიდერლანდები) / ენა: იაპონური/ ნიდერლანდური/ ქართული / **კავკასიური სახლი**

19:30 პოეტ ლია სტურუას საღამო და წიგნის პრეზენტაცია / ენა: ქართული / **მწერალთა სახლი**

21:00 შეხვედრა მწერალთან: დიმიტრი ბიკოვი, მოდერატორი შოთა იათაშვილი / ენა: რუსული/ქართული / **მწერალთა სახლი**

19 მაისი

15:00 სტუდენტების შეხვედრა იასუჰირო იაცუმოტოსთან / ენა: იაპონური / **თავისუფალი უნივერსიტეტი**

18:30 კავკასიური საღამო: ჰასმიკ სიმონიანი (სომხეთი), სეიმურ ბაიჯანი (აზერბაიჯანი) და ლელა სამნიაშვილი (საქართველო) / **კავკასიური სახლი**

19:00 დიბისი პიერის შეხვედრა ილიაუნის სტუდენტებთან / **წიგნის სახლი «ლიგამუსი»**

20:00 დისკუსია: საბჭოთა ინერცია პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში – იური ანდრუხოვიჩი (უკრაინა), დიმიტრი ბიკოვი (რუსეთი), სეიმურ ბაიჯანი (აზერბაიჯანი), ლევან ბერძენიშვილი (საქართველო) / ენა: რუსული/ქართული / **მწერალთა სახლი**

21:30 პოეზია: პროექტი «მტრები» – ბრიტანეთი/ საქართველო ზურა ჯიშკარიანი, ლია ლიქოკელი, ზაზა კოშკაძე და სტივენ ფაულერი, ელი უილიამსი, ლიუკ კენარდი / ენა: ინგლისური/ქართული

20 მაისი

18:00 შეხვედრა მწერალთან: სადიკ იალსიზუჯანლარი (თურქეთი) / ენა: თურქული/ქართული / **მწერალთა სახლი**

19:30 სიუზენ შილინგლოუს (აშშ) ლექცია ჯონ სტაინბეკის შესახებ / ენა: ინგლისური/ქართული / **მწერალთა სახლი**

21:00 შეხვედრა მწერალთან: ეთგარ კერეთი (ისრაელი), მოდერატორი დათო ტურაშვილი / ენა: ინგლისური/ ქართული / **მწერალთა სახლი**

22:30 პოეზიის ღამე / **მწერალთა სახლი**

21 მაისი

13:00 შექსპირი ბავშვებისთვის: «ზაფხულის ღამის სიზმარი» – ვასო გულეური, დავით გაბუნია / ენა: ქართული / **მწერალთა სახლი**

15:00 შეხვედრა ახალგაზრდა მკითხველთან – გიორგი კეკელიძე – «პირადი გამოცდილება, როგორც ლიტერატურა» / **მწერალთა სახლი**

17:00 პოეზიის საღამო: ალექს გალპერი (აშშ) / ენა: რუსული/ ქართული / **მწერალთა სახლი**

19:00 ეთგარ კერეთის შეხვედრა ილიაუნის სტუდენტებთან / **წიგნის სახლი «ლიგამუსი»**

21:00 ქართული ფილმის ჩვენება მუსიკის თანხლებით. «ქალი ბაზრობიდან» (1928). რეჟისორი გიორგი მაკაროვი.

გადაღებულია ო’ნილის პიესის «სიყვარული თელებქვეშ» მიხედვით / **მწერალთა სახლი**

იასუჰირო იოცუმოტო

(იაპონურიდან თარგმნა ხათუნა ბარქაიამ)

პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურული კრიტიკოსი. დაიბადა 1959 წელს ოსაკაში და იზრდებოდა ჰიროსიმაში. პირველი პოეტური კრებული «მოცინარი ხოჭო» 1991 წელს გამოიცა. სულ გამოცემული აქვს 11 პოეტური კრებული. არის არაერთი ლიტერატურული პრემიის მფლობელი იაპონიაში. მისი ნაწარმოებები ნათარგმნია 20-ზე მეტ ენაზე. იასუჰირო იოცუმოტო იაპონურად თარგმნის როგორც ისეთ ცნობილ კლასიკურ ავტორებს, როგორებიცაა ედგარ პო, დანტე, რილკე, ემილი დიკინსონი, ასევე თანამედროვე და ზოგჯერ ნაკლებად ცნობილ პოეტებს. იოცუმოტო ასევე წერს რომანებს, ესეებს, კრიტიკულ წერილებს თანამედროვე ლიტერატურაზე. 2015 წელს ერთდროულად გამოიცა მისი

პირველი რომანი «ყალბი პოეტი» და ლიტერატურული ესეების კრებული «ძვირფას პოეტებს».

2006 წლიდან იოცუმოტო არის «Poetry International»-ის გამოცემის იაპონური პოეზიის განყოფილების რედაქტორი. იასუჰირო იოცუმოტო 1986 წლიდან გერმანიაში, მიუნხენში ცხოვრობს.

ომოტენაში

ერთი მონოქრომული საემიგრაციო ოფიცერი ვარ.
მგონია ყველა უცხოელი დემონია
და ვიცავ ამ კუნძულის უმანკოებას.

კოსმოპოლიტური აზროვნების მქონე შინტოისტი
მღვდელი ვარ.
სარიტუალო ლოცვას ინგლისურ, ფრანგულ და
გერმანულ ენებზე აღვავლენ, შესაწირსაც უცხოურ
ვალუტაში ვიღებ და
ჩემი ოცნებაა მსოფლიო ფუნდამენტალისტებთან სუმოს
ორთაბრძოლის
გამართვა ტალახში.

გლობალიზმის წინ აღმდგარი ფარული ფოტოგრაფი ვარ.
ამ პლანეტაზე შემორჩენილი საზღვარი მხოლოდ
ქალის ქვედაბოლოს წყვდიადშია შემორჩენილი.

დამწყები თვითმკვლელი ვარ.
თუ ამ ცხოვრების ამაოების ბორკილებს თავს დავაღწევ,
რეინკარნირებული «მე» ახალ ცხოვრებაში ვალსსაც
იცეკვებს.

მიწისძვრაზე მეოცნებე პროგნოზისტი ვარ.
ის კი აუცილებლად მოვა. და თუ მოვა, უცილობელ
უამრავი სიცოცხლე შეეწირება.
მაშ წავიდეთ იოშინოიაში[1].

მონდომებული პროკურორი ვარ.
ვგლოვობ მკვლელობის მსხვერპლს,
თანავუგრძნობ დამნაშავეთა ცხოვრებისეულ
გარემოებებს,

შეყვარებული ვარ მოსამართლის მანტიაზე, რომელიც
სხვისი სატრფოა.

მომენტებში ცეცხლის მალული გამჩაღებელი ვარ.
ალი, რომელიც შეიგრძნობს ცივ ჰაერს, ძლიერ უხდება
ქაღალდითა და ხით ნაშენებ ამ ქვეყანას.
ხანძრის ზარები და მხიარული მაყურებლები
ამ ცხოვრების სიცოცხლის ნიშნებია.

ნანომეტრული მოძილა ვარ.
პირიდან საყვარელ გამოსხივებას ვაფრქვევ
და მოლეკულებზე წავბორძიკდები ხოლმე კიდეც.
შენს უჯრედებში ვმძვინვარებ.

ნაციონალისტი ვარ გაღიზიანებული ნაწლავის
სინდრომით.
აქ მშვენიერია, აქ მშვენიერია – ასე თუ გავაგრძელებ
გამეორებას,
აყროლებულ ტუალეტსაც კი ვარდის სუნი აუვა.

კიდევ ერთი იმპერატორი გახლავართ.
წარმოსახვითი სულაც არ ვარ.
რომ ვიყო, განა შევძლებდი პაჩინკოს[2] ბურთების ასე
სროლას?!

ენისა და მეტყველების სკეპტიკური სპეციალისტი ვარ.
ლოგიკაზე მაღლა ემოციები რომ დგას ამ ქვეყანაში,
სიტყვებს განა რაღა ძალა აქვს?

კონსტიტუციის მეცხრე მუხლის[3] მიმართ
პათეტიკურად განწყობილი ადამიანი ვარ.
საბოლოო ჯამში მაინც ერთი ტვიტით, ერთი დაწკაპუნებით
ზედ გადამაწერ ამ მუხლს, ხომ ასეა?

ტანდაბალი და ახლომხედველი წინასწარმეტყველი ვარ.
ამიტომაც საკუთარ ხელზე ვკითხულობ მომავალს.
თუმცა, შესაძლოა, სწორედ აქ ამოვიკითხო ყველაფერი ამ ეპოქის შესახებ.

იმედგაცრუებაზე მოფიქრალი სკოლის მოსწავლე ვარ.
ოცნების რუკა დახატეთო, დაგვავალა სასაკლაოზე მიმავალი
ძროხის თვალებით მომზირალმა მასწავლებელმა.

კაცის მოკვეთილი თავი ვარ.
თავმდაბლობითა და თავაზიანი სიტყვებით შენიღბული.
ანთებულია თვალები ჩემი.
ასე ვარ მოთავსებული კულტურისა და განათლების სამინისტროს
მთავარ შესასვლელში.

მობარბაცე ქალბატონი ვატანაბე[4] ვარ.
იაპონიის ბანკის მმართველის ერთმა დაუდევარმა სიტყვამ
აქციების ფასის სრული ცვლილება და ჩემი გაბანკროტება გამოიწვია.
ახლა 1400 ტრილიონი იენის აქტივები სვავების ხელშია.

ერთი მოკრძალებული უსახლკარო ვარ.
სმარტფონებით მოსიარულე ხალხის ულევ ნაკადს ვაკვირდები
და თვალის დახამხამებით თითქოს ტომოგრაფიას ვუკეთებ.

სუშის ესთეტიკური მზარეული ვარ.
მონადირებული სიცოცხლეებით საჭმელ
ძვირფასეულობას ვამზადებ.
რესტორანში ნამდვილი რენუარის დაკიდება ჩემი ოცნებაა.

კოლექტიურ ცნობიერებაში მოხეტიალე მოხუცი ვარ.
ნავიგაციის სისტემით მომდიეთ კვალდაკვალ.
ალბათ ამომავალი სულის სილუეტსაც დაინახავთ!

მაღაზიის ღამის მენეჯერი ვარ.
დედამიწაზე უკვე აღარავინ დარჩა.
სანამ ჟურნალების ყდებიდან გოგონები მიყურებენ,
ოდენს[5] ცოტაოდენ სუპს დავუმატებ.

სიმართლის მიმდევარი სტალკერი ვარ.
ალბათ უკვე მალე გამოვა ის ქალი მეტროდან
ნაბიჯებით, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ
მას წარმოდგენაც არ აქვს, თუ რას მალავს საკუთარ თავში.

9784014400107 ვარ.
წინა ცხოვრებაშ 9784014400106 ვიყავი.
იმედს ვიტოვებ, მომავალ ცხოვრებაში ანონიმური რწყილი ვიქნები,
თუმცა ვიცი, ალბათ მაინც 9784014401108 გავხდები.

ანორექსიით დაავადებული პოეტი ვარ.
დანაყრების ეპოქაში დაბადებულს
ჭამისთანავე მაღებინებს.
რომ ვაფრქვევ, ეს რა არის? სიტყვები თუ ნარწყევი?

ორმხრივ სიმეტრიული დალაქი ვარ.
სარკის წინ სამართებლით ხელში ვდგავარ
და შუადღის დადგომის ნიშანს ველი.

უამრავი სახე მაქვს,
თუმცა მაინც მარტო ვარ საკუთარ თავთან.
ასე ვდგავარ კარაოკეს ოთახის სარკეებიან კედლებს შორის
და შენს მობრძანებას ველი.

მხედველობის ორგანოთა განვითარების შესახებ

ნათქვამია, ასოს წვერით უნდა შეგეძლოს იმის გარჩევა,
ქალის ენაზე მდნარ ნაყინს
ტრუფელიანი მწვანე ჩაის გემო აქვს
თუ სეზონური «კასისის»[6], მაგრამ...

მზის სათვალეები გვიკეთია და შუადღის მზეზე
ვსაუბრობთ დედამიწისეული სიცოცხლის
პირველადი ფორმების თვალით დანახულ სამყაროზე.

ხელის გაშვერით სულ რომ მითითებდი
და მაყურებინებდი დინოზავრის ნარჩენების მსგავს
გემის ჩონჩხზე, რომელიც ნაპირის მოშორებით მოსჩანს
და ჰაერში მოლივლივე ხეზე.

როგორი შიშისმომგვრელი უნდა იყოს
მოულოდნელი შუქი სრულ უკუნეთში
და მასში გამოსახული სახეები.
მაგრამ ვაითუ ერთ-ერთი მათგანი შენ გეკუთვნის...

მრავალწლიანი პროგრესის შემდეგ
თვალებდახუჭული მარტო ვიხსენებ
იმ დღეს ველოსიპედზე მჯდომარეს
ნარინჯისფერი კაბა რომ გიფრიალებდა.

სახელოს ჭრილიდან ვუმზერდი
შენი ბიუსტჰალტერის პრიალა ნაჭერს.
რამდენი რამ იყო დამოკიდებული
იმ ლურჯ ფერზე.

მამის პორტრეტი

მეხანძრის ტანსაცმელში გამოწყობილები
სხედან მამაკაცები მიწაზე

გამჭვარტლულსახეებიანი სხედან
ნახანძრალთან ზურგშექცევით.

ნეტავ რაზე ფიქრობენ?
არცერთი მათგანი არ იღებს ხმას.

ქალის მომზადებული თბილი სადილიდან და
ფანჯრის რაფაზე დალაგებული ნიჟარებიდან შორსმყოფნი

მოდუნებულნი ჩანან
სიბნელით, დაღლილობითა და მარცხით გარემოცულნი.

თითქოს საკუთარ სახლს მიაგნოო,
მარჯვნიდან მესამეს მუხლზე ჩაფხუტი ჩამოუდია.

ნაწილობრივ გაპარსული სახით
ყმაწვილი უჩუმრად წინასწარმეტყველებს შენზე.

დედისერთას ხუთხაზიანი ლექსი

დედა მოციმციმე სტადიონია.
მამა 65 000 გულშემატკივარი
და მორბენალი მოთამაშეები
...

მე კი ღამის ცაში ატყორცნილი ბურთი.

*

მამა მისაღებ ოთახში ტყავის ტახტზე მოთავსებული
ტელევიზორის უზარმაზარი და უთხელესი ეკრანიდან
წინასწარმეტყველებას ისმენს.
დედა კი ბაბუას ფირსაკრავის ჰანგებზე
მელანქოლურ ტანგოს ასრულებს.

*

მამას ტვინის სივრცეებში
ავდრიან ღამეში დამწყვდეული ხარივითაა
მიჯაჭვული ბრაზი.
დედას კი სულ ამაოდ სჯერა რომ
სიყვარულია მისი წამალი.
მაგრამ მენდეთ, ის მატადორია.

*

დედა, ყურეში შემოვიდა
პავლონიას[7] ხის პატარა ნავით,
რომელიც დილის ნისლს მშრალი ყინულივით მოაპობდა.
ის მთელი ცხოვრება გასცემდა იმას,
რასაც მისგან ითხოვდნენ და
მისი პირველი სიყვარული ვარ მე!

*

ყოველდღე, როდესაც თვალს ვახელ,
ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურება.
დედა ამბობს, ყოველდღიურად ტანს იყრი და იმიტომო.
ქვიშის მტვერი წამოიშალა ჰორიზონტს მიღმა.
დაკარის რალია ნეტა თუ კამეჩების ნახირი?
არა დედა! ცდები! ეს მამების სისხლის კვამლია!

*

მამა პირველი კლასის არქიტექტორია.
«შენი სტრუქტურული გეგმა ჩემი დაწერილია.
ნუ იღელვებ! სეისმურად მედეგი ხარ!»
ღიმილით მეუბნება ხოლმე.
თუმცა, ჩემი სხეული რყევას განაგრძობს.
აი, ფეხის თითებს შორის მიწაც კი
ლამისაა ამოიფრქვეს!
მეტი საყრდენი დამიმატე!
ეს ხომ შენი მოწოდებაა!

*

მამის არსის შეუცნობლად ქუჩაში
შუახნის მთვრალ მამაკაცებს თავს ვესხმოდი.
დედის არსის შეუცნობლად
«ვეჩეთავებოდი» ზრდასრულ ქალებს.
ჰეისეის[8] ეპოქის ოიდიპოსები უკან ბრუნდებიან.
მდინარეზე გადებული რკინიგზის
სევდით მოცული ლიანდაგები
გუნდურად მოსთქვამდნენ.
ფენიქსის საიდუმლოს ამოხსნას
მოდი, ვიკიპედიასა და კომპიუტერებს მივანდობ.

*

ყოველთვის, როდესაც ირმებზე ვნადირობ,
ჩემი უფროსი და მახსენდება,
ამქვეყნიური ცხოვრება რომ არ უნახავს.
ის რომ ყოფილიყო, ერთ ლექსსაც არ დავწერდი,
ერთხელაც არ მომიწევდა გაწითლება.

*

სამოგზაუროდ მივემგზავრები!
პირველ პირში მამის ნაჩუქარი
ბეისბოლის ბიტით ხელდამშვენებული
და მეორე პირში დედის ნაჩუქარ
ცხენზე ამხედრებული
მივეშურები მაცივრის კარს მიღმა
ცისფერ მესამე პირში.

ეძღვნება მამაჩემის ხსოვნას

«წვიმიანი დღეები მირჩევნია,
გული ვეღარ უძლებს
ნათელ, მზიან დღეებს»
თქვა მან ერთხელ ვამპირივით.

სწორედ იმ დროიდან იყო,
უნიტაზზე მჯდომარემ რომ დაიწყო მოშარდვა
ოჯახის წევრებს არაფერს გვეუბნებოდა
და ქაღალდსაც აშრიალებდა
ხმა რომ გადაეფარა.

დივანის გადასაფარებლის გამოძენძილ ძაფს
ისე დასცქეროდა როგორც მოხუცი ქალი
წმინდა სამოსელის ბოჭკოებს.

როგორც პიანისტი
მხოლოდ თითებს ამოძრავებდა
მოუსვენრად და თან
კალციუმისფსკერიანი ელექტროჩაიდნის
დუღილის ხმას უსმენდა ყურადღებით.

კრისტალების წარმოების საზოგადოების
უფროსსაც მისწერა წერილი რომელშიც
სიტყვები «მადლი» და «სისასტიკე»
ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენა.

«სამი წლის ბავშვსაც მოელის ცხოვრების ბოლო წლები»
აღმოხდა ერთ შუადღეს ძილის დროს.

დედაჩემისგან განცალკევებით მძინარეს
სადგურის გზაზე მდგარი ერთი უსახური
ელექტროგადამცემი ბოძიც შეუყვარდა.

დრო იყო ჩრჩილი შიშის ზარს სცემდა
ახლა კი სულ გაუქრა ეს შეგრძნება და
განათების ქვეშ მათთან ერთად
ცეკვაც კი გაბედა.

სავსე ცხოვრებით მცხოვრებმა კაცი
რომელმაც მაილების დაგროვების ბარათზეც[9] კი უარი თქვა
სიცოცხლის ბოლო დღემდე დღიურის ფონტებს ცვლიდა.

და ბოლოს ალბათ უმნიშვნელოვანესი
«იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი»
სრულად შეეძლო ემღერა!

ნაკვალევი

ჩემში მინდა გათოვდეს
საქათმის სახურავი და
გზები დაფაროს რომელზეც
გამვლელები დაიარებიან
ნაზად მოეფინოს თოვლი
მაღალი კოშკის წვერს
ჩემში მინდა გათოვდეს
დაათოვოს სილამაზესა და სიმახინჯეს
ორივეს ერთნაირი მოხრილი სილუეტი მისცეს
ჩურჩული სიცილი ტირილი
წარმავალი დღეების მელოდიები
მიჩუმდეს ჩემში ყველა.
(თუმცა შეშა გააგრძელებს ტკაცატკუცს...)
მერე მინდა გავიარო
ქალაქის გარეუბნამდე
და ნახევრად გადათეთრებულ
ველზე დავიჩოქო.
თოვლის ქვეშ მიმავალი
წყლის ხმა მინდა მოვისმინო
თუნდაც გავიყინო
და თუ იქ ერთი ფეხის ნაკვალევს
მაინც მივაგნებ –
დაუცველობაში ჩამალულ
ჭეშმარიტების სიმბოლოს –
მინდა ჩემში გათოვდეს

ღრუბელი აღმართის თავზე

-1-

მოთხრობაში აღმართის თავზე ღრუბელი
მორჩილად ცდილობს იყოს
ღრუბლების ნაწილი.
ჩიტისთვის, მოთხრობის გარეთ რომ დაფრინავს
წვიმაა, დარია თუ
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა,
ღრუბელი ღრუბელზე მეტია.

ისტორიების მოყოლით შეპყრობილი ადამიანები
სიტყვების ჟანგიან მოქლონებს ტყორცნიან ირმის
ნახტომს,
რომელიც დიდი აფეთქების მერე არც შეცვლილა.
ზღვის სანაპიროზე ქვიშაზე სახეები
იხატება და ირეცხება, კვლავ
იხატება და ირეცხება...
ლექსი, ნიჟარებს რომ აგროვებს
და ქვიშას რომ მიმოფანტავს,
იმ პატარა გოგონას
გარუჯული შიშველი ფეხია.
გოგონა ზოგ ნიჟარას ლურჯი ცისკენ აღმართავს,
სიუჟეტსა და სათაურს კი
არსებითი სახელების ზღვას აყლაპებს,
გაუმაძღარი ზღვა კი მათ
გამჭვირვალე ტალღებად აქცევს.

ტალღებში თევზის თვალები
უცქერენ ფრთებს, რომლებიც
ადრე ღრუბელი იყო.

-2-

შენ იყავი ფრთების თრთოლვა
როდესაც მე ვიყავი პეპლების სამაგრი ქინძისთავი

შენ იყავი თითებს შორის ჩამოღვრილი ქვიშა
როდესაც მე ვიყავი თეთრი ძვალი

შენ იყავი კლეებზე მიხეთქებული ტალღების
ტყვეობაში ჩავარდნილი
ცისარტყელის ბრწყინვალება
როდესაც მე ვიყავი საკუთარ თავს
შემოხვეული რიფი

შენ ტკბილი ტყუილი იყავი,
მე კი მწარე სიმართლე

როდესაც შენ ქსოვდი ათას ერთი ღამის ისტორიებს
და შორს ვარსკვლავებიან ცაში ისროდი

მე ვარ ხრეში
თავდაყირა მდგომი მივილტვი
დედამიწის სიღრმისკენ, მაგმისკენ!

კარაქის ქალი

თოვლის ფიფქით მორთული
უნატიფესი ზურგის მქონე
შემობრუნდა ქალი

ოდნავ ოფლიანი
თავის დანებებას
ფიქრობსო თითქოს

კარაქის ქალთან ურთიერთობები
მალევე უნდა დაასრულო
სანამ სამზარეულოს უკუნეთში
მაცივრის კარია ღია და
ცოლ-შვილს მშვიდად სძინავს

ვარსკვლავებიც რომ არ მოჩანს
ისეთი ცხელი ზაფხულის ღამეა

«აი სადაცაა დავდნები!
მალე დავდნები» ჩურჩულებდა ქალი
ვერცხლისფერი შესაფუთი ქაღალდი მოიძრო
და თმის სუნი დააყენა

მამაკაცი დაბრაწული პურის ნაჭერი იყო
მის თითოეულ მოძრაობაზე ქალი
ყავისფერი ნაფშხვენებით იფარებოდა
მას კი თითქოს სიმამაცე არ ჰყოფნიდა
თავად ჩამოეფხიკა თავი

ნაჩქარევი სიყვარულის შემდეგ
უმებოშის[10] გვერდზე იწვა ქალი
და ფართო, დათოვლილ
ველებზე ოცნებობდა

სავსე მთვარის შუქქვეშ
თეფშის მიღმა ყურებდაცქვეტილ მამაკაცს
ესმოდა ოქროს თავთავების ხმა
როგორც ოკეანის ტალღებისა

ესთერ ნაომი პერკვინი

(ჰოლანდიურიდან თარგმნეს დავით ღოლიჯაშვილმა და შოთა იათაშვილმა)

ნიდერლანდელი პოეტი ესთერ ნაომი პერკვინი დაიბადა 1980 წელს უტრეხტში, იზრდებოდა ზირიკზეიში, ბოლო 15 წელი კი ცხოვრობს როტერდამში. 2006 წელს დაამთავრა ამსტერდამის ლიტერატურული სასწავლებელი. სტუდენტობის დროს თავის გატანის

მიზნით მუშაობდა ციხის ზედამხედველად. მისი სადებიუტო კრებული Servetten halfstok («ხელსახოცები შუა ანძაზე») 2007 წელს დაიბეჭდა. ის მაშინვე ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოიცა, კრებულის ერთ-ერთი ლექსი კი ევროპის კავშირის ოცდასამივე ენაზე ითარგმნა. ამას მოჰყვა 2009 წლის კრებული Namens de ander («სხვისი სახელით»). პერკვინი ასევე წერს საავტორო სვეტებსა და ლექსებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისთვის, პარასკეობით კი მიჰყავს რადიოშოუ Nooit Meer Slapen («აღარასოდეს დავიძინოთ»). 2008-2013 წლებში იყო ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი, ხოლო 2011-2012 წლებში ატარებდა როტერდამის «ქალაქის პოეტის» ტიტულს. მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული პრიზი. მისი უკანასკნელი კრებული Celinspeties («საკნების ინსპექცია») 2012 წელს გამოიცა და წლის საუკეთესო კრებულის პრიზი მოიპოვა.

კითხვარი

გინდათ, დღისით დაისვენოთ, ღამით კი კაცს ასიამოვნოთ?
ლავანდა გუნებას ხომ არ გიფუჭებთ?
სასტუმროში დარჩენაზე არ გიფიქრიათ?

ერთ-ერთი მათგანი გადაშალეთ: არ ვარ ქალი / ვარ ბრიყვი ქალი.
ამ ბოლო დროს სულ მცირე, ექვსჯერ მაინც
ვინანე. თითის წვერებზე ყველაზე უფრო
მეწებება: ოქროფურცელი, საღებავი, პომიდვრის წვენი.

თქვენს ჩემოდანში თავისუფლად ეტევით თუ ვერ ეტევით?
როგორ აღწერდით საკუთარ თავს? ჭარბ წონას
რამდენი ხანია უჩივით? რა სიხშირით?

ხიდიდან თუ გადახტებით, შეეცდებით, რომ:
ა) რუკაზე აღნიშნოთ ეს ადგილი?
ბ) რაც შეიძლება შორს გაჰყვეთ დინებას?
გ) შუა გზიდან უკან მობრუნდეთ?

დავუშვათ, თქვენი ავადმყოფობა არის ცხოველი. თუ
ჯანმრთელი ხართ, მაშინ ეს კითხვა
ორი ქულაა. რომელი ცხოველი არ გინდათ, რომ იყოს
თქვენი ავადმყოფობა?
შენიშვნა: ჩვეულებრივ მიათვალეთ ცუდი დღეებიც.

უწინდელზე უფრო მეტად გეშინიათ შედეგების?
დაბოლოს, დაწერეთ, თქვენი აზრით, ვინ სვამს ამ
კითხვებს.

უკანასკნელი უცნობი

თურმე მალულად გიცხოვრიათ, დაბადებულხართ
მიწისქვეშ და არსად კადრში არ მოხვედრილხართ.

იქ გიცხოვრიათ, სადაც უცხო თვალი ვერ აღწევს,
უპატრონოდ ძაღლიც კი ვერ გაიჭაჭანებს. ცხვირი
მიწასთან ახლოს გეჭირათ,
არასოდეს არ გქონიათ იმის ცდუნება,
ვინმეს ღიად მოფერებოდით.

არ დაგცდენიათ ჭკვიანური გამონათქვამი,
არ მიგიღიათ მზრუნველი სახე – თუ ასეა
და ვერ გხედავდით, როგორ ცხოვრობდით?

ნუთუ ვინმეს ემალებოდით?
თუ პირიქით გეგონათ – რომ ჩვენ ჩამოგშორდით,
რადგან ჩვენთან აღარაფერი გაკავშირებდათ?

აქედან უკვე ვეღარ წახვალთ ისე ჩუმად და ფარულად,
როგორც მოხვედით. იჯექით იქ,
სადაცა ხართ, კადრი უნდა მოვაახლოვოთ.

ესაა თქვენი შანსი ყოფნისა.

მაგალითი

ერთ დღეში, უცებ, შეიძლება მოახერხო ყველაფერი:
შეგიყვარდეს მამაკაცი,
საკუთარ თავს გაუცინო და თან დასცინო, იფიქრო
კბილების სიქათქათეზე, დააკვირდე საკუთარ სახეს
კაცის თვალით: აიხედები და შენს თავს ხედავ.
შეიძლება თქვა, რომ ხარ მახინჯი, ან რომ არა ხარ, თავი
სადმე დაიპატიჟო
(კოცნაც მოასწრო, ოღონდ ისე, რომ არ შეტოპო),
გულთან ახლოს არ მიიტანო
დაგეგმილი ის მარშრუტი, რითიც ცდილობ, მას გადაეყარო
– იქ, სადაც ცხოვრობს ან მუშაობს, ანდა ერთობა –
Uქადაგო საკუთარ თავს, რომ მის მიმართ
საბოლოოდ შეიძლება გულგრილი დარჩე.
შეიძლება, სანანებელი გაგიხდეს ეს დღე, ეს მამაკაცი,
ეს სინანული, რომელსაც ეტრფი.
გაიფიქრო: ამ ერთ დღეზე დაყვანილი
ვითომ განვლილი მარადისობის
გარდა, მეტი არაფერია.

სამართლებრივი ქმედებანი 1 & 2

1

როგორც კი ღამე დაიწყება, გამოაღვიძე,
და გამოჰკითხე, თუ რა ესიზმრათ.
არაფერი დაგვესიზმრა, იმიტომ რომ გაგვაღვიძეო –
თუ თქვეს, მაშინვე: ალიყური.
ტირილს თუკი დაიწყებენ, თმაზე ეფერე,
სანამ დედა არ გაახსენდებათ. მერე უთხარი,
რომ დედები უკვე აღარ მოაკითხავენ.
თუ სახეს მკლავში ჩამალავენ, იჯექი ჩუმად
და მოთმინებით. და როგორც კი ჩაეძინებათ,
გამოაღვიძე და გამოჰკითხე, თუ რა ესიზმრათ.

თუკი სიზმარს მოგიყვებიან, მოუსმინე და განუმარტე,
რომ არ ხდება ასეთი რამ. გადადი შემდეგ დღის წესრიგზე.
მერე დაიწყე ყველაფერი თავიდან ისევ.

2

სასეირნო მოედანზე გამოიყვანე და დროდადრო
გასროლის ხმები გააგონე. ივარჯიშე მანამ, სანამ
მათ თავს ზემოთ ზანტ მტრედს ჰაერში
არ მოკლავ და მერე
მტრედი დაამარხინე.
დააწვინე ერთ-ერთი ზურგზე და ლეიბზე
მარკერით კონტური შემოუხაზე, წამოაყენე
და საკუთარ თავს შეახედე.
ჰკითხე, კონტური ვინმეს ხომ არ
აგონებს. ჰკითხე, თუ ვის აგონებს.

უცხოები

როგორც შენს თავს იცნობ ფოტოზე, რომელზეც ხარ
ზურგშექცეული, მაგრამ არაბუნებრივი პოზის გამო
გირჩევნია, რომ იქ არ იყო – სხვაც ასე არის.

ალბათ ხვდები: ბევრის ცოდნა არაა კარგი,
რაც მეტია იდუმალება, უფრო უკეთ მუშაობს ტვინი.

შენი თავი სხვისგან ღრმა ზღვით გამიჯნე და თმაც შეიღებე,
დაიხშე ყური ადამიანთა მომართვებზე, ხმამაღალი
ტერმინებით
შეაჩერე სიახლოვის ნებისმიერი გამოვლინება.

დაიცავი საჯაროობა, გააჩაღე ომი, იყავ
მუდამ უცვლელი და შეუვალი. ნურავის ნუ გაიმეორებ.

დიდი ძმა

არც დედა იყო და არც მამა, ხეებიდან რომ ჩამოვესხით,
წავეყვანეთ საჭმელად ან დასაძინებლად. რა ძრომიალა
ზაფხული იყო.

ჩემს ნაწნავებს ვერ ვიტანდი, მოკლე კაბებიც დავანაკუწე,
თმებით ტოტებში გავიხლართე – შენ მაკრატელი
მოარბენინე, მე კი გავხდი ჯარისკაცი,
მაგრამ მახვილი იყო მძიმე და ვერც მიწიდან
დავძარი ფარი.

შენ მიყვიროდი: «უფრო მაღლა!» მეც მივძვრებოდი
და მივძვრებოდი. შემოვიდა სითბო ხეებში,
შენ იწექი ცხოველივით ქვედა ტოტზე შუაღამემდე.

ვერ მომწვდებოდნენ იქ ვერც მგლები, ვერც ყაჩაღები.
პატარა გოგოს კვალობაზე კარგად ვიდექი საგუშაგოზე.

და კიდევ სხვა მრავალი

მანქანის მიერ გასრესილ ჩიტს შეგიძლია გვერდი უქციო,
რომც ფართხალებდეს, გვერდზე გასწიო და დაივიწყო
წვიმაში ვიღაცას აუყირავდა ველოსიპედი, სათამაშო
სილაში კი ჟანგიანი ლურსმნებია,
ბანანის ქერქი სტრატეგიულ ადგილას გდია,
საგადასახადოს
კონვერტი არ მიუვიდა, მაგრამ შენ რა შუაში ხარ.
ვიღაცამ ხურდა გადმოგაყოლა, ტრამვაიში პატარა ბიჭი
ვერ მიმხვდარა, სად ჩავიდეს – შენ ამაზე არ იდარდო,
შეგიძლია, ნაცნობებსაც აარიდო თვალი, ღიმილს არ
უპასუხო.
ძველ თანაკლასელს, მაღაზიაში რომ დაგინახავს
და სასაუბროდ გამოიწევა,
გაქვს უფლება, გაოცებულს ზურგი აქციო.
ხოლო ხელი, შენი ხელი შეგიძლია იარაღად გადააქციო
და ატარო შარვლის ჯიბით. გადაჭრილი. და დატენილი.

შეჩერდა ადამიანი

ჩვენ რომ უფრო სასარგებლო ნივთები ვიყოთ,
ჩვენი მუცლები – ზღვა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტისფერი
გლობუსები,
გული – ძრავები (ეული, ჭახჭახა ვარდისფერი),
ხელები კი – ღმერთების მიერ ძაფებით მართული დიად
საქმეთა საკეთებლად,

და ჩვენი ტარება შეიძლებოდეს სახელურით,
მიჭედებულით თავზე, დაფიქრდი
რა იქნებოდა ამაზე უფრო, ამაზე მეტად... ანდა რომ ვიყოთ
გამჭვირვალენი, უკონტურონი, მაშინ ხომ უკეთ
მივხვდებოდით...

ჩვენ დღემდე ღრმად გვწამს, რომ არის პირი და ორი
თვალი,
მაგრამ მას სახე არა აქვს და არცა სჭირდება.
ერთს შემოგხედავს და გვერდს აგივლის.

არავინ მოვა, რომ შეგცვალოს შენსავე არსში, არავინ არ
წამოგაყენებს,
არავინ არ აგაფარფატებს. ჩვენ მივეჩვიეთ ჩვენს
შეზღუდულ სამოძრაო არეალებს.

ჩვენში უფრო მეტი აზრი ვერ ჩაიდება. შეიძლება, იდო
ადრე.
მოუხელთებელი. მაგრამ მკაფიო. მოკლებული ყველანაირ
ცვალებადობას.
სრულქმნილი, რომლის პირველი მოწმენიც წამით
ვიყავით.

საუბარი

ტელეფონს ჩასძახის ქუჩაში კაცი, კი არ ჩასძახის, ჩაჰღრიალებს,
«შენ ვინ გგონია», სულს მოითქვამს, მე დამინახავს,
«ვინ გგონია შენი თავი

მაგ ვითომ კარგი მანერებით და მდიდარი მეგობრებით,
ვითომ ძალიან მოუცლელობით და მაგარი სამსახურით.»
მისი ხმის ქვეშ ტელეფონი გაიბზარება,

და ბზარიდან უეცრად ქალი გადმოგორდება, ნახევრადჩაცმული,
ფერუმარილგათხაპნილი, გაოცებული წამოდგება ბორძიკ-ბორძიკით,
ის კი ისევ თავიდან იწყებს:

«ვინ გგონია შენი თავი» ურტყამს და თან მე მიყურებს,
მიყურებს, სანამ ყვირილს არ ვიწყებ: «კმარა» წერტილი.
«ხომ ხედავ, რომ
მოკუნტული წევს, რას გიშავებს, კმარა» წერტილი.

მაგრამ იგი გაჩერებას არ აპირებს, მიყურებს და მეკითხება:
«შენ ვინ გგონია» ახალ სიტყვებს ქმნის გაუთავებლად
თავის პეშვში, «ვინ გგონია შენი თავი»
აღარ ჩერდება.

დიმიტრი ბიკოვი

(რუსულიდან თარგმნა ნიკა ჯორჯანელმა)

რუსი მწერალი, პოეტი და ჟურნალისტი. ბორის პასტერნაკის, ბულატ ოკუჯავას, მაქსიმ გორკისა და ვლადიმირ მაიაკოვსკის ბიოგრაფი. გამოცემული აქვს არაერთი რომანი, პუბლიცისტური და პოეტური კრებულები.

ბორის პასტერნაკის ბიოგრაფიამ, რომელიც 2005 წელს გამოიცა, ბიკოვს საყოველთაო აღიარება მოუტანა. ამავე წიგნში აიღო რუსეთის ორი მთავარი ლიტერატურული პრემია – 2006 წლის ნაციონალური ბესტსელერი და «დიდი წიგნი». ამას გარდა, ბიკოვს მიღებული აქვს სტრუგაცკების საერთაშორისო პრემია (სამჯერ, 2004, 2007, 2013 წლებში).

დიმიტრი ბიკოვი 1985 წლიდან ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას. თანამშრომლობდა გაზეთ «სობესედნიკთან», ჟურნალ «ოგონიოკთან», რადიო «ეხო მოსკვისთან»,

ტელეკომპანია «მეხუთე არხთან» და «დოჟდთან». მუშაობს ლიტერატურულ პრესაშიც, არის ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალის, «რა ვიკითხოთ» მთავარი რედაქტორი.

მიხაილ ეფრემოვთან ერთად დიმიტრი ბიკოვი ახორციელებს ტელეპროექტს «მოქალაქე პოეტი», რომელიც მწვავე პოლიტიკური სარკაზმის ნიმუშია. ბიკოვი დიდი რუსი პოეტების ცნობილი ლექსების მიხედვით პოლიტიკურ სატირას ქმნის. თავიდან პროექტი «დოჟდზე» გადიოდა, შემდეგ, რადიო «ეხო მოსკვიზე» გადმოიტანეს. ბიკოვი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას მოსკოვის რამდენიმე უნივერსიტეტში. რეგულარულად კითხულობს საჯარო ლექციებს ლიტერატურაზე.

დღით ფიქრი ღვთის დიდებულებაზე

ციცაბო გორაზე ყურძენი იზრდება, მტევნებით დამძიმდა ყუნწები.
სექტემბრის წიაღში ზღვისპირა ქალაქის თავზეა მოსული ყურძენი.
ტკბილ-მჟავე გემოთი ენა-პირს აცივებს მარწყვისა და თაფლის ნაზავი.
და თვალი იჭრება ლივლივით ოქროსფრით, ოქროსი უღვივის ხანძარი.

ციცაბო გორაზე ყურძენი იზრდება. ღრანტობზე ზედ გამოიჩხირა
და მძიმით-ულვაშით ზღმარტლის შმაგ სინტაქსში ჩაწნულა მყარად და ხშირ-ხშირად,
ეხვევა ბუჩქების ღვარძლნარევ ლაპარაკს, ღვლარჭნილი ენა აქვს, უცვლელი.
დარღვეულ თიხნარზე მკვიდრად და ურყევად ყურძენი იზრდება, ყურძენი.

დამშხალულ ფერდობებს სახლების დაბერტყვის ვნება აქვთ, ქვევითკენ ჩაზიდვის,
ციცაბო გორის ქვეშ პატარა გემი კი გურზუფში მიცურავს თავისთვის,
მეორე მხრიდან კი სხვა მოიზლაზნება, მუსიკას გამოსცემს შესაფერს.
მათ უკან მხოლოდღა გაშლილი სივრცეა, ყველას რომ ჰპირდება ყველაფერს.

ჭარბია სილურჯე და სიცხეც ჭარბია, ვაზების ბღაუჭიც ჭარბია.
რომ არა სიჭარბე, ხარების შეძლება ექნება აქ მხოლოდ შამბიანს,

მთის გადაშიშვლებულ, ამომწვარ ფლატეზე, რომელიც
თავდაღმა მოძვრება:
სხვებს დღე და მოსწრება სულ რაღაც არ ჰყოფნით, მე
კიდევ სიჭარბის მომსწრე ვარ.

მკვრივია ამ მწიფე მარცვლების ხორცი და მძლავრი ეს
სიცოცხლე ბღაუჭა.
ასეთი მჩქეფარე რას ჩასჭიდებია უთვალავ უჩინარ კაუჭად!
მესერთა სარების ნარნარი შემოვლით, დაღლილი
მზერისთვის მისწრებად
სკლეროტულ თიხაზე, ქვებზე და სისხლზე და რაც არის –
ყურძენი იზრდება!

შენს ბადაგს ვყლაპავდი, შხამს შევისუნთქავდი,
მწყალობდი, უხვი და სულგრძელი,
სიმწკლარტით შეკრულ პირს რამდენჯერ მიხსნიდა თავისი
სიგრილით ყურძენი,
პარიზშიც ვყოფილვარ, ყირიმშიც ვცხოვრობდი, გიცალე
ნადიმზე ბოთლები –
და რაღაც გაგებით კი უნდა მიგიხვდე, თუ ბოლოს
მთლიანად მოვკვდები.

აი შვილმკვდარი დედა. მის ვიწრო ოთახში...

აი შვილმკვდარი დედა. მის ვიწრო ოთახში
სულ ფოტოებია, სადაც ის ათი, თორმეტი, თექვსმეტი
წლისაა. ოცი წლის გათავდა სიყვითლეშეყრილი.
საღ-სალამათი დაბრუნდა ჯარიდან. და მერე მოკვდა.

ახლა ოცდაათის იქნებოდა. დედა რეტდასხმული
მსახურობს სამეცნიერო გამომცემლობაში, სიღატაკის
პირასაა.
მთელი დღე რედაქტირება, ღამე თარგმნა.
ზოგჯერ მშიერია, მაგრამ კაციშვილთან არ ამბობს.

არც არის ვინმე. მეგობრები არ შერჩა,
შვილის ძმაკაცებიც სულ უფრო იშვიათად გამოდიან,
უკვე შვილები ჰყავთ, ათასი საზრუნავი, მთელი ამბები,
სულ უფრო ელევათ მასთან სალაპარაკო.

ისინი მის შვილს ბუნდოვნად იგონებენ, როცა აგონდებათ,
ისევ ის სიტყვები, მოქცევა... მაგრამ ეგ არაფერი
იმასთან შედარებით, რომ ის ყველა ფოტოდან იყურება,
დიდიდან, მომცროდან. და სუნთქვა ჭირს ოთახში.

ვერავინ უძლებს ჭირის ასეთ კონცენტრაციას,
ასეთ სინანულს. ყველა მარტოხელა დედა
უყვირის შვილს, როცა ის მზრუნველობას აღარ საჭიროებს.
მას ეს ახსოვს და ნელ-ნელა ჭკუიდან იშლება.

ღმერთო, როგორ ნანობს თითოეულ ჩხუბს,
როგორ ითხოვს პატიებას ყოველი სიტყვისთვის,
ყოველი გაცეცხლებისთვის... და თუ ის ხედავს ამ
ყველაფერს,
სინანულითვე დატანჯული მიიწევს მისკენ.

და მათი ამ ორმხრივი სინანულით,
პატიების ამ ცრემლიანი და მუნჯი ურთიერთვედრებით
სავსეა ოთახი, და ერთი თუ ორი საათითაც
შეუძლებელია შიგ დარჩენა, იმიტომ რომ სული ვერ ძლებს.

სული ვერ უძლებს სიყვარულის ასეთ სიწმინდეს,
აუტანელ, უზომო, ხალას, სპეტაკ სიყვარულს,
ყოველგვარი წყენისგან და მომდურაობისგან
თავისუფალს,
დანაშაულის უმწარესი შეგნებით აღვსილს.

რომ არა ჩხუბი, უთანხმოება, რომ არა წყენა,
ვერავინ გაუძლებდა სიყვარულს დედამიწის ზურგზე,
ის მარადიულ განშორებას მიგვახვედრებდა,
ერთ და იმავე ბედქვეშ ვართ რადგან ყველანი.

მოდით, ვუყვიროთ ერთმანეთს, სანამ კიდევ ვართ
ცოცხლები,
ცოდვილნი, მფრთხალნი და ცრუნი ვართ სანამ,
სანამ ცოცხლები, სანამ ტყავში ვერ დავტეულვართ,
სანამ გარეთ გვსურს, რაც არ უნდა გვიჭერდნენ შიგნით,
მოდით, ვუყვიროთ ერთმანეთს, და ვაბაკუნოთ ფეხები,
და ყველაფერზე ვიჩხუბოთ, და ნუ ავწონით სიტყვებს,
რომ არ გავრეკოთ, არ დავიწვათ, არ გავიგუდოთ
გაუსაძლისი სიყვარულით ჩვენით, სასტიკით.

იმდენი ხანია, ისე ადრევე დავიწყე დამშვიდობება შენთან...

იმდენი ხანია, ისე ადრევე დავიწყე დამშვიდობება შენთან,
რომ ახლა თითქმის უკვე არც მეშინია,
ჯერ ამას დავივიწყებდი, წარმომედგინა, მერე აი ამას,
მესმოდა, ოდესმე ყველაფერს დავივიწყებ,
მცირე ნაწიბური, გულზე დასაკიდი პატარა ჯვარი,
ნამცეცა მწიწკნავი ნული დამირჩება,
მას კი უკვე გავართმევ როგორღაც თავს, მივხედავ.
ვერიდებოდით ზღაპრებს, ერთმანეთისთვის
ალერსით შერქმეულ სახელებს,
ფინალის წინ მოშვება არ გვინდოდა.
პირველივე დღეებიდან – შეუთანხმებლად –
განშორებისთვის ვემზადებოდით,
გვესმოდა, ჟანრის შესაბამისად უნდა გვემოქმედა:
არსებობს სიყვარული, რომლისგანაც ბავშვები ჩნდებიან,
არსებობს სიყვარული, მომართული განშორებაზე.
ეს იგივეა, რაც ზღვაზე ჩასვლა
და იმავე დღეს აბარგება, ხურდების სროლა,
ხედების ფონზე ნაღვლიანად ჩასურათება,
გამეორება მზის ჩასვლისას: მშვიდობით, თავისუფალო სტიქიავ,
მეტს ვერ გნახავ.

და თუნდაც გნახო, სულ სხვაგვარი იქნები უკვე,
შემომხედავ, თითქოს არ გახსოვდე,
იმიტომ, რომ უკვე ვიტირეთ, დავემშვიდობეთ ერთმანეთს,
და აქ ახლა რაღა მესაქმება.
ვიდექი პლაჟზე, ვთქვი მოკლე ციტატა, ხურდა მოვისროლე,
თხუთმეტ გრივნად სურათიც კი გადავიღეთ ერთად,

შენ სწორედ იმისთვის არსებობ – გითხრა:
მშვიდობით, სტიქიავ, კმარა.
მეტი რაღასთვის? მართლა საბანაოდ ხომ არა.

ჩემთან ერთად არ იქნება, მე იმად ვვარგივარ,
მემშვიდობებოდნენ,
შენთან ერთად არ იქნება, შენ კიდევ უფრო გულმართალი ხარ,
ყოველი სიყალბისგან, გარე სიტყვისგან, მცდარი ნოტისგან
ხელივით მიგაქვს სული უკან.
შენთან ერთად ცხოვრება არ გამოდის: კვდომა კარგია,
სხვა დანარჩენი – ძნელი,
თვითონვე ხომ ვთქვი, განშორებაა-მეთქი შენი ჟანრი.
ცხოვრება საერთოდ არ გამოდის, მაგრამ აქამდე ვერავინ გაიგო,
და რომც გაეგო, ჩუმადაა, არ იტყვის,
და რომც თქვას – ცხოვრობს, შიში აქვს.

ტყუილი რა საჭიროა, მიყვარდა ჩემი სამყოფელი ქვეყანა,
განსაკუთრებით – ვაგონის ფანჯრიდან,
თვალს რომ ვაყოლებდი ხედებს და სადგურებს
და ვუღიმოდი გვერდით ჩაქროლებისას.
მატარებელიც ასე კარგად იმიტომ ეწყობა რუსეთის პეიზაჟს,
რომ სიგრძივ მიდის, იშვიათად ჩერდება,
გაჩერება ზუსტად იმდენია, განშორებას რომ ეყოს:
წამით შეყოვნდები – და საზიზღრობაა უკვე,
თითქოს აქ სამი წუთი კი არა – ორი საუკუნე გიცხოვრია,
ამდენი რბევა, შფოთი, სისხლისღვრა გინახავს,
ოცი ქუჩა აიღეს, თხუთმეტს სახელი გადაარქვეს,
თან არაფერი შეცვლილა.

სულ სხვა რამე ხარ შენ. მაპატიე, ამას რომ ვეხები.
არც მოწყენილობა, არც შფოთი და არც სტიქია.
უბრალოდ ყოველი ჩემი შენთან გატარებული საათი
ისეთი სიმართლეა,
რომ დღეს, ანდა თვეს უკვე არ დაეჯერება.
იმიტომაც, ხომ ხედავ, ვმერყეობ
იქ, საიქიოში, რამის დაშვებისას:
ეს ყველაფერი იმდენად მრუდეა,
რომ შესაძლოა, აღარც დასრულდეს.

სეიმურ ბაიჯანი

(აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა)

აზერ ბაიჯა ნელი მწერ ალი და პუბლ იცის ტი. დაიბ ადა 1976 წელს აზერ ბაიჯანში. სწავლობდა ჯერ სამხედრო სასწავლებელში, ხოლო შემდგომ ქაფქაზის უნივერსიტეტში საჯარო ადმინისტრირებას. სწავლა არ დაუსრულებია, ისე მიჰყო ხელი ლიტერატურულ საქმიანობას. არის რამდენიმე პროზაული კრებულის ავტორი. მისი მოთხრობები თარგმნილია რუსულ, ქართულ, უკრაინულ და ყაზახურ ენებზე. რეგულარულად აქვეყნებს ესეებს და საავტორო სვეტებს აზერბაიჯანულ პრესაში. მონაწილეობდა რამდენიმე რეგიონალურ ლიტერატურულ პროექტში. გაიმარჯვა ელმარ ჰუსეინოვის ფონდის მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ კონკურსში.

ძაღლი ვინ უნდა დამარხოს?

აკადემიკოსი ვუგარ შამსიზადე აკადემიკოსური ნაბიჯებით ავიდა ტრიბუნაზე და ჩვეულებისდაკვალად ჯერ ხელში დაჭერილი ფურცლების მოწესრიგებას შეუდგა. მერე ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა, გრაფინიდან ჭიქაში წყალი დაასხა და დალია. დარბაზში მსხდომებმა ერთმანეთთან გადალაპარაკებები და გადაჩურჩულებები შეწყვიტეს და ვუგარ შამსიზადეს გამოსვლის მოსასმენად გაეხაზირნენ. ორი წლის წინ აკადემიის შენობა და ასევე დარბაზი სახელმწიფო ხარჯზე გვარიანად გაერემონტებინათ. სკამები, ფარდები, ჭაღები განეახლებინათ. მუშებს რემონტისას ძველი გადაეგდოთ და სანაცვლოდ ახალი, პრიალა ტრიბუნა დაემონტაჟებინათ. თუმცა ეს ახალი ტრიბუნა მეცნიერებს არ მოეწონათ. უპირველესად კი იმიტომ, რომ ახალი ტრიბუნა ძალიან მჩატე იყო. მისგან სიგოროზე, მონუმენტურობა, სერიოზულობა, იმპერიული ქშენა, ძალმოსილება, რეპრესიისა და გადასახლების შიში არ მოიღვრებოდა. როდესაც აკადემიკოსები და პროფესორები გამოსვლის დროს მეტისმეტი ექსტაზისაგან საკუთარ თავს კარგავდნენ და ტრიბუნას მთელი ძალით აწვებოდნენ, ტრიბუნა ყანყალს იწყებდა, მკვიდრად არ იდგა, რაც მეცნიერებს ძალიან აწუხებდათ. ახალი ტრიბუნის სიმჩატე მათთვის შეურაცხმყოფელი იყო. ამიტომაც მეცნიერებმა ახალი ტრიბუნა დარბაზიდან გაუძახეს და ისევ ძველი დააბრუნეს თავის ადგილას.

– ამხანაგებო...

აკადემიკოს ვუგარ შამსიზადეს ორმა სიტყვამ დარბაზში ექო გამოსცა და დაიტალღა, რამაც შეაგულიანა. ზედ და გვერდებზე კალმით, ლურსმნით, დანის წვერით «მ+ს=შ»,

«რ+ვ=შ», «ფ+დ=შ»-ს და მრავალ მსგავს ფორმულამოკაწრულ ტრიბუნას ორივე ხელით ჩაეჭიდა და მკერდით ისე შეეწება, თითქოს მანდ სამუდამოდ გაქანდაკებას ლამობსო.

აკადემიკოსს პიჯაკის გულის ჯიბეში კალამი და წვრილკბილებიანი სავარცხელი ედო. მელოტი იყო. ერთი ფთილა ბეწვი წამოეზარდა, რომელსაც თავზე ჩალმასავით იხვევდა. მეცნიერების უმეტესობა მელოტი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ყველას წვრილკბილებიანი სავარცხელი დაჰქონდა თან. ეტყობა ამ სავარცხელის ტარებას რაღაც ფარული, საკრალური მნიშვნელობა გააჩნდა.

– ძვირფასო კოლეგებო! ღრმადპატივცემულო მეცნიერ-მუშაკებო. პატივცემულო ახალგაზრდა მეცნიერებო. მეცნიერების გრძელ და მტანჯველ გზაზე შემდგარნო. ეპოქა და დროება კვლავ მაღალ მოთხოვნებს გვიყენებს. ცხოვრება შეუსვენებლად მიდის წინ. ჩვენი საზოგადოება მუდმივად ვითარდება. მოდით ამ მოთხოვნათა სიმაღლიდან ჩვენს საქმეებს ღიად და ობიექტურად მოვავლოთ თვალი. ჩვენი საქმიანობა კომუნისტური პრინციპულობით განვჩხრიკოთ. ვნახოთ, თუ რა მოგვიპოვებია, ეპოქის მოთხოვნებისთვის როგორ გვიპასუხია. ცხოვრებასა და განვითარებას ვუწყობთ კი ფეხს? როგორც მეცნიერები, როგორც ჩვენი ინტელიგენციის ავანგარდული წარმომადგენლები, ხალხს, სამშობლოს და მშობლიურ პარტიას ვემსახურებით კი რიგიანად?

ორატორმა ბრაზიანი, შემრისხავი მზერა ქვემოთ მიმართა, მწკრივთა შორის მიმოატარა და საკუთარ კითხვას თავადვე უპასუხა ომახიანად:

– ცუდად, რაღა თქმა უნდა!.. ზომაზე მეტად ცუდად!!.. და რა არის ამისი მიზეზი? ამ უნაყოფო საქმიანობის ფესვები სადამდეა ჩასული? სწორედ ამით უნდა დავიწყოთ. ჩვენი მცონარობის, ჩვენი უკან დამწევი უარყოფითი ფაქტორების საფუძვლების ძიება, მათი დაურიდებლად სააშკარაოზე გამოტანა და საზოგადოების წინაშე მხილებაა საჭირო. მიმაჩნია, რომ ჩვენ ქიმიის მნიშვნელობასაც ვაბუქებთ. ავიღოთ თუნდაც მისი სარგებლიანობა სოფლის მეურნეობისთვის. მიწას, ვითომდა გასაუმჯობესებლად, უხვი მოსავლის მისაღებად ნაირნაირ ხელოვნურ სასუქებს აძლევენ, და კიდევ რა ვიცი, რას აღარ იგონებენ. შესაძლოა, ბოლო დროს მოხშირებული სნეულებების გაჩენისა და მომატების თავიდათავი სწორედ ეს გამოგონებებია. ქიმიური ნაყარ–ნუყარი საკვებად გამოსადეგი მცენარეების გზით ჩვენს ორგანიზმში ხვდება და თანდათანობით გვწამლავს. სადღაა საზამთროს, ნესვის, პომიდვრის, კიტრის, ბადრიჯნის, წიწმატის, ქინძის, ხახვის, ნივრის, გოგრის, მწარე წიწაკის, ტკბილი წიწაკის, თალგამის, ოხრახუშის, კამის ძველი გემო? საერთოდაც, თითქოს ხილიცა და ბოსტნეულიც თანდათან უგემურდება, რაზეც მე, როგორც ინტელიგენტი, გულწრფელად ვწუხვარ და დანანებით ვფიქრობ, ნეტა აქ იყოს ჰოვსანის ხახვი, ჯორათის ნესვი, ზირას თეთრი თალგამი, სტაფილო, ბუზოვნას სალათის ფოთლები, ნარდარანის ბაღების შავი შანა, სარაის, ნოვხანის თეთრი შანა, ბილგეჰის ქარვასავით ლეღვი. აი, ახლა რომ ვახსენებ, თითოეულის გემოს ვგრძნობ პირში და საკუთარი თავი რაღაც ძველ არსებად მიმაჩნია. ზოგჯერ თვითონაც ვერ გამირკვევია ჩემი წლოვანება. მეტი ფულის შოვნის, იოლი გამდიდრების გულისთვის გლეხები წარამარაობენ. მცენარეულის დაჩქარებით მოსაწევად და გასაბერად, სილიტერია თუ რა ჯანდაბაა, მაგას მოიხმარენ

ანგარიშმიუცემლად. და ეს მაშინ, როცა ადრე გლეხებმა ასეთი ეშმაკობები არ იცოდნენ. ისინი წინათ ძალიან კეთილები, უბრალონი, სტუმართმოყვარენი იყვნენ. ეს უბრალოებით აღსავსე ხალხი სწორედ ქიმიკოსებმა ააცდინეს გზას და, ის კი არადა, გააუზრდელესო, ვიტყოდი. ეს უნდა ვაღიაროთ. გასულ წელს, მაგალითად, საზამთრო–ნესვისაგან მოწამვლის შემთხვევები დაფიქსირდა.

ღმერთმა გიცხონოთ მიცვალებულები (დარბაზში მსხდომებმა ოდნავ წამოიწიეს და გუნდურად: ღმერთმა აცხონოთ, გაიმეორეს), ცხონებულმა პაპაჩემმა ამ ხელოვნური სასუქის, ფოსფოლატის გარეშე 90 წელი ყოველგვარი ავადმყოფობის გარეშე იცოცხლა. გარდაცვალებამდე ერთი კბილიც კი არ ჩამოვარდნია. თმა-წვერიც არ გასთეთრებოდა. გასული წლის ბოლოს ჩვენი სექციის სამეცნიერო საბჭოში ასპირანტებისთვის ცალკე ლაბორატორიის ოთახის საკითხი რომ გამოიტანეს განსახილველად, მე შევეწინააღმდეგე. ვთქვი, რომ ასპირანტების სამეცნიერო ბაზა ერთობ სუსტია, რომ მათთვის ცალკე ლაბორატორიის შექმნა ჯერ ადრეა. მოდით, ახალგაზრდები მცდარ გზას მოვარიდოთ-მეთქი. დაე, სოფლებში წავიდნენ და გლეხები ხელოვნური სასუქების გამოყენებას გადააჩვიონ. ახალგაზრდა მეცნიერები მიწას გაეცნონ. ხალხს გაეცნონ. გლეხებს შეუამხანაგდნენ და მათ ხელოვნური სასუქების გამოყენების ზიანი მეცნიერულად აუხსნან. მაგრამ რად გინდა, ჩემი ეს წინადადება სერიოზულად არ მიიღეს. ახალგაზრდა მეცნიერების სოფლებში გამგზავრებას უგულისყუროდ მოეკიდნენ. არადა, მე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ ზოგიერთებმა თავიანთი თავაშვებულობა აილაგმონ და თანამდებობისა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას მოეშვან. აკადემიაში ერთხელ და

სამუდამოდ კოლექტიური საქმიანობისთვის შესაფერისი ატმოსფერო შეიქმნას. ჩვენ საბჭოთა მეცნიერები ვართ, ამხანაგებო! სულ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ყველაფერი ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ხალხისა და პარტიის სასარგებლოდ წარიმართოს. ეკონომიკურად შემოსავლიანი, სახეირო აღმოჩენები უნდა მოვახდინოთ. ბუნდოვანი იდეები, მედასავლეთე ჰიპოთეზები, ყალბი ნოვატორობა საბჭოთა მეცნიერების, თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

ჩვენ, ხანშიშესული თაობის წარმომადგენლებმა, გამოცდილმა მეცნიერებმა ნიჭიერი ახალგაზრდები პარტიის შემართების შესაბამისად უნდა აღვზარდოთ. ისე უნდა ვქნათ, რომ მეცნიერების ზღურბლზე ფეხშემომდგარმა მეცნიერებმა თავიანთი ამოცანა კარგად გაითვითცნობიერონ. სანამ მკლავი არ მოუღონიერდებათ დიდ-დიდ გამოგონებებს არ შეეჭიდონ. პარტიისა და სახელმწიფოს ჩვენდამი ნდობა, ჩვენთვის შექმნილი პირობები, შესაძლებლობები ბოროტად არ გამოიყენონ. ეს საბჭოთა წესებსა და ლენინის პრინციპებს ეწინააღმდეგება. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეთა საკუთარი პირადი ინტერესებისთვის შემწირველნი პარტიის წინაშე უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი. ახლა ნებისმიერ ინდივიდუალურ შრომაში გარკვეული კოლექტივის, ნებისმიერ კოლექტიურ შრომაში კი თითოეული ინდივიდის სინდისიერი ამაგია გაერთიანებული. პოლიტიკურ სიფხიზლეს ნუ დაკარგავთ, ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და იდეოლოგია განუყოფელია. პირიქით, ერთმანეთს ავსებენ. აღზრდით, მორალით ჩვენს კანონებთან, ტრადიციებთან შეუსაბამო ნებისმიერი პირის ცოდნა თუ ხელოვანება ჩვენთვის უსარგებლოა. გენიოსიც

რომ იყოს, მაინც უსარგებლოა. ერთგულება უპირველეს ყოვლისა. თუკი ვინმეს პარტიისა და სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული მოთხოვნები არ მოსწონს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია.

ვუგარ შამსიზადემ ხმამაღლა ჩაისუნთქა. ფილტვები ჰაერით აივსო. მკერდი ტრიბუნას უფრო მჭიდროდ მიუჭირა. მეცნიერებისა და მეცნიერთათვის პარტიის მიერ გაკეთებულ საქმეებსა და მზრუნველობაზე, ნდობაზე ილაპარაკა. ცრუ ნოვატორები, ყალბი მოსიახლეენი კრიტიკის ქარცეცხლში გამოატარა. მოდით, ვუგარ შამსიზადემ თავისი გამოსვლა გააგრძელოს, მე კი დარბაზში მსხდომებზე მოგიყვებით. დარბაზში მყოფთაგან უმეტესობის ასაკი 65 გადასცდენოდა. ზოგიერთებს კი ოთხმოცისთვისაც გადაებიჯებინათ. აკადემიაში შემოდიოდნენ თუ არა, პირველი, რასაც აკეთებდნენ, ეს ელექტროჩაიდნის ჩართვა იყო. ყველა ოთახში, ლაბორატორიაში ელექტროჩაიდანი მოიპოვებოდა. ეს ჩაიდნები საბჭოთა დროიდან იყო შემორჩენილი, გაფუჭებისას შეაკეთებინებდნენ ხოლმე. თუკი შეკეთება შეუძლებელი იყო, მაშინ უეჭველი წინას მსგავს ჩაიდანს შეიძენდნენ. საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტურ ოსტატებს მსგავს ჩაიდნებს დაუკვეთდნენ ხოლმე. მეცნიერთაგან ზოგიერთი აკადემიის სასადილოშივე სადილობდა. სიმართლე ითქვას, მე თვითონაც რამდენჯერმე მისადილია მანდ. ფასები ძალიან იაფია. აკადემიის სასადილოში დამზადებული ბორშჩის გემო ოცდაათ წელზე მეტია რომ ყველას პირზე აკერია. ზოგჯერ ამ ბორშჩის დასაგემოვნებლად აკადემიაში გარედანაც მოდიან. მეცნიერები აკადემიის ბორშჩით ამაყობენ. აკადემიაზე სიტყვა თუ ჩამოვარდა, გკითხავენ:

– თქვენ ჩვენი აკადემიის სასადილოს ბორშჩი გაგისინჯავთ?

უარყოფით პასუხს რომ იღებენ, თან უხარიათ და თან სინანულით გადაიქნევენ თავს:

– ძალზე სამწუხაროა. ბევრი დაგიკარგავთ. მოდით, ჩვენი ბორშჩი დააგემოვნეთ და მერე ვილაპარაკოთ.

ზოგიერთი მეცნიერი სასადილოში არ სადილობს. შუშის ქილით სახლიდან საჭმელი მოაქვს. ნაშუადღევს სახლიდან მოტანილ საჭმელს ელექტროქურაზე აცხელებენ და ჭამენ. აკადემიის შენობაში მეცნიერებისა და სხვადასხვა კერძების სურნელება ერთმანეთში ირევა. ყოველ აკადემიკოსს, პროფესორს თანაშემწე, ასე ვთქვათ ასპირანტი ჰყავს. თანაშემწეები ასოციალურ ცხოვრებას ეწევიან. კაფეში, რესტორანში არ დადიან. გარეთ ფულს არ ხარჯავენ. თავიანთ მიზერულ ხელფასს იღებენ და დედას ჩაუთვლიან ხელში. ძირითადად შავ კოსტუმს, თეთრ პერანგს იცვამენ და წვრილ ჰალსტუხს იკეთებენ. ადამიანის მომღლელი, ცხოვრების მომაყირჭებელი ქცევები ახასიათებთ. პოლიტიკაში არ ერევიან. პოლიტიკაზე სიტყვა თუ ჩამოვარდება, თავიანთი სამეცნიერო ხელმძღვანელების ნათქვამს იმეორებენ:

– ჩვენ მეცნიერები ვართ, პოლიტიკაში არ ვერევით. ჩვენი საქმე სახელმწიფოს, სამშობლოს და ხალხის სამსახურში ყოფნაა.

თანაშემწეები ცალსახად თავიანთი სამეცნიერო ხელმძღვანელების ქცევებს, ცხოვრებისეულ ფილოსოფიას, ჩვევებს იმეორებენ. ცხოვრებას, მოვლენებს მათი თვალით უყურებენ. ოცდაათი წლისას ქორწინდებიან. დასაქორწინებელ გოგონას ან ბიჭს

მათთვის სამეცნიერო ხელმძღვანელები პოულობენ. გამოსადეგი გოგოა, გამოსადეგი ბიჭია – იტყვიან. სამეცნიერო ხელმძღვანელის ასეთი შეფასება მათთვის საკმარისია. რამის დამატება არ არის საჭირო და მორიგ სტანდარტულ ოჯახსაც ასე ეყრება საფუძველი. ასპირანტი თავისი სამეცნიერო ხელმძღვანელისგან მხოლოდ ცოდნას კი არ ითვისებს, მის ყოველ მითითებას, დავალებასაც ასრულებს. წესია ასეთი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. თანაშემწეებმა ოთახი უნდა დაალაგონ, სამეცნიერო ხელმძღვანელს ბაზარში გაეგზავნონ, მანქანა თუ ჰყავს, კვირაში სულ მცირე ორჯერ მაინც უნდა გაურეცხონ და დღეში რამდენჯერმე უნდა შეაქონ. თუკი ერთი პროფესორი მეორეს დასანახად ვერ იტანს, მათი თანაშემწეებიც შესაბამისად ერთმანეთს ემტერებიან. ორი გადამტერებული პროფესორის თანაშემწეების მეგობრობა გამორიცხულია. ასეთი რამ დაუშვებელი და წესის დარღვევაა. ზოგჯერ აკადემიკოსები და პროფესორები მოიწყენენ და თავიანთ თანაშემწეებს წააჩხუბებენ ხოლმე. თანაშემწეები კაცები თუ არიან მუშტი-კრივი იმართება, თუ ქალები არიან, მაშინ ერთმანეთს თმას აპუტავენ. მეცნიერებს და განსაკუთრებით ხნიერ მეცნიერებს სხდომების ჩატარება უყვართ. თვეში ერთხელ სხდომა თუ არ იმართება, მოიწყენენ ხოლმე. მოწყენა რა სათქმელია, ავად ხდებიან პირდაპირ. სხდომისთვის თემის გამოძებნა მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს. მათ შეუძლიათ ნებისმიერი საკითხი გაასერიოზულონ, ამდენად გამოსვლებიც დიდხანს გასტანს ხოლმე. ვიღაცას საყვედურობენ, ვიღაცას აჯილდოებენ. ასე რომ მეცნიერები სხდომის შემდეგ ერთხანს თავს კარგად გრძნობენ.

ეს დროარეული მოხუცი მეცნიერები და ცნობიერებით მათზეც კი ხნიერი თანაშემწეები სხვადასხვა სფეროში ატარებენ კვლევებს. მაგალითად, აქ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ასეთ რამეს იკვლევს – ბადირაბადად წოდებულ ადგილას ქერის დათესვა აჯობებს თუ იონჯასი? და ეს მაშინ, როცა ბადირაბადში არც ქერის მოყვანაა შესაძლებელი და არ იონჯის. საერთოდაც სადღაა მანდ მოსახნავი მიწა? ხუთი წლის წინ მინისტრებმა და ოლიგარქებმა ბადირაბადი გაინაწილეს და სასტუმროები, დასასვენებელი ცენტრები მოაწყვეს. მეცნიერები კი ჯიუტად არ წყვეტენ თავიანთ კვლევებს და ოფლში იწურებიან ისევ.

ისმის კითხვა – თუკი ამ მეცნიერების გამოკვლევები არაფერში არგია, ხელისუფლება აკადემიას რატომ არ ხურავს? რატომ უხდის ამ მოხუც მეცნიერებს ხელფასს არაფერზე?

ამ საკითხზე ოპოზიციურ გაზეთში «იენი აბადლიგ» სათაურით «მთავრობა მეცნიერებათა აკადემიას რატომ არ ხურავს» მოზრდილი სტატია იყო დაბეჭდილი. სტატიაში ეწერა რომ მისი დახურვა მთავრობას ხელს არ აძლევს, რადგან უმუშევრად დარჩენილი მოხუცი მეცნიერები ერთმანეთის მიყოლებით მოკვდებიან. ოპოზიციური სულისკვეთების მქონე გაზეთები კი იტყვიან, რომ ეს მთავრობის უყურადღებობის გამოა, მთავრობა მეცნიერებაში ფულს არ დებს...

სამაგიეროდ, მეცნიერები ყველა სფეროში მთავრობის პოლიტიკას უჭერენ მხარს. საჭიროების შემთხვევაში იკრიბებიან და ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ ძალებს წყევლიან. ახალგაზრდებს ჭკუას არიგებენ, ემოციების მოთოკვას ურჩევენ, უცხოური ძალების

გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხეებზე მიანიშნებენ და საერთოდ, ერს გაერთიანებისკენ, სოლიდარობისკენ მოუწოდებენ.

გაზეთ «იენი აბადლიგში» გამოქვეყნებულმა სტატიამ მეცნიერები გააბრაზა. გაანჩხლებულმა მეცნიერებმა გაზეთს სასამართლოში უჩივლეს. თუმცა მათ საჯაროდ თავი რაც არ უნდა ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეტრფეებად მოგვაჩვენონ, გულის სიღრმეში, მიფარულში, საბჭოთა კავშირის ნოსტალგიას განიცდიან. ერთ დროს მათზე დაწერილ სტატიებს გაზეთებიდან ამოჭრიან და წმინდა რამ საგანივით დაჰკანკალებენ. სტატიებს ჩარჩოში სვამენ და კედელზე ჰკიდებენ. საბჭოთა დროს იხსენებენ და დაუღალავად ლაპარაკობენ თავიანთ მოგონებებზე. მაშინ სხდომებზე სახელმწიფოსა და პარტიის წარმომადგენლის დასწრება აუცილებელი იყო. სხდომები უფრო სერიოზულად და მკაცრად ტარდებოდა. საბჭოეთის სხვა რესპუბლიკების აკადემიებიდან წარმომადგენლები ჩამოდიოდნენ. ვიღაცას გადაასახლებდნენ. ვიღაცას აპატიმრებდნენ. სამეცნიერო წოდებას, ბინას ართმევდნენ. ამგვარ რამეებს ჰყვებიან და მერე ამატებენ:

– არა, მაშინდელი სხდომები სულ სხვა იყო.

აკადემიკოსი ვუგარ შამსიზადე თავის გამოსვლას აგრძელებდა:

– ...რა თქმა უნდა, მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესი თავისთავად კარგია, მაგრამ იმის ცოდნაც გვმართებს, რომ პროგრესს დადებითთან ერთად, გარემოსთვის დამაზიანებელი ფაქტორებიც ახასიათებს. ქარხნების არასწორ ადგილას აშენება, ქალაქებში სამრეწველო დაწესებულებების ერთ ადგილზე კონცენტრაცია მოსახლეობისთვის ძალზე საზიანოა. ატმოსფეროში

გაშვებული უამრავი ქიმიური ნივთიერება ადამიანების ჯანმრთელობას ვნებს, მათ ცხოვრებასა და აქტიურობას აუარესებს. არა მხოლოდ ადამიანებს აზარალებს, სასარგებლო მწერებს, ჩიტებსაც ანადგურებს. ბოლო წლებში ჩვენს ქალაქში ჩიტების რაოდენობამ მკვეთრად იკლო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩიტის დანახვა გვიკვირს. მდინარეებისთვის, ტბებისთვის, ზღვებისთვის მიყენებული ზარალი ცალკე სამსჯელოა. მათი ნავთობით, ქლორული შენაერთებით, რადიოაქტიური და სხვა ნივთიერებებით დაბინძურების გამო ზღვის მწვანე ცისფერი მცენარეები არ ვითარდებიან. წყალში ჟანგბადმა იკლო. ბიოლოგიური რეჟიმი დარღვეულია. რომლის საბაბითაც ძვირფასი და გემრიელი თევზები გაქრნენ. ერთი სიტყვით, ბუნების დაცვა ჩვენი საუკუნის ყველაზე აუცილებელი საქმეა! ჩვენი სამშობლოს შეუდარებელი ბუნებრივი რესურსებით არა მხოლოდ ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა, მათმა შემდგომმა თაობებმაც უნდა იხეირონ.

სამწუხაროა, რომ ამას საკმარისად არ ვიაზრებთ. ბუნებას ბარბაროსულად ვეკიდებით. არ ვფიქრობთ, რომ ბუნებრივი ნედლეულის სიუხვის მიუხედავად, იგი ერთ დღესაც ამოიწურება. რომ გამოზოგვითა და მზრუნველად უნდა მოიხმარო. ნამდვილი ადამიანური, ნამდვილი პარტიული, ნამდვილი მოქალაქეობრივი მზრუნველობით. თუ არ მივივიწყებთ ამ ვალს, ამ მოვალეობას და გასაქანს არ მივცემთ ბინძურ, კნინ გრძნობებს, რაოდენ ავმაღლდებით, რაოდენ განვვითარდებით, რაოდენ დავსრულყოფილდებით რომ იცოდეთ. დიახ, ადამიანური ეთოსი, მისი ზნეობრივი სისპეტაკე ძალიანაც მნიშვნელოვანია. სამწუხაროა, რომ მისით საკმარისად არ ვართ დაკავებულნი. ჩვენს შორის ზნეობირიობამომპალი,

მრწამსამოძირკვული ადამიანები მრავლობენ. მათ წინააღმდეგ ბრძოლა კი სუსტია, ძალზე სუსტი. ჭკუა-გონების, ის კი არადა, სინდისის იმპერიალისტურ ძალებზე მიმყიდველებისთვის სხვათა სულიერი ტანჯვის, მორალური ტკივილის გაგება რთულია. მათთვის უცხოა ადამიანისადმი პატივისცემა, გლეხისა და მუშათა კლასის მიმართ ამაღლებული გრძნობა. კაპიტალისტური კულტურის მიერ გადმოცემული შხამიანი ზეგავლენები ჩვენს ახალგაზრდებს გზას აცდენს. ახალგაზრდობაში, სანამ გოგონას ერთ სიტყვას ვეტყოდით, ოფლად ვიღვრებოდით. აღელვებისგან ენას სიტყვა არ ეკიდებოდა. ხახა გვიშრებოდა. გული ისე ძალუმად გვიფეთქავდა, რომ მისი ბრაგუნი ახლომყოფების ყურებს სწვდებოდა. ახლანდელი ბიჭების უმრავლესობა გოგონას გაცნობისას იოტისოდენა აღელვებასაც არ განიცდის. თუკი ბიჭს შორიდან მომავალი თავისი სატრფოს დანახვისას ჟრჟოლამ არ დაუარა, ყელი არ გაუშრა, ეს ნიშნავს რომ მისი სიყვარული ყალბია. ამ გულის გადამყიდველების მიერ შექმნილ ოჯახებში გაჩენილი, გაზრდილი ბავშვების სამშობლოს, პარტიისთვის სანიმუშოდ დასახვა გულუბრყვილობაა.

ციოლკოვსკების, აინშტაინების და სხვა ბრძენი ადამიანების ფრთებით კოსმოსური სივრცის ამთვისები, შორეული პლანეტების ჩვენთვის დამაახლოებელი მეცნიერება აზრთა სხვადასხვაობის, შედავებების გარეშე ვერ განვითარდება. თვით ჩვენი ცხოვრებაც უბრძოლველად მონოტონური და მოსაწყენი იქნებოდა, არ გავხალისდებოდით და ძროხასავით ჩავრჩებოდით ტლაპოში. მეცნიერების ტლაპო კი ჩვეულებრივ ტლაპოზე ღრმა და უფრო საშიშია.

(ამ დროს აკადემიკოსის თანაშემწემ მშვიდი, მაგრამ ყველას, თვით აკადემიკოსის გასაგონადაც: «გენიალური გამოსვლაა» თქვა).

ჩვენ ჩვენი განვითარების გულისთვის პოლემიკას არ ვერიდებით. მაგრამ ერთი პირობით. აქ ერთი მეტად ფაქიზი მომენტია. იმ პირობით, რომ ამან ჩვენს პირად ურთიერთობებს დაღი არ უნდა დაასვას.

როგორც ჩემი გამოსვლის თავში მოგახსენეთ, ინტელიგენტისთვის, მეცნიერისთვის მოუხდენელი ქცევებისგან თავი შევიკაოთ. თორემ როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: ძაღლს ვინც მოკლავს, იმასვე დაამარხვინებენო.

აქ კი აკადემიკოსის დაუძინებელმა მტერმა, პროფესორმა ზია ლალიევმა, ადგილიდანვე, ხელის აწევისა და სიტყვის მოთხოვნის გარეშე, რეპლიკა ისროლა:

– ძაღლს ვინც მოკლავს, იმასვე დაამარხვინებენო, საფუძველშივე მცდარია. ძაღლს ვინც მოაკვლევინებს, იმასვე დაამარხვინებენო, – უნდა იყოს.

აკადემიკოსი პროფესორის ამ რეპლიკამ შეაჩქვიფა. თავისი გამოსვლის ამ ყველაზე საზეიმო მომენტში წამოსროლილმა შენიშვნამ გააგულისა. ხმა აუკანკალდა. აკადემიკოსმა ბრაზის ჩასახშობად და თავის ხელში ასაყვანად გრაფინიდან წყალი დაისხა და მოსვა.

ერთმა რეპლიკამ ერთკვირიანი შრომა გაუქარწყლა. პასუხი გასაცემი იყო. აკადემიკოსმა რისხვის დაოკებით, ათრთოლებული თითებით ჰალსტუხის კვანძი მოაბოშა და პერანგის საყელო შეიხსნა. ცხვირზე ჩამოცურებული სათვალე ცერა თითით ისევ კეხზე ააბრუნა, პირი

პროფესორისკენ ქნა და უკიდურესად ყალბი სიმშვიდით მიუგო:

– პატივცემულო პროფესორო, მე აზერბაიჯანული ენა ძალიან კარგად ვიცი, რაც უმაღლეს ხელმძღვანელ პირებს არაერთხელ დაუდასტურებიათ. მოსკოვში სწავლის დროს, ბევრისგან განსხვავებით, ჩვენი მშობლიური ენისათვის ზემოდან არასოდეს მიყურებია. მაშინ ბევრი თავის სახლშიც კი რუსულად ლაპარაკობდა. თავიანთ ძაღლებსაც კი რუსულად უყვავებდნენ. მე კი ყოველთვის ჩვენი მშობლიური ენის განვითარების მომხრე გახლდით.

დღესაც ჩვენი ენის სიწმინდის დაცვის საქმეში ჩემი წვლილის შეტანას ვცდილობ. სატელევიზიო წამყვანები ჩვენს ენას ფრთებს რომ აკვეცენ, სიბრაზისგან ერთ ადგილას ვერ ვჩერდები. რამდენჯერ მიმიწერია ტელევიზიის ხელმძღვანელობისთვის, რედაქტორებისთვის და მითხოვია რომ ენის სიწმინდე დაეცვათ. ყოველთვის ვცდილვარ, რომ ლაპარაკისას, გამოსვლებისას ანდაზებისთვის მიმემართა. ჩვენ წინაპართაგან ნამემკვიდრევი ადათები უნდა შევინარჩუნოთ. მე ანდაზა სწორად წარმოვთქვი. ძაღლს ვინც მოკლავს, იმასვე დაამარხვინებენო...

პროფესორმა ზია ლალიევმა იგრძნო, რომ აკადემიკოსი წყობილებიდან გამოიყვანა, რამაც ძალიან აამა. წლების განმავლობაში ამას ნატრობდა, ეს ენიაზებოდა და, პირველად მოეხერხებინა ეს. ეს გამარჯვება იყო, პროფესორის დიდი ტრიუმფი. ამით ძალამოცემულმა გადაწყვიტა, რომ ყველას თვალწინ გაემასხარავებინა.

დარბაზში მსხდომებმა ჩხუბისთვის შემზადება იყნოსეს და ამიტომ ერთბაშად გამოცოცხლდნენ. დიდი ხანი იყო, მაღალი რანგის მეცნიერებს შორის სისხლიანი

ორთაბრძოლები არ გამართულიყო. ორთაბრძოლებს დანატრებულები იყვნენ, ასპირანტების ჩხუბი კი ინტერესმოკლებული იყო. ამიტომ ამ სიტყვიერ ჭიდილს არავინ შეწინააღმდეგებია, პირიქით, ადგილებიდან წამოსროლილი რეპლიკებით აკადემიკოსსა და პროფესორს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ:

– პატივცემულო აკადემიკოსო, ძალზე მახარებს ჩვენი ენისადმი თქვენი ასეთი გაფაციცება. მერწმუნეთ, ყოველ ახალგაზრდა მეცნიერს თქვენგან მაგალითის აღება შეუძლია. თუმცა, ჩვენ აზერბაიჯანელები ვართ უპირველეს ყოვლისა და ჩვენი ენის დაცვა ყოველი ჩვენგანის მორალური ვალია. მსურს, ისიც აღვნიშნო, რომ დღეს აკადემიკოსობით თავმომწონეთაგან უმეტესობა მაშინ მოსკოვში შემეცნებით სულაც არ იყო დაკავებული, სახელმწიფოსა და ხალხის ხარჯზე რესტორნებში დაქეიფობდა, ლოთობდა. ახლა კი მორალზე და სულიერებაზე გვიქადაგებენ. მე აზერბაიჯანული ფოლკლორი ძალზე კარგად ვიცი. ჩვენს ხალხს ძაღლი არასოდეს დაუმარხავს. ამისთვის მათ სად ეცალათ. ძაღლის ლეში ოჯახისგან, სოფლისგან, დასახლებული პუნქტისგან შორს მიჰქონდათ და იქ აგდებდნენ. ამიტომაც ძაღლს ვინც მოკლავს, იმასვე დაამარხვინებენო, საფუძველშივე მცდარია...

ასეთმა ღია თავდასხმამ აკადემიკოსი კიდევ უფრო გაახელა. ისე გაახელა, რომ ყურები სიბრაზისგან გაულურჯდა. პროფესორისთვის სასიკვდილო დარტყმის მისაყენებლად მოემზადა. რამაც სხდომათა დარბაზში მყოფი მეცნიერები სიხარულით აღავსო:

– ამხანაგო პროფესორო, ნება იბოძეთ და ღიად ილაპარაკეთ. თქვენი შენიშვნები განგვიმარტეთ.

კონკრეტული პიროვნება დაასახელეთ. მოსკოვში არასოდეს, ვიმეორებ, არასოდეს მიქეიფია. სახელმწიფოსა და ხალხის ნდობის გასამართლებლად მეცნიერებით დავკავებულვარ, მისწავლია. სხვები გოგოებში რომ დადიოდნენ, მე საკითხებს ვიკვლევდი. ზოგ-ზოგიერთებივით კონიაკი, ხიზილალა კი არ ჩამიტანია რუსი თუ ებრაელი მეცნიერებისთვის და მერე ნაშრომები მათთვის კი არ დამიწერინებია ჩემს სახელზე. ასე, რომ... გთხოვთ, გონს მოეგოთ და კარგად გაიაზროთ, თუ ვის ელაპარაკებით. მე აკადემიკოსი ვუგარ შამსიზადე გახლავართ. დღემდე შეცდომაში ვერავის გამოვუჭერივარ. კაი ბიჭი სხვას შესაძლებლობას არ მისცემს, რომ შეცდომები აღმოუჩინონ. რატომ? იმიტომ, რომ კაი ბიჭი შეცდომებს არ უშვებს. მე ჩემს ყოველ სიტყვაზე «ატვეჩაი» ვარ. ვისაც მინდა, როგორც მინდა, პასუხს გავცემ. ახლა სხდომათა დარბაზში ვართ, მაგრამ სადაც გინდა, როცა გინდა, თუნდაც აკადემიის შენობის უკან გავიდეთ და საუბარი იქ მოვამთავროთ. გაფრთხილებთ, რომ სიტყვებს დაუკვირდეთ და პასუხისმგებლობით მოეკიდოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვანაირად აგიხსნით. თავადაც კარგად უწყით, ჩემი ბიჭი თუ სად მუშაობს. მე თუ არაფერი, მან რომ გაიგოს, თქვენთვის არ იქნება კარგი. ის არასოდეს დაუშვებს, რომ ვიღაც შემთხვევითმა გამვლელმა მამა ჯამაათის თვალწინ გაუქილიკოს. სახტად ვარ დარჩენილი პირდაპირ. საიდან ასეთი ძირმომპალი ცნობიერება და მრწამსი? თქვენ ხომ მეცნიერი ხართ და სპეტაკი ზნეობა ხომ ჩვენთვის აუცილებელია.

– ამხანაგო აკადემიკოსო, სიტყვები შეარჩიეთ. კი, ვიცი, თქვენი ბიჭი სადაც მუშაობს, მაგრამ ნურც ჩემი სიძის თანამდებობას მიაყურისძირებთ. ისიც არ დაუშვებს, რომ ვიღაც შემთხვევითმა პლაგიატმა სიმამრი გაუტრიზავოს.

მორალზე ლაპარაკის უფლება არ გაქვთ. რაზეც გნებავთ, იყბედეთ, მრწამსზე და კრედოზე კი არა. თქვენ 1990 წლის იანვარში ნაციონალისტების ზეგავლენით მასის სიმპათიის მოსაპოვებლად პარტიის ბილეთი გადააგდეთ. ორი დღის მერე გაზეთ «კომუნისტში» დიდი სტატია გამოაქვეყნეთ და პარტიას ბოდიში მოუხადეთ. აღიარეთ, რომ ემოციებმა აგიტანათ და ნაციონალისტების ზეგავლენით გზას ასცდით. პარტბილეთის მოსროლა თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდ შეცდომად გამოაცხადეთ. ამ შეცდომის მიტევებისთვის დიდხანს იხვეწეთ, ცრემლი აღვარღვარეთ. თქვენმა გმირობამ მხოლოდ ორ დღეს იცოცხლა. კარგად გვახსოვს. ის კი არადა, იმ სტატიასაც ვინახავ და თუ მოისურვებთ, ასლს გადავიღებ, გავამრავლებ და თქვენს მეგობარ მეცნიერებს ჩამოვურიგებ.

– მიუხედავად თქვენი პროფესორობისა, ღარიბი ფანტაზია გქონიათ. ტყუილიც ნიჭიერად უნდა შეთხზათ. ისე ოსტატურად უნდა მოიგონოთ, რომ სხვებმა ირწმუნონ. ვინაა პლაგიატი? მე თქვენ გეკითხებით, ვინაა პლაგიატი? ვისაც მე პლაგიატი ვგონივარ, თავისიანებში მოიკითხოს ჯერ!

– მართალს ბრძანებთ. მე ტყუილის შეთხზვა არ მემარჯვება, ამიტომაც შიშველ სიმართლეს ვაცხადებ. ისე ნუ მოგაქვთ თავი, თითქოს არ ვიცოდეთ, აკადემიკოსობა როგორ მიიღეთ. თქვენთან მყოფებმა ყველაფერი გვიამბეს. ყველაფერი ვიცით. წადით და ის ზღაპრები სხვებს მოუყევით. თქვენი ბიოგრაფიის ფარული ფურცლები, დიდი ხანია, დაზუთხული გვაქვს. დიახაც, თქვენ პლაგიატი ხართ.

აკადემიკოსი და პროფესორი ამის შემდეგ ყურით გაუგონარი და ასაღწერად უხერხული ლანძღვით დაიძრნენ ერთმანეთისკენ. გარშემომყოფებმა სიმშვიდისკენ მოუწოდეს, მაგრამ მაინც ვერაფერი შეასმინეს. თუმცა, ყოველი მათგანი გულში სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. ამიტომაც მათ გასაშველებლად დიდადაც არ გამოუდვიათ თავი. პირიქით, მალე დამშვიდებისკენ მოწოდებებს თავი ანებეს და ჩხუბის აგიზგიზებაში უფრო გამობრძმედილებმა ორივე მხარე უფრო სასტიკი ლანძღვისა და გაშმაგებისთვის მოქოქეს. აკადემიკოსი და პროფესორი პირისპირ დადგნენ, ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. ორივეს თმა გასთეთრებოდა.

– თქვენ ვისზე თქვით პლაგიატი?

– თქვენზე. თქვენ მსოფლიოს უდიდესი პლაგიატი ბრძანდებით...

აკადემიკოსს ასეთი მკვეთრი გადასიტყვ-გადმოსიტყვებები მობეზრდა. პროფესორს გულისპირზე ჩაებღაუჭა ორივე ხელით და თავი ატაკა. მოულოდნელმა დარტყმამ პროფესორი დააბნია. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ პროფესორს სათვალე იატაკზე დაუვარდა. სათვალესთან ერთად კი იატაკზე სისხლმაც იწვეთა. ხნიერი ადამიანის ცხვირიდან სისხლის წასკდომა გულსატკენი სანახავი იყო. დარბაზის ზემო ნაწილშიც ცალკე ბრძოლა გაჩაღებულიყო. იქ აკადემიკოსისა და პროფესორის თანაშემწეები დატაკებოდნენ ერთმანეთს, თუმცა, დარბაზში მყოფნი იმ ბრძოლით არ ინტერესდებოდნენ.

აკადემიკოსი თაური დარტყმით გამხნევდა და პროფესორს ხელმეორედ მიეტანა. წლობით გაწელილ ამ ომში გამარჯვება და დარბაზის ტრიუმფატორად დატოვება

ჰქონდა უზურში. ამიტომაც პროფესორს ქამარში ჩასჭიდა ხელი და კისრით წამოღება განიზრახა. თუმცა ამ ფანდის შესასრულებლად ძალა არ ეყო. შექმნილი ვითარებით მოსარგებლე პროფესორმა სახეზე ხელის ერთი გადასმით სისხლი მოიწმინდა, პიჯაკის ჯიბიდან ელექტროჩაიდანი ამოაძრო და მთელი ძალით აკადემიკოსს თავში უთავაზა...

სიუზან შილინგლოუ

სან ხოსეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგი, ლიტერატორი. იგი არის სტაინბეკის ნაციონალური ცენტრის დირექტორი სალინასში (კალიფორნია). სან ხოსეს უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის პროფესორი, სადაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სტაინბეკის კვლევის ცენტრს. უკანასკნელი 29 წლის მანძილზე შილინგლოუ იკვლევს

სტაინბეკის შემოქმედებას, ხშირად კითხულობს ლექციებს ავტორის გავლენასა და მნიშვნელობაზე.

სტაინბეკის შესახებ მის მიერ გამოქვეყნებული წიგნებიდან აღსანიშნავია «კეროლ და ჯონ სტაინბეკები ქორწინების პორტრეტი» (ნევადის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), «მრისხანების მტევნების» წაკითხვისთვის» (პინგვინი, 2014), ასევე «მოგზაურობა სტაინბეკის კალიფორნიაში» (2006, 2011). მასვე ეკუთვნის ბოლო წლებში «პინგვინ ნიუ ამერიკან ლაიბრერის» სერიით გამოცემული სტაინბეკის რამდენიმე წიგნის წინასიტყვაობა. შილინგლოუ ასევე ავტორია სამეცნიერო ესეების კრებულებისა (მაგ. «სტაინბეკი და გარემო», 1997), ასევე სტაინბეკის ჟურნალისტური მემკვიდრეობის გამოცემა «ამერიკა და ამერიკები, რჩეული ნაწერები» (2002).

გლობალური ადგილობრივია, ადგილობრივი კი – გლობალური. ჯონ სტაინბეკის საბჭოეთი /ამერიკა / კალიფორნია

(ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)

«ხალხთა თანამეგობრობა ინდივიდთა დამეგობრებით უნდა დაიწყოს. ზოგადი ხომ მუდამ კერძოდან გამომდინარეობს.»
«თავაზიანობამ არ იცის არც რასა, არც ეროვნება. თავაზიანობას ენა არ სჭირდება, ის თვითონაა ენა».
ჯონ სტაინბეკი 1963 წელს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ.

ჩემი წერილის სათაურის განსამარტად, პირველ ყოვლისა, მსურს შევეხო იმას, თუ რატომ მოიცავდა სტაინბეკი მუდამ გლობალურ პერსპექტივას. რამ უბიძგა ამ მოუსვენარ, ცნობისმოყვარე და არსებითად ამერიკელ მწერალს, სამჯერ სწვეოდა საბჭოეთს 1937, 1947 და 1963 წლებში?

ჯონ სტაინბეკმა ლენინგრადი და მოსკოვი პირველად 1937 წლის ზაფხულში მოინახულა, – სწორედ მას მერე, რაც თავის მთავარ რომანზე, «მრისხანების მტევნებზე» მუშაობას შეუდგა. მისი ამ მოგზაურობის მიზეზი იდუმალებითაა მოცული. იმ ზაფხულს მწერალი თავის მეუღლე ქეროლთან ერთად პირველად გაემგზავრა უცხოეთში: ჯერ შვედეთსა და დანიაში, იქიდან კი მოსკოვში.

სტაინბეკი 1930-იანთა კალიფორნიის რევოლუციურად მოაზროვნეთა ფალანგას მიეკუთვნებოდა. იმ ეპოქის მრავალი ამერიკელი მწერლისა და ლიბერალის მსგავსად, სტაინბეკსაც ხიბლავდა სოციალიზმი. 1935-39 წლებში

სტაინბეკის აქტივისტური პოზიცია ორი ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის, ერსკინ სქოტ ვუდისა და ლინკოლნ სტეფენსის გავლენით ჩამოყალიბდა; მათგან ერთ-ერთს ან ორივეს შეეძლო, მწერალი მოსკოვში გასამგზავრებლად დაეყოლიებინა. ვუდი კომუნისტი და აქტივისტი გახლდათ, დაიბადა კალიფორნიის პატარა ქალაქ ლოს-გატოსში, სადაც სტაინბეკი 1936 წელს საცხოვრებლად გადავიდა (ამჟამად ქალაქს სილიკონ-ველი ეწოდება). სტეფენსი, საკმაოდ სტაჟიანი მწერალი და ლიბერალი, რუსეთში 1917 წლის რევოლუციის უშუალო მოწმე იყო: «მომდევნო საზოგადოებრივი წყობა სოციალისტური იქნება, მას კომუნისტები დაამყარებენ და გაუძღვებიან კიდეც», – წერდა ის. სტაინბეკი ემხრობოდა ვუდისა და სტეფენსის მისწრაფებებს ისეთ ამერიკაზე, რომელიც, არსებულთან შედარებით, უფრო თანასწორი იქნებოდა, სადაც მშრომელებს ღირსეულად და სამართლიანად მოეპყრობოდნენ, ყველას მსგავსად კეთილმოწყობილი ბინა და საკმარისი ხელფასი ექნებოდა. სან-ფრანცისკოში გამოცემულ ლიბერალურ გაზეთ «ნიუს»-ის რედაქტორთან, ჯორჯ უესტთან ერთად ამ გავლენიანმა მწერლებმა 1930-იანი წლების ჩრდილოეთ კლიფორნიაში პარტიზან მოაზროვნეთა მთელი ჯაჭვი შეკრეს. მართლაც, პირველი ჟურნალისტური შეკვეთა, რაც სტაინბეკმა 1936 წლის შემოდგომაზე მიიღო, შემდეგში მდგომარეობდა: მას სან-ფრანცისკოს «ნიუსისთვის» უნდა დაეწერა კალიფორნიის მინდვრებზე მიგრანტი მუშახელის საცხოვრებლებზე, სადაც ყოფითი პირობები სტანდარტულ ნორმებს ვერ აღწევდა. 1937 წელს სტაინბეკის სსრკ-ში მოგზაურობასთან დაკავშირებით მხოლოდ ორიოდე ბუნდოვანი მინიშნება გვაქვს: 1936 წლის მარტში გამომცემლისადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სტაინბეკი, შესაძლოა,

მოსკოვში «ნიუ მესის» კორესპონდენტ ჯოშუა კუნიცთან შეხვედრას აპირებდა, რომელიც 1936-37 წლებში ტროცკისტთა რეპრესიების შესახებ აქვეყნებდა რეპორტაჟებს. «რუსეთში მთელი პოლიტიკური იდეა ჰაერშია გამოკიდული, – სწერს მწერალი გამომცემელს, – დავალებული მაქვს, კუნიცს მივწერო და...» – აქ წყდება წერილი.

თითქმის ერთი წლის შემდეგ სტაინბეკმა ლეიბორისტთა ორგანიზატორის შეკითხვას შემდეგნაირად უპასუხა: «რამდენიმე კვირაში რუსეთში მივემგზავრები... ხომ იცით, ამ საქმისათვის ცდას არ დავიშურებ.» მართალია, მოგვიანებით სტაინბეკი რადიკალურად განუდგა სოციალისტურ იდეოლოგიას, რომელმაც დააწერინა რომანების ტრილოგია პროლეტართა შესახებ – «საეჭვო ბრძოლაში», «მრისხანების მტევნები» და «თაგვებისა და ადამიანების შესახებ» – ის მაინც დიდწილად პარტიზან მწერლად რჩებოდა; თუმცა ცალსახად კომუნისტად თავი არ გამოუცხადებია, მაგრამ დაჟინებით გამოთქვამდა აღშფოთებას ფერმებზე მომუშავეთა დაბალი ხელფასებისა და უბადრუკი საცხოვრებელი პირობების გამო. 1962 წელს ნობელის პრემიის მიღების შემდეგ სტაინბეკმა მკაფიოდ გამოკვეთა თავისი პოზიცია: «ჩემს აღშფოთებას ყველაზე მეტად ის იწვევს, რომ ერთგვარი აუცილებლობაა შექმნილი, ანგარებისა და სიხარბის გამო ძლიერმა სუსტი დაჩაგროს. ამას განრისხებამდე მივყავარ. ამის პატიება შეუძლებელია.»

«მრისხანების მტევნები», წიგნი, რომელიც სტაინბეკმა 1937 წელს რუსეთში მოგზაურობის შემდეგ დაასრულა, ერთდროულად ადგილობრივიცაა, ეროვნულიც და საერთაშორისოც. ღატაკთა ხვედრის გამო სტაინბეკის გულისტკივილი კალიფორნიის საზღვრებს სცილდება.

რომანზე მუშაობის პერიოდში ავტორი სწერდა მეგობარს: «ეს შეუპოვარი მომთაბარე ადამიანები გარდუვალი სოციალური ცვლილებების მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად უნდა იქცნენ. და ამის გამო მათ წინაშე ქედს ვიხრი.» ამ რომანში ის პარალელებს ავლებს მომთაბარე მუშახელის სამართლიანობისათვის ბრძოლასა და ამერიკის სამოქალაქო ომს შორის; მოჰყავს ნიმუშები ბერძნულ-რომაული ისტორიიდან («დიდი ხნის წინათ გერმანელთა ტომები მდიდარი რომის საზღვარს მიადგნენ და მდაბლად შეევედრნენ: ჩვენმა ბელადებმა აქეთ მოგვრეკეს, მოგვეცით მიწა»); სოციალისტური რევოლუციის ისტორიიდანაც: «ხალხის სულებში მრისხანების მტევნები მწიფს, ივსება, მძიმდება და რთველიც არ დააყოვნებს» (თავი 28). «მრისხანების მტევნებზე» მუშაობისას სტაინბეკმა თავისი პერსონაჟების ზოგადსაკაცობრიო თვისებები და მოთხოვნილებები გამოკვეთა: «სულით და ხორცით პარტიზანი ვარ. მთელი ჩემი ძალისხმევა ხმარდებოდა და ხმარდება იმას, რომ ხმამაღლა გამოვთქვა მშრომელი ხალხის მოთხოვნა, ისარგებლონ თავიანთი მოყვანილი მარცვლეულით, თავიანთი მოქსოვილი ქსოვილით და საერთოდაც, სრულად მოიხმარონ ის, რაც საკუთარი ხელითა და გონებით შექმნეს.» ამ გამონათქვამით სტაინბეკი ყველაზე უფრო მიუახლოვდა სოციალიზმის მარქსის მიერ დამკვიდრებულ პრინციპს: «თითოეულს მოეთხოვოს მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე და მიეცეს მისი მოთხოვნილებიდან გამომდინარე».

ამგვარად, «მრისხანების მტევნებში» ადგილობრივი გლობალურთანაა გადახლართული. სტაინბეკმა თავის პერსონაჟებს – სამხრეთ-დასავლელ მიგრანტებს – ზოგადსაკაცობრიო ნაკვთები მიანიჭა; ამავდროულად,

კონკრეტულ ადგილას მცხოვრები, კონკრეტული ისტორიული მომენტით ფორმირებული ხალხის ლიტერატურული პორტრეტების შექმნა სტაინბეკის პროზის სახასიათო ნიშნად იქცა. თუმცა ჯოუდების ოჯახის მდგომარეობა უნიკალური არ ყოფილა. «მსოფლიოში ნებისმიერ გულწრფელ ნაწარმოებს ძირითადი თემა უნდა ჰქონდეს,» – წერდა ის 1938 წელს – «ვცდილობ, ადამიანებს გავუგო». როგორც ჟურნალისტი, სტაინბეკი კერძოს ემსახურება, როგორც მწერალი – გლობალურს.

კერძო და ზოგადი «რუსულ დღიურშიცაა» გადახლართული. ეს გახლავთ თითქმის ათი წლის შემდეგ გამოქვეყნებული ჩანაწერები 1947 წელს რუსეთში სტუმრობის შესახებ, სადაც სტაინბეკი ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად იმყოფებოდა. თუკი «მრისხანების მტევნებს» კალიფორნიის ადგილობრივი გარემო მსოფლიო სიმაღლეზე აჰყავს, «რუსული დღიურიც», თავის მხრივ, ცდილობს, ომით თავზარდაცემული და რუსეთისაგან დისტანცირებული ამერიკელი საზოგადოების ხედვა გლობალურ ძალად აქციოს: რუსეთი მეორე მსოფლიო ომში მისი მოკავშირე იყო, ბოლო დროს წამოწყებული ცივი ომის პირობებში კი მტრად გადაექცა.

ორი ხელოვანი გზას გაუდგა იმ მიზნით, რომ ყურადღება მოსკოვში, კიევში, სტალინგრადსა და საქართველოში მცხოვრებ უბრალო ადამიანებზე გაემახვილებინა. «ჩემთვის, როგორც იქნა, ცხადი გახდა, თუ რა უნდა გავაკეთო რუსეთში,» წერს სტაინბეკი დღიურში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე: «ჩემი მოგზაურობის შესახებ დაწვრილებით ანგარიშს, სამგზავრო დღიურს დავწერ. ასეთი რამ ჯერ არ გაკეთებულა. და ეს ერთ-ერთი ისეთი რამაა, რასაც ხალხი ინტერესით ელოდება» («გზააბნეული ავტობუსის» დღიური). კაპასაც ზუსტად ასევე

იზიდავდა დეტალები. ის ომის ფოტოგრაფი იყო, ვისაც შეეძლო დროისა და ადგილის არსებითი ბირთვის დაფიქსირება, საოცარი თვისება ჰქონდა: «მოვლენის მცირე ფრაგმენტს ისე წარმოგიდგენდათ, რომ სრულ წარმოდგენას შეგიქმნიდათ იმაზე უკეთაც კი, ვიდრე მაშინ, მთლიანი სურათი რომ ეჩვენებინა» («კაცი, რომელმაც საკუთარი თავი გამოიგონა», ჯონ ჰერზი, 77). ამგვარად, სტაინბეკისა და კაპას მთავარ მიზანს პერსპექტივის ადამიანებზე ფოკუსირება წარმოადგენდა; სწორედ ამ მოსაზრებით გაემგზავრნენ «იდუმალებით მოცულ ქვეყანაში», როგორადაც მოჩანდა რუსეთი 1947 წელს, როდესაც «რუსეთისა და ამერიკის ხელისუფლებები ერთურთს მზარდი ორმხრივი უნდობლობით შესცქეროდნენ (ჩიკაგოს «დეილი ნიუსი», 1948 წლის 21 აპრილი). სტაინბეკსა და კაპას სურდათ, ზოგადი წარმოგენების მიღმა ჩაეხედათ. კაპა წერს მათი მოგზაურობის შესახებ: «ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ადამიანებიც, საღი აზრიც, იუმორიც, სრულიად გადაფარა ისეთმა ფრაზებმა, როგორიცაა «რკინის ფარდა» (ერთი წლით ადრე უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა, რომ ევროპა ჩამოფარებულმა «რკინის ფარდამ» შუაზე გაჰყო), «ცივი ომი», ანდა «პრევენტული ომი» (ნიუ-იორკი, «ჰერალდ ტრიბუნი», 1947, 26 ოქტომბერი).

მართლაც, კაპას ფოტოგრაფიული პირდაპირობა და სტაინბეკის მწერლური გულწრფელობა ერთურთს შეეწყო. ორივეს მოუსვენარი ცნობისმოყვარეობა, ტანჯულთა მიმართ მგზნებარე თანაგრძნობა და სოციალურ ცვლილებებში აქტიური მონაწილეობის სწრაფვა ახასიათებდა. სტაინბეკი ასე წერდა კაპას შესახებ:

«მე მგონია, კაპამ ერთხელ და სამუდამოდ უეჭველი გახადა, რომ სულაც არაა აუცილებელი, კამერა უგრძნობი

მექანიზმი იყოს. კალმის მსგავსად, კამერაც სწორედ იმად ღირს, რადაც ის ადამიანი, ვის ხელშიც აღმოჩდება. მასაც ძალუძს, გონებისა და გულის გაგრძელებად იქცეს.»

ორივე ხელოვანმა არაერთი წელიწადი მიახარჯა იმას, რომ მისი ხელოვნება გულწრფელი, მკაფიო, ჟურნალისტურად ზუსტი და, ამავე დროს, მგრძნობიარეც ყოფილიყო. «რუსული დღიურის» დასაწყისში სტაინბეკი კიდევ ერთხელ განმარტავს თავის შემოქმედებით მრწამსს, რომელიც არატელეოლოგიურ აზროვნებაზეა დამყარებული და ასე წარმოგვიდგენს 1947 წლის მოგზურობის მიზანს:

«იქნებ ადამიანისათვის ურთულესი მოვლენების უბრალო თვალყურის დევნება და არსებულის მიღებაა. ნანახს მუდამ ჩვენს იმედებში, მოლოდინსა და შიშებში ვახვევთ. რუსეთში ბევრი ისეთი რამ ვნახეთ, ჩვენს მოლოდინს მკვეთრად რომ ეწინაღმდეგებოდა და, ამ თვალსაზრისით, ძალიან კარგია, რომ ფოტოსურათები შეგვრჩა, რადგან კამერას მიკერძოებაში ბრალს ვერ დავდებთ, ის, რასაც ხედავს, იმას აფიქსირებს («რუსული დღიური»).

შემოქმედთა გადაწყვეტილება, რუსეთის რიგითი მოქალაქეების ცხოვრების დეტალები აღებეჭდათ, 1947 წელს, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკური გამოწვევის ტოლფასი გახლდათ. ტექსტის კითხვისას თავიდანვე შევიტყობთ იმ სირთულეების შესახებ, რასაც ორივე მოსკოვში ჩასვლისთანავე შეეჩეხა. კაპას ქუჩებში ფოტოსურათების გადაღების უფლება არ მისცეს, ის იძულებულია სასტუმროს ნომრის ფანჯრიდან დაჭერილ კადრებს დასჯერდეს. ამიტომაც მისი პირველი ფოტოები ფანჯრის ჩარჩოშია ჩასმული – რაც მთელი მოგზაურობის მეტაფორად გამოდგებოდა. სტაინბეკისა და კაპას მიერ

შექმნილი რუსეთის პორტრეტი დიდწილად შეზღუდული იყო და მათ ეს თვითონაც ესმოდათ. სასტუმროს მოპირდაპირე შენობაში განლაგებული ფოტოატელიედან ვიღაც უცნობი გამუდმებით უღებს ფოტოებს სტაინბეკსა და კაპას. ორივე ცხადად აცნობიერებს იმას, რომ ვიდრე ისინი სურათებს იღებენ, მათაც ვიღაც უღებს. ამ ორმხრივი დაფიქსირების განცდითაა გაჟღენთილი «რუსული დღიურის» ტექსტი.

თავისთავად ცხადია, რომ მთელი ექვსკვირიანი სტუმრობის მანძილზე მათ შესაბამისი უწყებების თანამშრომლები აკვირდებოდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი (განსაკუთრებით კაპა) ოფიციალურ ზღვარს არ გასცდენიან. ხელისუფლებას სურდა, სსრკ უცხოელებისათვის საუკეთესო კუთხით წარმოეჩინათ, როგორც ქვეყანა, რომელიც დამანგრეველი ომის შემდეგ უსწრაფესად შენდება და ძლიერდება. «ვოკს»-ის თავმჯდომარის მოადგილე პოლტორაცკი წერდა:

«ვოკს-ის უკრაინული კომისიის წინაშე შემდეგი ამოცანა იდგა: სტუმრებისათვის უნდა დაგვენახვებინა, ერთი მხრივ, ომით მიყენებული ზარალი ყველა სფეროში, დაწყებული ეკომონიკით, დამთავრებული კულტურით, და, მეორე მხრივ, ჩვენი უდიდესი ძალისხმევა, რომელიც ქვეყნის ფეხზე წამოყენებას ხმარდებოდა.»

თავის ანგარიშში ის განაგრძობს უკრაინაში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების იმ შედეგების ჩამოთვლას, რომელიც ორ ამერიკელ სტუმარს უჩვენეს:

«ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების ნიმუშად სტაინბეკს ორი კოლმეურნეობა დავათვალიერებინეთ: ერთი, სოფელ ლიუტეჟში განლაგებული, ის-ის იყო, უახლესი ტექნოლოგიით იქნა აღჭურვილი, მეორე, სოფელ მაისკეში,

ომმა 70%-ით დაანგრია და ამ დროისათვის ის თავდაპირველზე ბევრად უფრო დიდ მასშტაბებამდე აშენდა. ქალაქში მას უჩვენეს დეგტერევსკის ქუჩაზე მდებარე პურის საცხობი, რომელიც ასევე დაინგრა და თითქმის მთლიანად იქნა აღდგენილი. მან აგრეთვე ნახა ქალაქის საცხოვრებელ სახლებსა და ქუჩებში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოები.»

სტაინბეკისა და კაპას წინაშე შემდეგი ამოცანა იდგა: მთელი ეს ინფორმაცია ადამიანურ, გულწრფელ და ამერიკელი საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე უნდა ეთარგმნათ, ზოგადი სურათი კერძო დეტალებით გაეცოცხლებინათ. მათ ეს მოახერხეს კიდეც. მაგალითად, ერთ უკრაინულ სოფელში კაპამ ფოტოფირზე აღბეჭდა ადგილობრივი ოხუნჯი ქალი, რომელმაც ბადრიჯანი მოუქნია და უთხრა: «ვიდრე მამაკაცს შექმნიდა, ღმერთი ბადრიჯანს რომ დაჰკითხებოდა, ქვეყნად ამდენი უბედური ქალი აღარ იქნებოდა.»

«რუსულ დღიურში» ავტორმა გადალახა მანძილი საბჭოთა პროპაგანდასა და იმ ინტიმურ სურათებს შორის, რომლებიც მან და კაპამ საბჭოეთში მოგზაურობისას ნახეს. მასპინძლები უჩვენებენ იმ ქვეყნის სახეს, რომელიც «სწრაფად დგება ფეხზე და ძალებს იკრებს», როგორც ამას ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, მაშინ, როდესაც სტაინბეკი და კაპა ამ შელამაზებულ პორტრეტს ადამიანურ ნაკვთებს სძენენ. თავმჯდომარის მოადგილე პოლტორაცკი სუკ-ისადმი საანგარიშო წერილში აღნიშნავდა: «კოლექტიურ მეურნეობაში შესვლისთანავე დადებითი შთაბეჭდილება იქმნებოდა: უცხოელმა ხელოვანებმა დაინახეს სუფთა სახლები, ფართო ყანები და მოვლილი ხეხილის ბაღები.» ამავე წერილიდან ვგებულობთ, რომ ამხანაგ საკოვსკის თანხლებით

მინდორში გასულ სტუმრებს უჩვენეს «უხვი მოსავალი: მარცვლეულით სავსე ტომრები, მთებად დახვავებული ძნები და ა.შ. ...კოლმეურნეობაში მუშაობა მშვიდად და ორგანიზებულად მიმდინარეობს, მოსავლის აღებაში ფრონტიდან დემობილიზებული ახალგაზრდების ბრიგადები იღებენ მონაწილეობას.» «რუსულ დღიურში» ჩანს, რომ სტაინბეკმა და კაპამ პროპაგანდის მიღმა ქვეყნის ადამიანური სახე განჭვრიტეს.

მთლიანობაში «რუსული დღიური» მნიშვნელოვანია არა როგორც ამა თუ იმ პოლიტიკური თვალსაზრისის გამომხატველი წიგნი, არამედ როგორც მიღწეული მიზანი: მკვეთრი სურათები, ვიზუალურიც და სიტყვიერიც, რომლებზედაც ომით გადათელილი ხალხია აღბეჭდილი; ადამიანები, რომლებსაც წლების მანძილზე პროპაგანდით კვებავენ და რომლებსაც თავიანთი წინასწარ დასწავლილი პასუხების ჭეშმარიტებაში ეჭვი არ ეპარებათ. ამ ყველაფერს ვხვდებით სტაინბეკის ტექსტში, სადაც გლობალური საოცრად მკაფიო ინდივიდუალურ ნაკვთებს იძენს.

«ასეთი რუსული დღიური საბჭოეთსა და მის ხალხს მთლად სახარბიელო კუთხით როდი გვიჩვენებს», – აღნიშნავს 1948 წელს გამოქვეყნებული წიგნის ერთ-ერთი მიმომხილველი. «მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ზუსტ დახასიათებას აქ არ ახლავს ის დამცინავი და ნიშნისმომგები კილო, რუსეთის შესახებ სხვა წიგნებში რომ შეინიშნება, რომელთა ავტორებიც სსრკ-ს მიმართ მტრულ განწყობას არ მალავენ» (რიჩარდ უოტზი, «ნიუ რიფაბლიკი», 1948 წლის 19 აპრილი).

სსრკ-ში სტაინბეკის უკანასკნელი მოგზაურობა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ

ერთთვიან კულტურულ გაცვლით პროგრამას დაემთხვა. საბჭოთა კავშირის გარდა სტუმრებმა პოლონეთშიც იმოგზაურეს. ვიდრე ამ მოგაურობაზე დათანხმდებოდა, სტაინბეკმა რამდენიმე პირობა წამოაყენა: პირველი იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მეუღლე, ელენი მასთან ერთად უნდა წამოსულიყო. «მეორე მოთხოვნა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ზეგარდმო შთაგონებით მომევლინა,» – სწერს ის სახელმწიფო დეპარტამენტს, – «ისაა, რომ ჩვენთან ერთად [დრამატურგი] ედუარდ ოლბი უნდა გამგზავრებულიყო. ეს ადამიანი იმდენად სხარტი, გონიერი და განათლებულია, რომ მისი წყალობით მოგზაურობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მასზე უკეთესს ცოტა ვინმეს თუ ვიცნობ. ერთურთს ისე კარგად შევეწყვეთ, რომ ბოლოს მასპინძლებმა ჩვენი დაცალკევებაც კი გადაწყვიტეს. ჩემი აზრით, «ბებერმა გვარდიამ» ჩათვალა, რომ ერთად მეტისმეტად დიდ გავლენას ვახდენდით» (სახელმწიფო დეპარტამენტისადმი სტაინბეკის მიერ მიწერილი საანგარიშო წერილი).

«მეტისმეტად დიდ გავლენას ვახდენდით» – ეს ბოლო შენიშვნა ნათელს ხდის, თუ რა მიზნით გაემგზავრა ის უკანასკნელად რუსეთში. 1947 წლის მოგზაურობისაგან განხვავებით, ამჯერად სტაინბეკს მთელი გულით სურდა პოლიტიკური დებატების გაჩაღება და დემოკრატიის დასაცავად აზრის გამოთქმა. სურდა, თავისუფლად მოაზროვნე დისიდენტ მწერლებს შეხვედროდა და გაემხნევებინა. «ყველგან, სადაც კი მწერალთა კავშირში გვიწვევდნენ, ახალგაზრდა მწერლებთან შეხვედრას ვითხოვდით, ამავდროულად, არ ვახმაურებდით იმას, რომ განსხვავებული აზრის მოსმენა გვწადდა.» მისი ერთ-ერთი იმედგაცრუება იმას უკავშირდებოდა, რომ «ძალზე ბევრი

ღირსშესანიშნაობა დაგვათვალიერებინეს, მაგრამ ძალზე ცოტა საინტერესო მწერალს შეგვახვედრეს.»

მაგალითისათვის, მწერლებთან ერთ-ერთი შეხვედრისას გამართული მრგვალი მაგიდის მსვლელობისას «ახალგაზრდობის» გულწრფელობას ის აფერხებდა, რომ შეხვედრას «ბებერი გვარდიელებიც» ესწრებოდნენ, ანუ ის საბჭოთა მწერლები, რომლებიც დაჟინებით იცავდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას. «გადაწყვეტილი მქონდა, ჩემთავად არ წამომეწყო საუბარი, მაგრამ ყველასთან ნებისმიერ დისკუსიაში მიმეღო მონაწილეობა,» – წერს სტაინბეკი საანგარიშო წერილში, – «მაგრამ, როდესაც შეხვედრას სამოცდათხუთმეტიდან ხუთასამდე ადამიანი ესწრება, დისკუსია შეუძლებელია. ჩემს სავარძელში ქინძისთავით მილურსმული ბუზივით ვიჯექი.» სახელმწიფო დეპარტამენტისადმი განკუთვნილ ამ წერილში აშკარად ჟღერს მისი დაღლილობა და იმედგაცრუება.

ეს კიდევ უფრო მკაფიოდ ჩაგვესმის მეორე დოკუმენტის კითხვისას, რომელსაც «1964 წლის მოგზაურობის შემდგომი ფიქრები» ეწოდება. სტაინბეკი წერს, რომ ბებერ დათვს «მწერლები იმაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვნად, საშიშად და უფრო მეტის შემძლედ მიაჩნია, ვიდრე ეს ჩვენთანაა მიღებული. კაცმა რომ თქვას, ხელისუფლების სამსახურში მყოფ მწევარ ძაღლებს არავისი ისე არ ეშინიათ, როგორც ლიტერატორებისა და ამას მათი დასჯით ან სულაც განადგურებით გამოხატავენ». 1963 წელს სტაინბეკი უკვე ცალსახად აკრიტიკებდა საბჭოეთს, რადგან ცხადად დაინახა, რომ იქ ყოველმხრივ ითრგუნებოდა შემოქმედებითი აზრი და სიტყვის თავისუფლება.

ზემოთ ნახსენებ ოფიციალურ ანგარიშში სტაინბეკი წერს: «გვსურდა, თანამოსაუბრეებში ამერიკის შესახებ სიმართლის გაგების სურვილი აღგვეძრა. ამას დროშების ფრიალით როდი ვაკეთებდით, არამედ ვცდილობდით, სრულიად ღიად და გულწრფელად გვესაუბრა. ყოველი შეხვედრისას ვაცხადებდი, რომ მირჩევნია დავინახო ქვეყნის მარცხი და ის ძალისხმევა, რაც მის გამოსწორებას მიახარჯა, ვიდრე მხოლოდ წარმატებები მიჩვენონ, მარცხები კი მიჩქმალონ. როდესაც მეკითხებოდნენ, ასე უმოწყალოდ რატომ ვაკრიტიკებ ჩემს ქვეყანას ჩემს წიგნებში, ასე ვპასუხობდი: «იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა მიყვარს. რომ არ მიყვარდეს, მისი ნაკლოვანებების გამო არ ვიღელვებდი».

თავის ანგარიშს ასე განაგრძობს: «არაერთ შეხვედრაზე დამისვეს მსგავსი შეკითხვა: «სჯერათ თუ არა ამერიკელებს იმისა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია?» – რასაც ასეთნაირად ვპასუხობდი: «ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა არსებობა განვაგრძოთ და ძალიან გაგვიხარდება, თუკი ჩვენთან თანაარსებობას შეძლებთ. მაგრამ, თუკი თქვენი არსებობა ჩვენი გაქრობის ხარჯზე წარმოგიდგენიათ, მაშინ გარწმუნებთ: ვეღარავინ იარსებებს.» ამის შემდეგ ისინი, როგორც წესი, ამ თემას ხურავდნენ».

თვით სტაინბეკის მონათხრობიდან ვგებულობთ, რომ 1963 წლის მოგზაურობის მანძილზე მან გადაწყვიტა, გულწრფელად წარმოეჩინა საკუთარი თავი, როგორც ამერიკისა და ამერიკელი მწერლების ჭეშმარიტი წარმომადგენელი, გამოეჩინა სწორხაზოვნება, ხშირად იუმორიც, სოციალური სამართლინობის მძაფრი განცდა. ერთ-ერთი თანამდებობის პირი, რომელიც მასთან ერთად მოგზაურობდა, წერს: «დიდი დაბრკოლებების წინაშეც კი

მუდამ ინარჩუნებდა თავის ბრძწყინვალე იუმორსა და არაჩვეულებრივ უნარს, აზრსმოკლებულ და პროვოკაციულ შეკითხვებზეც კი საზრიანი პასუხი გაეცა. შედეგად მან მოახერხა, საუკეთესოდ წარმოეჩინა შეერთებული შტატები აღმოსავლეთ ევროპაში».

ამერიკაში დაღლილი დაბრუნდა და თავისი დიპლომატიური თავდაჭერა, რომელიც მოგზაურობისას არასოდეს ღალატობდა, იმით გააბათილა, რომ ორი შეცდომა დაუშვა: ჯერ ერთი, სამადლობელო წერილები მისწერა იმ ქალაქებს, რომლებსაც სტუმრობდა, მაგრამ არ მოუხსენიებია არცერთი თანამდებობის პირი, ვინც მას მასპინძლობდა. მეორე: მან და ოლბიმ აშშ-ში მიიწვიეს ხუთი დისიდენტი საბჭოთა მწერალი, რითაც უყურადღებოდ დარჩენილი «ბებერი გვარდია» გაანაწყენეს. ორივე ქმედებამ აღშფოთება გამოიწვია და სტაინბეკმა ცხადად დაინახა, რომ საბჭოეთის წარმომადგენლებთან შეხვედრებმა უფრო მეტი გაუცხოება წარმოშვა, ვიდრე ურთიერთგაგება. მას კი მხოლოდ ის სურდა, რომ მადლობა გამოეთქვა იმ უბრალო ხალხისათვის, ვინც კარი გაუღო და უმაპინძლა:

«1947 წლიდან მოყოლებული, როცა პირველად ვნახე თბილისი, ის მეხსიერებაში სიზმარივით ჩამებეჭდა. ახლა მეორედ მომიწია იქ დაბრუნება და გავოცდი, როცა სიზმარი ცხადად მექცა. ამიტომაც მსურს, თვით ამ ქალაქს მივმართო: მის კლდეებს, ფერდობებს, იმ ტანად ფიჭვებს, რომლებიც არშიად შემოხვევია, მთის მორაკრაკე ნაკადს, რომელსაც კლდეებს შორის გზა გაუკვალავს, და იმ ლაჟვარდებს, მთების თავზე სამყაროს დასალიერამდე რომ კაშკაშებს. კიდევ მსურს, ამ წერილით ხოტბა შევასხა ძველისა და ახლის იმ მშვიდ და მარადიულ ქორწინებას, თბილისში რომ ვიხილე. ქუჩებში მოსიარულე ადამიანები

ძველისძველი თვალებით უცქერენ იმ ახალ სამყაროს, საკუთარი ხელებით რომ შექმნეს. ამის შემდეგ განა საკვირველია ის, რომ საქართველოს უდიდესი ჭირნახული მისი პოეზიაა?»

რა შეგვიძლია დასასრულს ვთქვათ საბჭოეთზე სტაინბეკის დაკვირვებების შესახებ, საუკუნის მეოთხედს რომ მოიცავს? მისმა პოზიციამ გადაინაცვლა 1937 წლის დაინტერესებული თანაგრძნობიდან 1947 წლის გაუცხოებული დაკვირვებისკენ და, საბოლოოდ, 1963 წელს იმ სისტემის აშკარა კრიტიკით აღიბეჭდა, რომელიც ხელოვანთა თავისუფლებას ზღუდავდა. საბჭოთა კავშირისადმი მისი დამოკიდებულება, მრავალი გაგებით, მთელი ამერიკის დამოკიდებულებას გამოხატავდა, რომელსაც საბჭოეთის მეამბოხური სულისკვეთება და ძალა ერთი მხრივ, იზიდავდა, მეორე მხრივ კი სძულდა. მაგრამ სტაინბეკის პოზიცია გარკვეულწილად უნიკალურიცაა. თანამონაწილე თუ დამკვირვებელი, უპარტიო თუ პატრიოტი – ჯონ სტაინბეკი მუდამ ინარჩუნებდა ცნობისმოყვარეობას და მუდამ მგზნებარედ იყო ჩართული თავისი ეპოქის მოვლენებში, როგორც კერძო სფეროში – რისი საუკეთესო ნიმუშიც «მრისხანებს მტევნებია» – ისე მსოფლიო ასპარეზზე – რასაც საბჭოეთთან და საბჭოთა ხელოვანებთან მისი ურთიერთობა გამოხატავს. მწერლის მზერა სალინასსა და მონტერეიდან მოსკოვს, კიევსა და თბილისს სწვდებოდა.

2. პოეზია

ლია სტურუა

ჩემო ნაცვალსახელებო!

რატომ მოდიან მკვდრები სიზმარში?
ისევ თეთრი ბამბასავით რომ ვდევარ,
ამ სინათლეზე? თვალების გასათბობად?
სულს თუ რამე შერჩა ადამიანური,
ალბათ, მხედველობა,
სხვებზე კარგად იცის, როგორ
მახატია ბამბაზე ოსტეოქონდროზი,
თავისი დაგრეხილი შენაკადებით,
სახსრებიდან მცივა, როგორც ადრე –
ეჭვებიდან, იმათთვის კი მქონდა ნაპერწკალი,
მაგრამ ტყუილი გამითავდა.
აბა, ბუდეში რატომ ვზივარ
და დედა-ჩიტი აქსიომებს მაღეჭინებს?
გაცვეთილ სიმართლეებს
ყველაზე მფარველი ჩრდილი აქვთ?
დანის წვერზე მარილის სიმკაცრე
აუტანელია მწოლიარე ბამბისთვის?
და დროის გაყვანა, ატლასზე დაცურებული
მძივივით, ლამაზად, უკვალოდ
რომ კიდევ უარესი?
მკვდრების მოსვლა სიზმარში რაღაა?
ჩიტის ვარდნა, რომელშიც ნერვია გატარებული,
როგორც თითსწვერებში? მტკივა, სიტყვებზე
ვიხედები, ჰაერის ნაკადს რომ სული დავარქვა,
ყველასი იქნება, მთელი ქალაქის,
ის, ისინი, შენ – უფრო ვიცი,
ვინ ღრუბლიანია, ვინ ჯერ კიდევ,
გაუბედავად ლურჯი

და ახალი გაჭრილივით მტკივა
ჩემო ძვირფასო ნაცვალსახელებო!

გიხარია მარტოს...

თუ ხერხემალზე კარგად დგახარ,
ასე თუ ისე, აწესრიგებ
ძვლებზე ხორცის კომპოზიციას,
ფორმებში ვაშლის წარსული გიზის,
ტვინის შესაბამისი მონაკვეთი
არ უშვებს, დალპეს და ჩამოვარდეს,
როცა ლექსი გამოგდის, როცა კაცები
ხეებივით დგანან ქუჩაში,
რომელიმე მათგანს მწვანე თვალები აქვს
და საერთოდ ვერ გამჩნევს,
მინდორი რომ წამოვიდეს
და შენს სადარბაზოსთან შეწყდეს,
ან სახლში უნდა შებრუნდე,
ან მთელი შინაგანი ელვარება,
თუ ცარიელი სიტყვები არაა,
შუქნიშანივით აანთო და მოძრაობა გააჩერო.
გინდა კი ეს საყოველთაობა?
აღტაცება ყოჩაღი ხერხემლით,
ზომიერი ხორცით, ნატკენი ემოციით,
თუ სახლიდან გამოდიხარ მარტო,
ქუჩაში მიდიხარ მარტო,
გიხარია მარტოს,
რომ ასეთი თბილი ზამთარია...

* * * (უცებ შემეშინდა...)

უცებ შემეშინდა, საკუთარი სისხლის
ფორმულაზე დავფიქრდი, შემიმოწმეს,
მიკროსკოპზე დამიბეს
ჰემოგლობინის ცხელი ძაღლები,
არ უხდებიან სტრესულ გარემოს,
ამინდიც წვიმიანია, წვიმა ეროვნულ
და ლათინურ ჟღერადობაზე არ რეაგირებს,
ისედაც კითხვა რა-ზე პასუხობს
გრამატიკის სახელძღვანელოში,
რა უსულობაზე დგას გრამატიკა!
ამხელა «რა» და პატარ-პატარა «ვინ»-ები...
ერთი-ორი კი გამოელაპარაკება მთებს,
როგორ მიყვარს ისინი, მთების უპასუხობაც,
უსულო გრამატიკა,
კანონიერი თაღების ქვეშ მდგომი.
მაინც ვერ მიშლის
ხეებთან ერთად სიარულს
და თუ ქალაქის ხედი შევცვალეთ?
თაღებში ჩახარშული მკვლელები,
ქურდები, კანონმდებლები გამახსენებენ,
რომ აცრილები არიან
ტყვიაზე და ლურსმანზე,
რომელთა დამიზნების ადგილი
წინასწარ მტკივა...

არაევკლიდური ცხოვრება

ეს ქუჩა ჩემთვის ზაფხულისაა,
ზამთარში ვერ ვცნობ,
მარტო ბებერი ხეები კი არ მაღონებენ
და მშიერი ძაღლები,
დრო ძაფივით წვრილდება და გარბის,
ნემსის ყუნწი თუ არ დავახვედრე
და სამჯერ არ გავნასკვე,
პირობითობა დამენგრევა,
ანუ ცხოვრების წესი (ვიყავი, ვარ, ვიქნები),
კითხვის ნიშანი სადღაა?
გრამატიკული მითითება არ გულისხმობს?
იმპერატივს საჩვენებელი თითი
ხომ არ მოვატეხო, როცა მძივის რითმა
დედაჩემის ყელისგან თბილია
და სტროფს კეტავს, წყალს არ უშვებს,
სადაც პაპსა თუ გაღვივდა,
სცენას გაიკეთებს, ფილარმონიას, სტადიონებს,
ფანჯარასთან მდგარ კაცს უბიძგებს,
რომელმაც ლექსის ანატომია კი ასწავლა,
მაგრამ რაც არ ისწავლება, თავისთვის დაიტოვა,
ღმერთისა არ იყოს, ხომ მისცა
ქვიშის საათივით ტანები, განსაკუთრებით ქალებს,
ეს გრაფიკა აჩვენა, მაგრამ
ქვიშა სად გამოზომილად წვეთავს,
სად ანარქიულად ჩხრიალებს,
მარტო თვითონ იცის და იმან,
ვისაც თბილ ქუჩაში კაცი ელოდება,
პარალელურ ზამთარში უკვდება,

ეს ხაზები არაევკლიდურად გადაკვეთენ
ერთმანეთს, მე – შუაში, სანამ შემიძლია...

ავთვისებიანი ბუჩქების გამო

ღმერთო, შეიბრალე ეს ქალი!
თავიდან ბუჩქი ამოაჭრეს,
ხელები დაიბანეს, პილატე გახსოვს?
და რეანიმაციაში მოათავსეს, ანუ განსაწმენდელში.
სამოთხე ერთი ზამთრით დაკეტილია,
ჯოჯოხეთის კარებთან დანტე დგას
და ლექსს თუ არა,
დანაწევრებულ მეტყველებას მაინც მოითხოვს
ვისგან? ხელების, ფეხების, ხერხემლის ზმნებისგან,
მათი უსათაურობისგან, როცა
არსებითი სახელი კომაშია?
ამასაც ალღო ქრესტომათიისკენ წაუვიდა?
პრიალა ფრჩხილებით
გულუბრყვილოებს და გლუვებს ეჭიდება
და არა სიყვარულზე წაბორძიკებულებს...
მაინც, როდემდე ის სლიპინა ვაშლი
და დეკადენტური თამაშები მის გარშემო?
სცენიდან გახვეტილი
როიალების თეთრი კილომეტრები?
კი, მუსიკას მართმევენ, კი, კრიმინალია,
კედელთან რომ მივაყენო და კედელი მოვკლა?
თუ აგურისაა, ფერიც ჩემზე იმუშავებს,
დანაშაულის კომპლექსს მომიგლუვებს,
სამოთხეც ხომ სიგლუვისაა,
ჯოჯოხეთი – ქრესტომათიამდელი დანტესი,
სანამ ფრჩხილებს გაუკრიალებდნენ...
ღმერთო, შეიცოდე ეს ქალი!
რეანიმაციიდან პირდაპირ მიწაში გაუშვი!

ცოტას დაისვენებს და ისევ ბუჩქი ამოუვა,
ოღონდ კეთილთვისებიანი...

ყვავები

მას უყვარს კაცი –
სულ წითელი ტიტები
ამოსდის მუცლიდან,
კაცს უყვარს ყვავები,
ყვავი როგორ უნდა გამოხატოს?
ხმაში ქვა ჩაიდოს,
არა სრიალა კენჭი,
ხავსიანი მრავალკუთხედი,
პირის სიმრგვალე გახიოს
ხრინწიანი, ძუნწი ბგერებით,
მეტი დაზუსტება აღარ უნდა, როცა პოეტია
და როცა ორი პოეტი ერთად,
ჰაერში ნევროზი, ტიტები ცას ჭამენ,
ყვავებს შავი კურკებივით ისვრიან,
უარყოფილი წითელი მტაცებელი ფერია
შავი მიწისკენ ექაჩება,
შავი და წითელი, ტრაგედიის კლასიკა,
ოღონდ, არა ისტერიული კომპლექსები,
სტენდალი გაიხსენე, მშვიდი მთხრობელი,
შენი დამხვრჩალი ქალაქი,
სადაც ყოველ მესამეს ონკოლოგია აქვს.
აღმოსავლეთ ევროპის კიდევ რომელიღაც სამხრეთში
შენს წერტილობას ვინ შეამჩნევს?
ბრიტანულად გულგრილი მზერა?
ვთქვათ, გამოტყდი, რომ ტედ ჰიუზი გიყვარს,
კი, ერთი საუკუნით დაუგვიანე
რძეში ჩამხობილი მარწყვის ჟრუანტელი,
თარგმანშიც თითო ჟრუანტელი იკარგება,
კაშკაშის ნაშთი ყვავებს მიუგდე! ერთი გაელვება!

ლექსების ციკლი ამ თემაზე შენი არ არის
და სიარული ასე, კულმინაციის მარყუჟით კისერზე?

90-იანი წლებიდან

ვიღვიძებ, ტანზე კაბა მეზრდება,
პირზე – წითელი ობობა,
კაბა უფეროა, მთელი ოხრა
ამინდზე დახარჯული, პირი გამკვეთრებული
90-იანი წლებიდან, პურის რიგებიდან
რუსთაველზე მოჭრილ ხეებამდე,
მათ მაგივრადაც ვიდექით, მკვდრები და ცოცხლები:
ყველას თავის ადგილი ჰქონდა:
რესტორან «თბილისთან» – ისევ პოეტები,
სალონთან – მხატვრები, ოპერასთან –
მთელი სენტიმენტალური მიმდინარეობა
შანელის ფლაკონებში...
ხავერდის კუდზე რომ მოგექაჩა,
დაიმტვრეოდნენ. კი, გენეტიკა,
მაგრამ ეს შუშა არ გადმომეცა,
თორემ მზის და პურის რიგში
ვერ ვიდგებოდი ასეთი მოთმინებით,
რამდენი ფერი და ტალახი დაიხარჯა მათზე,
ვერ ვიფიქრებდი ასე განყენებულად,
მაგრამ პასპორტიც რომ
ქრონიკული მატყუარაა ჩემსავით?
ოღონდ, სხვადასხვა მიმართულებით ვტყუით:
მე – თავსზევით, ის რეალიზმისკენ,
ანუ იმ გენეტიკური შუშისკენ...
ხეებს, მაინც, სხვანაირად უხდებათ მზე,
უფრო ნათესაურად...

* * *(დილა – მთელი სახე ტკივილი...)

დილა – მთელი სახე ტკივილი!
რამხელა ოსტატობა უნდოდა
კბილის ჭანჭიკში
კიდევ ნერვის ჩაყოლებას!
რისთვის?
ვინც საგნების არსზე ფიქრობს,
საკუთარი თავის გასაჩხრეკად
და უმწიფარი ტვინების დასამშვიდებლად,
იმან იკითხოს,
შენ ისიც გეყოფა,
კაცი რომ გამოივლიდა ქუჩაში
და მის დანახვაზე
ძვლები თეთრად გიდნებოდა,
რასაც ჯერ ჟრუანტელს არქმევდი,
მერე სიგიჟეს და არავითარ შემთხვევაში
ამბავს, მერე როცა სიტყვა
ხატისკენ წაგივიდა (მაინც შენი ხელობაა)
ვთქვათ, ცივი რძის ფსკერზე
შაქარივით დალექილ სევდას,
რომელიც მოვა, სკამზე ჩამოგიჯდება,
ამხელა თეთრი მშვენიერება
და ახლა ბავშვებს წაგართმევს,
აბა რა ქნას ამდენი მერე-თი?
მოკეცილი ხერხემალი უკვე გაგისწორდა
და ცას ებჯინება,
საუბარი მაღალ მატერიებზე,
ანუ არაფერზე, ვის რაში სჭირდება,
თუ სადმე ნერვი არ გამოგიძვრა,
რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ჩაგიმონტაჟა,

მთავარია, ვარვარებს, როცა გტკივა
ე.ი. გახსოვს.

ასე ხედავენ

გიჟი მოდის და სახალისო ანატომიაში
ერთი ქალაქისხელა ყურს მიხატავს,
არც არავის ბაძავს, არც არაფერს იმეორებს,
ნორმალური ხომ არაა
და მსმენელებში გაუზავებელ მუსიკას მთხოვს
საიდან? როცა ჩემი საშინაო დავალება
ჭერის ბზარია, კარის ჭრიალი: თითის მოყოლებამდე
და მას შემდეგ: ჯერ მშიერი,
მერე ინტონაციური, მერე – კივილი ცამდე,
ბზარების თანხლებით
მე ტკივილის განხრით ვმუშაობ...
ვკითხულობ რეფრენებიან რომანს
და ვფიქრობ, როგორ უნდა გინდოდეს ლექსი
და 1000 გვერდიანი სხვა რამე გამოგივიდეს!
ამდენივე მუსიკა,
გაურყვნელი საკონცერტო შესრულებისგან,
უყურო მსმენელისგან, ლოჟების კომფორტისგან.
მკითხველს თვალებში აქვს აბსოლუტური სმენა:
ხედავს, როგორ მოაყოლეს შუქი კარებში,
ხედავს გახამებულ მაყურებელს ლოჟების ბაროკოში,
და როცა ამ საჯარო ხავერდს ააგლეჯენ,
თვალებში, კიდევ, სინდისიც თუ შეიძლება,
გიჟები ხედავენ ასე და პოეტები...

ნიკა ჯორჯანელი

ცივი დღეები

არსებობს რისხვა ვარსკვლავების და აგრესია.
მაგრამ ის განა სიყვარულზე უაღრესია.
შეიძლებოდა გამკლავება, და ეს ესეა.
დღეს კი ყველაფერს საწყისები გადარევია.
შეიძლებოდა ერთმანეთის ცქერით გვებოდა,
ვარსკვლავებისკენ მიგვემართა მზერა ზემოდან.
შესაძლებლობებს გავცდენოდით შეიძლებოდა.
რაც მოგვიხერხდა, გამქრალია რადარებიდან.

დღეები დუმან და ციცქნიან მზის უმ სეფისკვერს
და გადიდებულ ცრემლებს ჰგვანან, შესაფერისებს
იმ ქალებისა, ომში მოკლულ ქმრებს რომ ჯერ ისევ
ელოდებოდნენ ძოწისფერი საცრემლეებით.
მეჩხერ ცოცხებად ჩარიგებულ, სიცოცხლით ღარიბ
ხეებში მაღლა, გატიტვლებულ ტოტებზე, მდგარი
შეუნიღბავი, დასანახი დამცხრალი ქარი
ძირს იხედება გამაძღარი მტაცებელივით.

უეცრად სად არ გამოგრიყავს ბედის ნაკადი
კბილის ჯაგრისით, საპარსებით, საპნით, მაკრატლით
ჩანთაში. ლოგინს ახალთახალ პირებს ვაკრავდი,
და – ოდნავადაც არ ვაჭარბებ – ჰქონდათ სუდარის
ძლიერი სუნი, აუტანლად მძაფრი საყნოსად.
და უშენობა გვერდით მიწევს მკვდრული გაყურსვით,
წინ მიდევს, როგორც ერთადერთი სწორი რაკურსით
გადაღებული წუთისოფლის ფოტოსურათი.

ვწევარ და თითქოს ეკლიანი შოლტით ნაცემი
შიშველი ზურგით მიტოვებულ ვაგონს ვაწვები.
თითქოს ქუჩაში აღმა-დაღმა თოვლის კაცები
დაბაჯბაჯებენ ნაბიჯებით მოუხეშავით.

ცვლილებებისთვის არ ამჟღავნებს აწმყო მზადყოფნას,
ძველ კართანვეა, უკვე თაგვიც სადაც არ ცხოვრობს,
დაყუდებულა ცარიელი საავადმყოფოს
მიმღებში დადგმულ საახალწლო ნაძვის ხესავით.

მსოფლიო სევდა მოდის ხოლმე თავისი ვახშმით –
არყით და მდოგვით, ყინულების შემცველი შაშხით.
და, კარტოფილით დათესილში, ალუბლის ბაღში
ჟღარუნებს ყრუდ და უთანაბროდ ზამთრის გიტარა.
გაწყვეტილია ყოველგვარი ძაფი და წრედი.
ხდება ეკრანი ტელეფონის დღითი დღე თეთრი.
მასზე მხტუნავი წერტილები, როდესაც მწერდი,
აღარასოდეს წამომსვლელი ფიფქივითაა.

ურარტუს ხელოვნება

და თუმცა აგერ ერთი ქოლგის ქვეშ
ერთიმეორეს მიკრულები შინ ბრუნდებიან,
და თუმცა შხაპსაც ერთად მიიღებენ მისვლისთანავე,
ჩაის დალევენ, ერთ ლოგინში შეგორდებიან
და ვინ იცის, მერამდენე სექსი ექნებათ,
და თუმცა ხშირად, შესაძლოა, ერთმანეთს ხელით
ასაუზმებენ,
მაინც ჯერ აწვიმთ კოკისპირულად,
ტაქსიც არაა გამომვლელი გვიანღამისას
და თავ-თავისთვის ეფიქრებათ, რომ კიდევ ერთი
ქოლგა ზედმეტი არ იქნებოდა.

დაბუტბუტებენ ლავგარდნებზე, სახურავებზე
წვეთები ზოგად სახელად წვიმა,
წვიმა, რომელიც ვერასოდეს ვერავინ ნახა,
თითოეული თავის პატარა სათქმელს ბუტბუტებს,
რომ საბოლოოდ ყველას თავისი ქოლგა სჭირდება.
დაშრიალებენ უკაცრიელ ქუჩებს ფოთლები და
ჩურჩულებენ,
თითოეული თავის ჩურჩულს, მხოლოდ თავისას,
რომ «ორი» ნიშნავს «ორი ცალ-ცალკე»,
რომ ვერავინ ვერავის ნაცვლად
ვერც ამ ნაწვიმრის სიტკბოებას ვერ ჩაისუნთქავს,
ვერც ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ვერ მიიბმება,
რომ ერთ საფლავშიც მკვდრებს სხვადასხვა კუბოში დებენ,
რომ სინამდვილის ვითარებას ნამდვილზე სწორად
ქვაზე ნაკვეთი გამოხედვა იტყობინება.

იცოდნენ წელგაღუნულმა ურარტელმა მეჩუქურთმეებმა,
რაზე ღვრიდნენ ზაფხულობით ოფლს დღისით,

როცა გარეთ გაუჩერებლად ყვიროდა დასიცხული ხარ-
კამეჩი
და მზედაკრული გველები გაბმით სიოდნენ ეკალ-
ბარდებში,
რა მუშაობას აკლავდნენ თავს ღამით,
როდესაც მიწყნარებული სასახლეების ოთახებში
შირბახტის ზეთით იპოხავდნენ სხეულებს რჩეული
ხარჭები,
სურმით იღებავდნენ მბჟუტავი ლამპრების ამრეკლავ
თვალებს
და წაგრძელებულ ფრჩხილებზე ალკანას საცხს ისვამდნენ,
სანამ თმაჩამოშლილები და მარმაშში გახვეულები
ლეღვით, თუთით და ღვინიანი თასებით გაწყობილი
ლანგრებით
საგრილობელ ბაღებში წამოგორებულ მეფეებთან
გავიდოდნენ.
იცოდნენ ღონეგამოცლილმა ურარტელმა
მეჩუქურთმეებმა,
რის გამო იყვნენ ჭაპანწყვეტაში ზამთრობით,
როცა გამთენიისას კერაში ცეცხლი ქრებოდა
და დატეხილი სუსხი ხელად მთელდებოდა ისევე.

იცოდნენ: ირგვლივ მხოლოდ ფიგურებია იქით და აქეთ,
ერთმანეთისგან მოშორებით განლაგებულნი
და, თანაბარი განათების მიუხედავად,
სილუეტებად მოჩინარნი თავიანთი დღე და მოსწრება,
ირგვლივ მხოლოდ სიცარიელის
მეაბჯრეები, საბჯენები, საწყავებია და ერთმანეთში
არა აქვთ ძაფი, გადაძახებ-გადმოძახება,
არანაირი მოქმედება, სცენა, შემთხვევა,
თუნდაც ინტრიგა, ჭეშმარიტი, აღსანიშნავი,
მართლა რომ ღირდეს შთაბეჭდილებად,

მახსოვრობაში აღსადგენად, გამოსასახად,
და თუ რაღაცა გაფაჩუნდა მოულოდნელად,
ისე ძალიან იშვიათად, თითქმის არასდროს,
ერთი მომხდარი მეორისგან ცალკე დგას აქაც,
გადმოსაცემი არც რამეა, გარდა დუმილის,
და დუმილს, ალბათ, არ აწყენდა ცოტა მაინც შელამაზება,
ცოტათი შერყვნა ისევ მისით ამოგლესილი
გამოხედვებით, რომელთა მიღმაც
უარარაო გულებია, თითოეული
გაქუცულ ტყავში გახვეული თავისი სევდის,
ცალცალკეობის სიცივისგან შესქელებული,
როგორც დესერტი კანიბალისთვის.

ლელა სამნიაშვილი

ქალი პოეტი

ისე ჟღერს, როგორც ქალ-ბაყაყა –
თუ იყიყინებს, უნდა გამოსცეს უფრო ნაზი ხმა
არ უნდა იყოს აბეზარი
ყურთასმენა არ უნდა წაიღოს
უნდა ქონდეს უხილავი პაწია ოქროს გვირგვინი
იქნებ ვინმემ შეამჩნიოს
იქნებ აკოცონ
იქნებ თავზე ხელი გადაუსვან
და დაისვან თავსასთუმალთან.
მოკლედ, ზღაპარია. ფიქციაა.
ბაყაყს – მნიშვნელობა არ აქვს, დედალია თუ მამალი,
სჭირდება ძლიერი ხმა,
რომ სხვების ყიყინი გადაფაროს,
რომ უფრო ხმამაღლა შეასხას ხოტბა უტკბილეს ჭაობს,
მოყვეს თავკომბალობის სანუკვარ დროზე,
ან უფრო ხმამაღლა იყიყინოს იმაზე,
თუ როგორ არ მოწონს საკუთარი სლიპინა კანი
და აყროლებული წყალმცენარეების დარბაზებში
ბაყაყურით ცურვა.
თუ როგორი მოსაბეზრებელია მწერებით მუცლის ამოვსება
ყოველ დილას, შუადღეს და საღამოს.
თუ როგორ განიცდის, რომ
საკუთარ ენაზე ზემოთ ვერ ახტება.
იკრობს, რაც გარშემო დაფრინავს.
ამ მოწყენილობაში
მისი ხმა მისი ერთადერთი თავშესაქცევია.
სიცოცხლის ნიშანი.
ის, რაც აგრძნობინებს, რომ სისხლი ბოლომდე არ ეყინება.
სინაზე ამ ამბავში შეუძლებელია.

წამგებიანი მანევრია. არაფერში არ გამოდგება.
ამიტომ, არ დაიჯეროთ ლამაზყდიანი ანთოლოგიების,
საიდანაც მხოლოდ ქალები გიღიმიან.
არ არსებობს ქალი პოეტი.

მადრიდი, კორიდა.

ზემოდან – ხედი დაკონკრეტდა,
გამკვეთრდა, გადიდდა.
ხარს გავს მადრიდი –
თბილს და თვინიერს.
მეხსიერება ვერ ამოჭრის დეტალს – კადრიდან.
წევს ფილმში მკვდარი მატადორი
და დასტირიან
ლამაზ-ლამაზი, შავთმიანი, შავკაბიანი
ქალები. ისიც ლამაზია –
მოოქროვილი
ჟილეტით,
წელზე ბრტყელი ლენტით,
ფერდზე – ჭრილობით.
ჭრილობა მღერის თავის ამბავს –
ჯერ კიდევ ალისფერს,
ვიდრე ხორბლისფერი ყვრიმალები
მიწისფერს დაიფენს.
ეს ორთაბრძოლა – დღესასწაულს რომ გავს შორიდან,
სადღაც დაიწყო. ახლა თვალი ვეღარ მიწვდება.
კაცის და ხარის მისტერია – მკვლელი კორიდა –
დღემდე მოსასხამს აფრიალებს.
პირად მიწვევას გავს აფიშაზე –
მატადორის თეთრი ღიმილი.
იქნებ პირველმა – ხარმა გაფატრა
ადამიანი, ძღვენით ხელში, რომელიღაც რიტუალისას.
იბერებისთვის – ხარის რქებს შორის იზრდებოდა
მზე და მთვარე. ილეოდნენ
ვარსკვლავები შუბლის კიდეზე.
ხარის ქედი უპირობოდ იდგამდა უღელს,

პურის მინდვრებს აბიბინებდა.
წინ ერთგულად მიზოზინობდა.
ჭრიდა მიწას, ქვას მიათრევდა.
ამ საღამოს კი – მატადორის ფერდზე – ჭრილობა
ხარს დაუჯდება სიცოცხლის ფასად.
ხოლო მატადორს დაადებენ ძვირფას მალამოს,
დაახვედრებენ წითელ ყვავილებს,
უმღერებენ ყველა სიმღერას,
სადაც ის არის გმირიც და ღმერთიც.
ადვილია – შეგიყვარდეს მატადორი –
ოქრომკერდით ნაქარგ სამოსში,
მოქნილი – თითქოს ქარი იყოს მისი სხეული –
ატლასის ქსოვილს თავის ნებაზე დაასრიალებს.
ახალგაზრდაა, წვრილი წელით,
შავი თვალებით –
მარადიული მზეჭაბუკი –
ხარის მუქ ფონზე ერთიანად ბრწყინავს, კაშკაშებს.
რამდენი წყვილი თვალი დასდევს,
რამდენი წყვილი – ერთმანეთის ხელს ეჭიდება,
როცა რქის წვეტი ფერდს გაუკაწრავს.
ამ დროს პიკასოს ნახატივით ნაწილებად იშლება კადრი –
ერთმანეთში გაჩრილ უთვალავ
მახვილ კუთხედ. მხოლოდ აქა-იქ ჩანს წითელი.
დანარჩენი ნაცრისფერია.
მოედანს ასდის ხმის ოხშივარი.
რაღაც ველური ყვავილივით ერთბაშად ხსნის
ხარის შუბლზე
თავის გვირგვინს ნანატრი სისხლი.
და ვინ იცის, ეს როდის დაიწყო.
კაცი, რომელიც საკუთარ თავს ასე ზეიმობს.
და ხარი, როგორც მარადიული გლადიატორი –
თავი რომ ვერაფრით გამოისყიდა.

სიზმარი ვერტიკალურად

რად უყვარდებათ დიქტატორი ერთი დანახვით?
თითქოს კაცია, თითქოს ქალი –
მდინარეში ისე შედის, როგორც სხვები,
მაგრამ ცურვას არც კი აპირებს –
რჩება მუდამ ვერტიკალური –
თითქოს ფსკერში საძირკველს თხრის ორივე ფეხით.
მოკვდავივით კი არ იხრჩობა,
ან ღმერთივით, თვალმოუკვრელად კი არ გაივლის,
დგას იმ ადგილას, სადაც წყალი ვერ მიწვდება სასუნთქ
გზებამდე –
გამოთვლილი სიღრმის წერტილში.
თავს ტალღებს ზემოთ ატრიალებს,
კისერს იგრძელებს,
მდინარის ხმას ფარავს ძახილით,
რომ ყველგან მიწვდეთ მისი სახელი,
რომ თვალები, ყურთასმენა – ტალღიდანაც, ნაპირიდანაც,
სულ გარშემო შემოიხვიოს.
ზუსტად ამბობს მაშველი რგოლის კოორდინატს,
განსაზღვრავს სიღრმეს,
ნავებს კარნახობს მიმართულებას.
როგორ არ უნდა დაყვე მის ნებას –
მოლაპარაკე შუქურას გავს –
მარილივით არ დნება წყალში,
თევზები ძვლიდან ხორცს ვერ აცლიან –
მისი ხმა – მჭახე გასროლაა, გაფრთხილება,
ზუსტი თავდაცვა. ისღა გრჩება,
შორიახლოს იტრიალო, ათვალიერო,
აღფრთოვანდე ამ გამძლეობით.
მთელი მდინარე მის გარშემო იწყებს პროწიალს

და მზადდება ასე მორევი –
სავსე – ქვიშით, სარეველებით,
მკვდარი თევზებით, ერთხელაც რომ ვერ ამოიოხრეს.
ახლა უკვე შეიძლება ტრიბუნაზეც გადადგას თავი –
გამოაცხადოს:
«კენჭი ვუყაროთ კენჭისყრის არსს –
ამაო გარჯას, როცა კენჭებით შეგვეძლო ეზოს გამაგრება,
ღობის გამართვა. რამდენი კენჭი დაიკარგა – ფუჭად
ნასროლი.
ვინმე მანც ჩაგექოლათ, ძეგლი დაგედგათ!»
როგორ არ უნდა დაეთანხმო
იმას, ვინც მუდამ ფხიზელია და ვერტიკალური –
ფიქრში, განსჯაში, გამოთვლაში, გადახარშვაში –
ყველას, და უფრო, თავისი თავის სადარაჯოზე.
აღფრთოვანების ღირსიცაა, შიშისაც და სიყვარულისაც.
ვიდრე სხვები სიფხიზლეშიც ნახევრად თვლემენ,
თითქოს დაწოლის ეშინია,
დაძინების ეშინია,
ეშინია ტკბილი სიზმრების.
ეშინია – დღისით ან ღამით –
ჰორიზონტს არ გაუთანაბრდეს.

სამყურები

ცას უყურებენ სამყურები.
ფურცლების სიბრტყე
ცდილობენ – ცისას გაუსწორონ. პარალელური
სამყაროები –
სულ ერთმანეთს რომ ჩაყურებენ.
არსად – ფანჯარა, არც კარები, არც სახელური.
ტკბილი, მორჩილი ველურები
მიწას მიბმული,
რომ არ დასცდებათ ერთი ოხვრა ან საყვედური.
უბრალოები – სამყურები. სულ იცინიან.
წვრილ ღეროებზე.
არ ცდილობენ, ფეხი აიდგან.
სრულყოფილები. სიბრალულიც კი არ იციან
ციცქნა თავების.
არც არსაით. არც არსაიდან.
გზებზე გაშლილი ფრაქტალები, ასლის ასლები.
ამ სიმსუბუქეს ჩაშლილ ძვლებშიც ვერ გადაიტან.
მათ თავებს ზემოთ
თავის გზაზე, ცა მისრიალებს –
უვარსკვლავებოდ, ვარსკვლავებით, ღრუბლების დრამით.
თვალს ვერ ჩასჭიდებ.
სჯობს, სამყურას დაადგა თვალი.
ერთადერთ ფერში, ზუსტ წერტილში მათი წრიალი
მოწყენილობის შელოცვაა, წმინდა წრე არის
და იღბლიანთა საიდუმლოს გაგიზიარებს.
არც სიყვარული არ იციან.
მწვანე გულები –
ასე უსისხლოდ
ერთმანეთზე მიტყუპულები.

გამოსავალი

ბრტყელი და მოელვარეა მატრიცა –
სიტყვასიტყვით იბეჭდება
თითქოს თითების ბალიშებში ჩაგვიყენეს კათეტერები
და სულს ვუსხამთ
რომ გაივსოს, ჩვენს გადაღმა დაიწყოს სუნთქვა.
ადამიანს კი დრო გასდის, როგორც ნათელი მტვერი –
ვიდრე ლანდად არ გაილევა.
ძვლებს ჩააწყობს ძველისძველი დამტვრეული იარაღივით
აქვე, მიწის ზედა ფენაში.
და ვართ ასე, მოსწრებაზე –
რომ გავხიზნოთ ეს ბრჭყვიალა ნაწილაკები –
ეს მსუყე და ტკბილი საკვები –
სადმე, ახალ სამყაროში, ჩვენსავით რომ არ ჩაიშლება
სათითაო ძვლად და თმის ღერად.
ნებაყოფლობით ვუნერგავთ მთელ მეხსიერებას –
იქ ბევრად უფრო საიმედოა
შევინახოთ ჩვენი თავები – ამდენი ამბით გამოჭედილი.
აი, იმ ქალმა თავისი თავი გადანერგა სამ ლამაზ ბავშვში
და ბოლქვივით კვებავდა დიდხანს,
ის კაცი კი ხეხილის ბაღს ზრდიდა გულის მინერალებით,
უვლიდა ღონის მილევამდე.
მასში იყო ჩაწობილი ყველა ხის ფესვი
და მთელი ძალით ისრუტავდნენ, იზრდებოდნენ,
მის მერეც, ცისკენ – სანტიმეტრობით.
სხვამ კი – მიაგნო რაღაც ფორმულას –
და ციფრებში გადაზიდა ნეირონები –
რომ ბუნების კანონებზე ილაპარაკოს
შემდეგაც, როცა სათითაოდ ჩაქრებიან
მის სხეულში მოციმციმე ყვავილები – ნევროციტები.

რამდენი კარი გამოვაღეთ. რამდენ სივრცეში შევყავით
თავი –
არსებობის გადასარჩენად.
არადა, დღესაც, თითქოს ჩვენია ეს არსებობა –
ისე ვმოძრაობთ, ვლაპარაკობთ, გვიყვარს, ვივიწყებთ.
მაგრამ ყველას გვეშინია წარმოვიდგინოთ –
ბრმა მოხუცი, ზეპირად რომ აქვს დასწავლილი თავისი
სახლი
და მორიგ დილას, კედლის კუთხეს ჯოხს უკაკუნებს,
იქ კი მყარი – არაფერია.

მარტისპირული

შესაძლებელია უძვლოდ, უხერხემლოდ
ზამთრიდან გაძრომა.
პეპლები ჭუპრებზე,
კვირტები მერქანზე ათასჯერ გამძლეა.
უბრალო ღმერთები ჩნდებიან –
ენძელას ღერები, სამყურას
ფურცლები, რომლებიც
სამყაროს – უკუღმა – ჭერივით ახურავს.
ისინი მოდიან მეორედ, მესამედ
და მემილიონედ.
ვუყვარვართ. იციან, ასეთი აღდგომით
რას აიოლებენ.
ჰაერი – სახლდება, თბება, არსებებით
ივსება, ხმაურობს.
ბალახის თითებით
მკვდრებს ისევ ცოცხლებში გაალღობს, აურევს.
ამოცოცდებიან თხელი ყვავილებით,
ჭრელი ხოჭოებით –
ისინი, რომლებიც
სიცოცხლის გადაღმა, სივრცის მოშორებით
იცდიან.
დადგება (თითქოს – ცხრამეტია) ეს ოცდაცხრამეტი –
შიგ მარტში.
არა და, გეგონა,
რომ ასეთს ვერ შეიყვარებდი.

მარტის ხეები

ხე დგას. დრო გასდის. ტოტები კი – ყოველ გაზაფხულს
გაყვავილდება, ისე როგორც ახალთახალი.
და იქნებ ამ დროს მარტის ხეს გავს ადამიანიც,
თუმცა გარედან რას შეამჩნევ –
ძველებურად ძვალია, ხორცი. წყვილი თვალი.
პირი, მუდამ მზადყოფნაში – თქვას არაფერი.
გუმანით თითქოს გრძნობს რაღაცას –
უმიზეზო ბედნიერებას,
რაც მეტია მის სახელზე, გვარზე, ასაკზე,
ადამიანურ ცხოვრებაზე – კანის მიღმა რაც მისრიალებს.
მაგრამ შეხედავ, იგივეა –
ფერს არ იცვლის, მხოლოდ ტანსაცმელს.
ბევრი-ბევრი თმა შეიღებოს.
მხარზეც იგივე ჩანთა კიდია.
მიდის – თავისი საზრუნავით,
მისდევს თავის გეგმებს, საათებს
თავის კუბისტურ ქალაქებში
სადაც სამყაროს მთელი სიმრგვალე
ერთიანად გაბრტყელებულა,
აბლაგვებს და ამახვილებს თვალის კუთხეებს
ხამხამის ზუსტი ინტერვალებით. სულ ამაოდ –
გაოცება აქ ისეთი იშვიათია.
ხეებიც – თითქმის მთელი წელი – დეკორაცია,
სავალდებულო ბალიშები ცოტა ჟანგბადის.
მარტში კი რაღაც ემართებათ –
ლამისაა ფეხი აიდგან –
მთელ ქალაქში არავინ არის მათზე ცოცხალი.
იტაცებენ გამვლელის თვალებს –
უფორმოები, დატოტილები ყველა შესაძლო

მიმართულებით –
ვისთვისაც ნიშნავს სიმეტრია – გაეკიდო საკუთარ
სურვილს.
ისინი მართლა ემსგავსებიან
თვალებისკენ ამობრუნებულ სასწაულებს –
დაწინწკლულებს თეთრად, ვარდისფრად –
ბედნიერება ზედ რომ გადასდით.
რა შეუძლია მათ შემხედვარე ადამიანს?
გაჩერდეს? სცადოს, თვითონაც ხეს დაემსგავსოს
რამდენიმე წუთით სინათლეს ჩაშტერებული?
ამ დროს იქნებ ისიც კი იგრძნოს,
სადღაც, მის მხარზე, შიგნიდან როგორ ანთია ჩანთა –
ბავშვის ბჭყვრიალა თმისსამაგრებით –
დილის სახლიდან შემთხვევით რომ გამოყოლია.

პაპუნა გიორგაძე

სახლი დამეწვა

სახლი დამეწვა.
უფრო სწორად, დამესიზმრა, რომ სახლი დამეწვა,
და ქუჩაში დარჩენილს, სასწრაფოს მანქანით მოსული
თეთრხალათიანები როცა ნიშადურს მასუნთქებდნენ,
მაშინ გამომეღვიძა, და გადავწყვიტე სიზმარში დაბრუნება.
სახლი დამეწვა –
ვპასუხობდი ყველას, ვინც მკითხავდა, იქ რას ვაკეთებდი.
გამოირიცხა ყოველგვარი დახმარება,
რადგან წარმოსახვაში მოყენებულ ზარალს არავინ
ანაზღაურებს,
სახლი დამეწვა –
თქვენ კი სქელ ტრაკებს ითბობთ რბილ სავარძლებზე,
იქნებ დამიჭიროთ რკინის ჯოხებით,
წამათრიოთ და ბარძაყზე ნემსი გამიკეთოთ,
ყვითელი საყურეც გამიკეთოთ ყურზე იქნებ, და
გამომაგდოთ,
მერე გამომკვებავენ კეთილი, ბენზინგასამართი სადგურის
მუშები.
სახლი დამეწვა –
მერე რა, რომ არაფერი მითხოვია,
რა უნდა დამწვარი სახლის აშენებას, რომელიც არც კი
დამწვარა?!
სახლი დამეწვა –
ვეუბნები უკვე ყველას, უცხოს და ნაცნობს,
ვეუბნები და უარს ვამბობ დახმარებაზე,
მაძლევენ ხურდებს და ნამცეცებს,
მე კი ვპასუხობ, თქვენვე გქონდეთ თქვენი ხურდები,
თქვენი ნამცეცები,
ნუ მეხმარებით იმით, რაც მე არ მითხოვია,

მე სხვა რამ მინდა,
სახლში მინდა უკუღმა ჯდომა, ძველ და ხის სკამზე,
სპორტული გადაცემების ყურება ტელევიზორში,
ჩიტების სტვენასაც ჩაიდნის სტვენა მირჩევნია,
მინდა, ცხელ წყალში დავიბანო ფეხები,
და რბილ ბალიშზე დავდო თავი, დავდო კისერი,
ნუ მეხმარებით იმით, რაც მე არ მითხოვია...
სახლი დამეწვა –
ეს მართალია, ჩემი სახლი მართლა დაიწვა,
სწორედ მაშინ, როცა დავხუჭე თვალები,
და წამწამებმა ჩააქრეს ცეცხლი
სწორედ მაშინ, როცა ვთქვი რომ ეს სიზმარია,
როცა ნიშადურს მასუნთქებდნენ თეთრხალათიანები...
სახლი დამეწვა –
ვეუბნები უკვე ყველას, უცხოს და ნაცნობს,
და მადლობელი ვარ ხურდებისთვის, ნამცეცებისთვის.

AUTO STOP

იქ იდგა ჰიპი,
იქ, სადღაც, მემფისთან ახლოს იდგა ჰიპი,
როგორც სარეკლამო ბანერი – იდგა,
იდგა ძაღლით და ხელში ბანერით,
ბანერზე წარწერით – ნიუ ორლეანი,
ცერააწეული და დაღლილი ჰიპი
მემფისთან ახლოს იდგა.
თუ გაუჩერებს ვინმე ჰიპს და ნიუ ორლეანში წაიყვანს,
თუკი გაუჩერებს ვინმე ჰიპს და ძაღლთან ერთად წაიყვანს,
ჰიპი მოისვრის კარდონს და ისაუბრებს რელიგიაზე,
სამყაროს მრავალპარტიულ რელიგიაზე და არჩევნებზე,
სადაც ადამიანები კანონიერ ღმერთს აირჩევენ.
ჰიპი წარმოიდგენს ოპოზიციონერ ღმერთებს,
ღმერთების მიტინგს, ღმერთების რევოლუციას,
ღმერთების ვადამდელ არჩევნებს,
კედლების ომს ხატებისათვის,
სიის ნომრებად შეყვანილ წმინდანებს.
შემდეგ კი იტყვის ჰიპი, რომ ამ ყველაფერს აქცევს
ლირიკად,
იტყვის ჰიპი, რომ უძლიერეს მუსიკას დაწერს,
იტყვის ჰიპი და ვერცხლისფერ ჯვარს მოეფერება.
ხელს კი გაუშვებს მემფისთან ახლოს,
სადღაც იქ, მემფისთან ახლოს,
ჯვარს ხელს გაუშვებს და მანქანას აუწევს ცერას,
ხოლო მანქანა მტვერს დატოვებს,
გზატკეცილზე – მტვერს დატოვებს,
ჰიპის რეგალიად მტვერს დატოვებს
სადღაც იქ, მემფისთან ახლოს.
იქ, სადაც იდგა ჰიპი,

სადაც როგორც სარეკლამო ბანერი – იდგა,
იდგა ძაღლით და ხელში კარდონით,
კარდონზე წარწერით – ნიუ ორლეანი,
ცერააწეული და დაღლილი ჰიპი
მემფისთან ახლოს იდგა.
ალბათ ჩამოივლის ფურგონი, გზად აყვანილი მუსიკოსით,
და მუსიკოსის მეგობარი გრძელკაბიანი ლამაზმანი,
გვირილის გვირგვინიანი,
ჰო, გააჩერებს ფურგონი, გზად აყვანილი მუსიკოსით,
და მუსიკოსის მეგობარი გრძელკაბიანი ლამაზმანი,
გვირილის გვირგვინიანი,
რომელიც ხშირად განიცდის ტანტრას
და ბაპტისტური წირვა-ლოცვით იღებს ნირვანას.
მემფისის ახლოს დარჩება მტვერი,
და მტვერში გახვეული მემფისის გზატკეცილი,
იქ, სადაც იდა ჰიპი,
იქ, სადღაც მემფისთან ახლოს,
იქ, სადაც დარჩება მტვერი,
და მტვერში გახვეული მემფისის გზატკეცილი
დაპატარავდება ფურგონზე ამხტარი ძაღლის თვალებში.

დალილა ბედიანიძე

* * * (როცა ლექსებს ვწერ...)

როცა ლექსებს ვწერ,
ვწერ საგარეო და საშინაო ლექსებს,
საშინაო ლექსები – ჩემთვის,
საგარეო ლექსები – სხვებისთვის,
და ჰგავს საგარეო ლექსები
სამეჯლისოდ მორთულ ბრილიანტებიან ქალბატონებს,
ხოლო საშინაო ლექსები – ქალებს,
რომლებიც სატრფოსთან ერთად დასაწოლად ემზადებიან
და სამკაულები მოუხსნიათ.
რითმა საგარეო ლექსების სამკაულია,
ხოლო საშინაო ლექსები
ჰგვანან ადიდებულ მდინარეებს გაზაფხულზე,
ყველა ჯებირს რომ ანგრევენ
და ქუხილით მოედინებიან სიტყვები,
როგორც ტალღები
და ეს მდინარეები გულიდან მოდის,
წყლით არა, ცარიელი სისხლითაა სავსე.
საგარეო ლექსები სასახელოა,
ხოლო საშინაო ლექსები ისეთ სიყვარულს გამოხატავს,
სახელზე მაღლა რომ დგას
და მე ვდგავარ საშინაო და
საგარეო ლექსებს შორის,
როგორც წყალგამყოფი
და ორივე ისე მიყვარს,
როგორც დედას – ურჩი და მორჩილი ორი შვილი.

* * * (ცივი ცეცხლი და ცხელი ყინული მერგო...)

ცივი ცეცხლი და ცხელი ყინული მერგო
ამ ცხოვრებაში
და იმ ცხოვრებაში რა მერგება, არ ვიცი,
როდემდე გაგრძელდება ჩემი წამება.
აყვავებული უდაბნო და აუყვავებელი ბაღი მერგო
ამ ცხოვრებაში
და იმ ცხოვრებაში რა მერგება, არ ვიცი,
თუ აყვავდება სული ჩემი.
სიძულვილიანი სიყვარული და სიყვარულიანი სიძულვილი
მერგო ამ ცხოვრებაში
და იმ ცხოვრებაში რა მერგება, არ ვიცი,
თუ გამიმართლებს სიყვარულში.
ჩამქრალი მზე და ანთებული დედამიწა მერგო
ამ ცხოვრებაში
და იმ ცხოვრებაში რა მერგება, არ ვიცი,
თუ ვიქნები ნათელში.
ახდენილი ზღაპრები და აუხდენელი ნატვრები მერგო
ამ ცხოვრებაში
და იმ ცხოვრებაში რა მერგება, არ ვიცი,
თუნდაც ერთი ნატვრა მაინც შემისრულდება?
ხანმოკლე სიცოცხლე და ხანგრძლივი სიკვდილი მერგო ამ
ცხოვრებაში
და იმ ცხოვრებაში რა მერგება, არ ვიცი,
დაუსრულებელ ცხოვრებას თუ შევუერთდები.
ცივი ცეცხლი და ცხელი ყინული მერგო ამ ცხოვრებაში
და ადიდებული მდინარე მიმატივტივებს გაღმა და წაღმა.
რა მელის, ვერ გამიგია –
ვიცოდი და დამავიწყდა.

ციკლიდან «წერილები მაკოტოს»

(პანტომიმური ნოველა ლექსად)

ირგვლივ ყრუ კედლებია
და მე ამაოდ ვეხლები კედლებს,
არ შემიძლია თავის დაღწევა
და როგორც ტყის თავისუფალი ჩიტი,
ტყვეობაში სულს ვღაფავ და ველოდები,
როდის გაიღება ამ საშინელი გალიის კარი.
ვერ ვეგუები კედლებში ყოფნას,
ერთი კედლიდან მეორეს ვაწყდები,
მაგრამ კედლები არ ინგრევიან.
თუმცა ირყევიან.
ნეტავ როდის გადავლახავ ამ მაღალ კედლებს,
სახურავად რომ სავსე მთვარე აქვთ.
ვინ გადააგორებს მთვარის ლოდს,
როგორც გმირმა როსტომმა
გადააგორა ლოდი ბეჟან გმირის ხაროდან?
არავის შეუძლია ჩემამდე მოღწევა,
არც მე შემიძლია შენამდე მოვაღწიო.
გზა გდია, როგორც აწყვეტილი ველური ცხენის საბელი და
ცხენივით ჭიხვინებს მზე ჩემს კედლებს შორის.
სად არის წიქარა, რომ ეს ცხრაკლიტული დაეწიოს!
მესმის ქუჩის ხმაური და მესმის, იგი როგორ მეძახის,
მე კი კედლებს ვაწყდები
და ვიცი, მხოლოდ შენ შეგიძლია გამათავისუფლო.
შენი ხელები კედლებს სინჯავენ გარედან
ნელა და ფრთხილად
და ვგრძნობ, როგორ მიახლოვდები.

გივი ჩიღვინაძე

* * * (მზიანი ქედის ფონზე მიდიხარ...)

მზიანი ქედის ფონზე მიდიხარ
და ყვავილები ნამით ნამული
ამკობს სიჩუმეს... ხშირად ვიკითხავ,
მოწყენილი ხარ, თუ სინანულით
ხვდები გაზაფხულს, ფიქრს რომ აგიშლის,
რომ გიხალისებს ზოგჯერ ბუნებას,
აღარ შეგაკრთობს ხმები ქარიშხლის,
რომელიც მუდამ გედიდგულება
და იის სურნელს, ვით მონატრებას,
წავიღებ საგზლად შენი სულიდან,
დაგელოდები ძველ მონასტერთან,
წავლიან წლები და წარსულიდან
წამოგვეწევა სხივი ფერებად...
დღეთა ჩქერებს კი დრო მიაქანებს
და თუკი ახლა არ მემღერება,
სევდას ხომ ვატან ამ ნიავ-ქარებს!..

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით, –
თბილად მოიბინდებდა ჩვენი ქედები,
ნიავი ხალისით ივლიდა ღამის ტყეებში,
მთვარე გამოაღწევდა ფარფატა ღრუბლიდან,
ნამი ახალ სიცოცხლეს გააჩენდა განთიადის მინდვრებზე –
ყვავილები თვალებს გაახელდნენ
და მზეს სიხარულით შეხვდებოდა ჩვენი ეზო...

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით, –
ხელჩაკიდებულს გატარებდი ჩემს ბილიკებზე,
მარწყვის კუნწულებს ავაცვამდით გაზაფხულებზე,
ზაფხულის ნობათს გავსინჯავდით მთის პეშვებიდან
და შემოდგომით წიფლის ნაყოფს შევაგროვებდით
თოვლიან ზამთრით ამ ტყეების გასახსენებლად...

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით, –
მთელი სახლობა წავიდოდით ძველ სალოცავზე,
დაბრუნებისას ქედის ძირას მთის მხალს დაკრეფდი,
მერე თონეში დააცხობდი ფერად ფხლოვანებს,
და ბავშვების შემდეგ ერთ ნაჭერს მეც შემახვედრებდი,
რომელსაც შუაზე გაგიყოფდი...

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით...

სონტარულა

«რაჭას... მინდას ზეით მოერთვის რიონს
ჩრდილოეთიდამ სორის ხევი (სონტარულა)
მაზედ არს მონასტერი უგუმბათო, დიდი,
კეთილ-შენი, აწ ხუცის ამარად»...

ვახუშტი ბაგრატიონი,
აღწერა სამეფოსა საქართველოსა

სონტარულა, სონტარულა,
ახალისებ მთების ფერებს,
მწვერვალებთან იბადები,
დაეშვები დაბლა მერე,
ახმიანებ გრძელ ფერდობებს,
ათამაშებ მცირე ჩქერებს,
ჩამოივლი ვიწრო ჭალას,
რიონისკენ ჩაიმღერებ...
პატარა ხარ, სონტარულა,
თუმცა ზოგჯერ ლოდებს დაძრავ,
სიყვარულით ესალმები
შენს ნაპირზე ამ ძველ ტაძარს,
მის სიჩუმეს ეკრძალები,
შორით მოსულ მლოცველს ბაძავ...
ტაძარში კი სიმშვიდეა
ნათელ სულთა შესაფარი,
მორიდებით მეც შევდივარ,
ვედრება მაქვს შესატანი,
აქ გალობა გაისმოდა
ანგელოზთა შესადარი...
აქ რომ გოგო ლოცულობდა,
იმისთანა ქვე სად არის?..

ნუ დამიშლი მე მის ხილვას,
ისევ იმის ღიმილს ვეძებ,
მშვიდობით და მხნედ გვატარე
მთების ვიწრო ბილიკებზე...

* * * (ნიავში თრთიან ნაზი მუხლები...)

ნიავში თრთიან ნაზი მუხლები
და ლამაზ თვალებს ნუკრივით ნაბავ,
შენ ამ გაზაფხულს ისე უხდები,
როგორც შენს სხეულს ეგ მოკლე კაბა.
როგორ შეგნატრის ყველა, თუ ხვდები,
როგორ ყვებიან შენს ლამაზ ამბავს?..
ფერთა ფრქვევაში რომ გაყუჩდები,
სხივი ყვავილზე შენს აჩრდილს ლამბავს...
ნეტავ დროთა სვლას როგორ უხვდები? –
ეგრე დიდხანს არ დარჩები, ალბათ,
ნუ დაღონდები, ნუ გახუნდები,
ნუ გადიქცევი სევდად და დარდად...

* * * (იმ გაზაფხულზე მშობლიურ მთებში...)

იმ გაზაფხულზე მშობლიურ მთებში,
როცა ლურჯი ცის იდგა ნათელი,
წიფლების ძირას დარჩენილ თოვლზე
მე დავაწერე შენი სახელი.
შენი სახელი ახლაც იქ არის,
თოვლი კი დიდი ხანია გაქრა,
შენი სახელი მთებში დარჩენილ
ჩემს მზისფერ სევდას დაჰყვება ახლა.

უდაბურ ტყეთა მგალობელო

ზეცის სივრცეთა მაცქერალი შენ გიხსენებდი,
უდაბურ ტყეში რომ გიხილე, უცხო ფრთოსანო.
თითქოს მას ჰგავდი, ეზოში რომ ჩიტი მოფრინავს,
რათა დედაჩემს მოუტანოს კარგი ამბავი
და შაქარი კი გაიყოლოს ოქროს ნისკარტით...
მაგრამ სხვა იყავ, უღრანების გამღვიძებელო,
შეწყნარებით რომ მიყურებდი წიფლის ტოტიდან,
რაღაც მიმღერე – მომეფერე თუ დამარიგე,
შვიდი გალობა ჩაათავე სიმშვიდისგვარი...
რა იქნებოდა, მაგ ჰანგების ნაზი ბგერები
ამ სტრიქონების კიდეებზე მომაბნევინა,
ვით გაზაფხულის ყვავილები ჩვენს ტყისპირებზე...
შენთან ვაგზავნი უსათუთეს ფიქრსა და ნატვრას,
რომ კიდევ ერთხელ მოვიხილო ჩვენი ქედები.
ნატვრანი ჩემი შეურიე მშობლიურ ლაჟვარდს,
ფიქრები ფრთებზე დაიფინე, ფრთხილად იფრინე
და ეგ ტყეები მოატარე მონატრებული.
მე კი ამ ლექსში მეყოლები – ჩემს გულთან ახლო,
ზეცის სივრცეთა მაცქერალო, ჩემო ჩიტუნა...

* * * (ჩემი მთები დამესიზმრა...)

ჩემი მთები დამესიზმრა, –
მაღალ ქედებზე ღია-მწვანედ
ბიბინებდა გაუთიბავი სათიბები...
და ვფიქრობ ახლა,
სჯობდა თუ არა ეს სიზმარი
სინამდვილის ყოველდღიურ
ერთფეროვნებას?
უკეთეს ფერებს,
უდროობაში განფენილს
და თვით ამ მოლანდებული დროის
ყმაწვილურ დინებას
ცხადში სად ვნახავდი?..

შემოდგომის ხილვები

რაჭის ქედს იქით, მრავალძლიდან
ხიხამთისაკენ ფერად ბუჩქნარს გაყოლილ გზაზე
წითლად ბრდღვიალებს შემოდგომის მშვიდი ცირცელი...
მარტოდმარტო რომ ვხეტიალობ ამ მაღალ მთაზე,
როგორ ივსება ნატვრით გული, როგორ ვიცვლები...

ხიხამთის თავზე, სათიბებში,
ჩამავალი მზით მოციაგე ნამიან მინდვრებს
შემორჩენია შეცივნული სათოვლიები
(დაამშვენებენ ჩემს ოცნებას, ვიქნები ვიდრე),
ისე სათუთნი, როგორც მარტის სათნო იები...

ხიხამთის აქეთ, ტყის ნაპირას,
გიორგობისთვის ყვავილივით როცა გაჩნდები,
დაიბინდება ფოთოლცვენით შორი ფერდობი...
სხივებს შეგიკრებ ქარს გაყოლილს, თუკი დარჩები,
ყვითელ ტყეებში შემოხიზნულს თუ მომენდობი...

ხიხამთის აქეთ, იმერეთში,
სამარადისოდ ჩამესმოდეს შენი მშვიდი ხმა,
და მწვერვალებთან ფრთხიალებდნენ ლაღი მართვენი...
მიტოვებული ბედაური ისევ ლაგამს ხრავს –
ჩემი სიცოცხლის მაღლობისკენ მივემართები...

მთების ხსოვნაში

დუმდეს ქედებზე ღამის შორეთი,
იმეორებდნენ ჩვენს ძველ სახელებს
ცად გაქცეული დიდი წიფლები...
ფანტელები კი შლიდეს მათ ფერებს
და მოდიოდე ფიქრით ლამაზით,
სინათლედ აჩნდეს თოვლი წყვდიადებს,
ჩამომაღვარო თმები ჩანჩქერად...
ხევში კი იწვეს ნისლი დილამდე
და სამუდამო არსებობისთვის
ვეფერებიდეთ კვლავაც ერთმანეთს,
ტყეებთან დავრჩეთ სამარადისოდ...
მთები სამყაროს გულად ფეთქავდნენ
და მათ ხსოვნაში თრთოდეს შეშლილად
ჩვენი სულების ლურჯი ვუალი,
ზამთრის ღამეს კი ისევ ავსებდეს
ფიფქების მშვიდი რეპერტუარი...

აღმართი

დავბრუნდი... თითქოს არა უჭირთ რა –
ჩემს მშობელ მთებში დავიარები,
ეს გული ისევ ხელში უჭირავთ
და არ ეტყობათ ნაიარევი.
გამახსენდება აღმართით დაღლილს,
ამ მიწისათვის თუ რას ვეცადე,
რისთვის მოვედი, გამჩენმა მაღლით
რად განმისაზღვრა არე ზეცამდე?..
თვალს გავაყოლებ უნახავ ზამთრებს,
დავედევნები დღეებს არგანცდილს,
როგორმე მივცემ, რაც მათი მმართებს,
მივუთვლი, სანამ ღმერთი დამაცდის...
და შემაწუხებს ბოლოს მხოლოდ ის,
ვით დაკარგული ძველი იგავი,
სადაც მინდოდა, რომ შენ გყოლოდი,
ყველაზე დიდხანს იქ არ ვიყავი...

ელგუჯა მარღია

გადარჩენილი ჩიტის რობაი

ლოცულობს ჩემთვის ერთი ჩიტი და ეს მამშვიდებს,
შემსკდარი მინას... სითბოში რომ დავსვი მაშინვე...
ფრთაჭრელო ჩიტო, განა მხოლოდ შენღა გიშველე? –
მე შენში ჩემი უმწეობაც გადავარჩინე...

სამი საცრის რობაი

სიმართლის, სიკეთის და სარგებლის მიხედვით განსჯიდა ადამიანებს
ბრძენკაცი, რასაც სოკრატეს სამი საცერი ეწოდა...

ვიდრე იტყოდე, დაფიქრდი და განაზოგადე,
აწონ-დაწონე და განსაჯე, როგორც სოკრატემ...
სჯობს, გაიხსენო იმ ბრძენკაცის სამი საცერი, –
ვიდრე მოკეთეს შხამიანი სიტყვით მოკლავდე...

ჭადრაკის მეფის რობაი

ლევან ბრეგაძეს, მისი საჭადრაკო ნოველების კრებულის – «როგორ დავამარცხე ტალი» – გაცნობის შემდეგ...

ბევრჯერ გვანახა დრო და ჟამმა მეფე შიშველი,
დაშამათებულ მონარქს უკვე ვერვინ გიშველის...
ის კი სხვა იყო, ლეგენდად და მითად ქცეული, –
ჭადრაკის მეფე ერთადერთი, ბობი ფიშერი...

გამარჯვებული გედის ორი რობაი

1.

გაყინულ ტბაზე ნისკარტს ურტყამს, როგორც ძალაყინს,
ამსხვრევს ყინულს და ნაპირს ელტვის გედი ფრთალაღი...
ცხოვრებაც ტბაა, ხან მღელვარე, ხან გაყინული, –
ბრძოლის გარეშე არსებობაც ჩვენი არა ღირს...

2.

ირგვლივ ყინულის ვერცხლისფერი ბრწყინავს ვარაყი,
და ნაპირიდან ტბას გასცქერის გედი ამაყი...
ცხოვრებას ახლავს ხან მარცხი და ხან გამარჯვება, –
მთავარი არის, არ გაგთელონ, როგორც ბალახი...

თვითმკვლელის რობაი

ბადრი გუგუშვილის შესანდობარი

სიკეთის მცველი ბოროტებას უტევდი შუბლით,
წითელ პარასკევს, მეგობარო, განასკვე ყულფი...
იქნება, წამით ჩაგისახლდა სულში იუდა? –
ყველას მაგიერ მოიცილე გამცემი უფლის...

უსამართლობის რობაი

დრო-ჟამმა ერთურთს დააშორა სიტყვა და საქმე,
უღირსს დიდება არგუნა და ღირსეულს – აკმე...
უსამართლობის მარადიულს ვაწყდებით კედელს, –
როგორც ბეღურა ნაზამთრალი შეჭირხლულ სარკმელს...

სავსე კოკას რობაი

«რამდენი წიგნია, რა ცოტა დროა»
ფრენკ ზაპა

რა ცოტა დროა და რამდენი ბრწყინვალე წიგნი, –
მეც ვუერთდები ზაპას წუხილს, მაფიქრებს იგი...
დღეს დედამიწა მე მაგონებს იმ სავსე კოკას,-
ბოროტება რომ მეტი წილი ასხია შიგნით...

სამყაროს დედის რობაი

«მზე დედაა ჩემი...»
ხალხური

ვეღარ ვაფასებთ ღვთით ბოძებულ სიცოცხლის ღადარს, –
სამყაროს დედას... მისი მზერა სად აღარ ატანს...
ფანჯრიდან თვალი ამჯერადაც ვერ გავუსწორე, –
ვინანე გვიან... მივაფარე სიცოცხლეს ფარდა...

მტრედების დამპურებლის რობაი

(აღმაშენებლის პროსპექტზე დილით...)

ნაცნობი კაცი გულღუღუნა მტრედებს აპურებს,
მეც ტკბილი სალმით მეგობრულად მომისალბუნებს...
მტრედებს შევყურებ, ერთმანეთზე შეყვარებულებს, –
თუ მართლა გიყვარს, მთას დასძრავ და გადააბრუნებ..

მთავრობისა და ხალხის რობაი

ვისთვის მთავარი არენაა და გასაქანი,
ვისთვის თავკაცი მთავარია, ვისთვის – ამქარი...
ვისთვის მთავრობა არის ხალხის მატარებელი, –
ვისთვის ხალხია მთავრობების გზაც და ბაქანიც...

ბურიანის რობაი

მანანას...

მოწყენილი ყვავილები, როგორ გინდა გადათქოროს,
ზამბახების დედოფალო, გვირილების ქალბატონო...
ბურიანი არის ჩვენი თვალწარმტაცი უოლდენი, –
ქალაქიდან გაქცეული ტყეს გავყურებ, როგორც თორო...

რეალობის რობაი

გაუფენია შემოდგომას ჭრელი ფარდაგი,
ჩაუწურია თბილ ქვევრებში ღვინოც, ბადაგიც...
ვერას მიაღწევ, თუნდ იყავი ბრმა ტირესია, –
მთელი ქვეყანა ლამისაა გახდეს ქადაგი...

დიოგენესა და მართალი კაცის რობაი

ნაკლებად ისმის ტკბილი სიტყვა, გახშირდა ღვარძლი,
არ ფასობს ღვაწლი... თვალწინ გვიდგას ცოდვების
ვარცლი...
სადღა ვიპოვოთ დიოგენე ან კასრი მისი? –
თუა ამ ქვეყნად, ვინ ეძებოს მართალი კაცი?..

ცხოვრების რობაი

არ მოშუშდება არასოდეს სულის იარა,
რადგან უფალმა გაგვაჩინა ადამიანად...
ვეღარ ჩამძირა... თუმც ცხოვრებამ საშიშ მორევშიც
ჩამითრია და ტალღასავით გადამიარა...

პილიგრიმის რობაი

დრონი მეფობენ... ქრება ბოლოს სკიპტრაც, ტიარაც,
ამსოფლიური მომეძალა ფიქრის ხვიარა...
ახლა ვინატრე მხარზე აბგა, ხელში – არგანი, –
პილიგრიმივით დუნიაზე მახეტიალა...

ლაბირინთის რობაი

ქვეყნად ვინ არის ორაკული, როგორც პითია,
იბრძვი, – იმედის ჩირაღდანი თუკი გინთია...
სად გისაფრდება მინოტავრი, არავინ იცის, –
რადგან ცხოვრება ერთი დიდი ლაბირინთია...

მსგავსების რობაი

შემოძარცვია ფრანგს პერანგი ძველი ფლანელის,
ქართველს სატინის... მათ ირჩიეს აუტანელი
თავისუფლება... აპოლონის იყვნენ პაჟები, –
პარიზს აოცებს გრენგუარი, თბილისს – გრანელი...

ფაქტის რობაი

თუმცა სახელი დაიმკვიდრა ქვეყნის გაწირვით,
ელტვის დიდებას ღვაწლმოსილი ერისკაცივით...
იქნებ ყვავობა არც ყვავს უნდა, მაგრამ ფაქტია,
თუნდაც ეცადოს, ვერ გახდება მაინც არწივი...

სიკეთის რობაი

ვიარე ტყისპირ, ამერია განა გზაკვალი,
მტაცებდა მზერას ბურიანის მზე და ცარგვალი...
ყოველდღიურად ქვაზე დავდოთ მცირედი მადლი –
აგვისტოა და ბავშვებისთვის მომაქვს მაყვალი...

ჯოჯოხეთის რობაი

წლების სიმრავლე დარდს გვიმატებს და ცრემლებს
გვადენს,
თან თევზებივით გვაფრთხობს შიში, ცხოვრება – ბადე...
ჩვენი ეპოქა საშინელი ჯოჯოხეთია, –
რომ დაგანახო, უნდა ვიყო უკვდავი დანტე...

დაისის რობაი

გული სიკეთეს თუ ასხივებს, რას გიზამს დარდი,
ბოროტს ნიღაბი ვერ დაფარავს და მახინჯს – ჩადრი...
ლამაზად უნდა იცხოვრო და წახვიდე ბოლოს, –
შეხედე დაისს, მზე მშვიდად და ლამაზად ჩადის...

სახლის რობაი

მოისმის სტვენა... მენახირე მიჰყვება ნახირს,
ხანდახან მწარედ აყეფდება ხევს გაღმა ძაღლი...
ადამის მოდგმა ანადგურებს ცოცხალ სამყაროს, –
და მის გარეშეც მკვდარი არის სამყარო – სახლი...

3. პროზა

რუსუდან რუხაძე

ოქროს სარაია

შაბათი შაქარყინულისა იყო. ჯერ კიდევ ყველას ეძინა, ძია სეითი ჩემს ფანჯარაზე ლობიოს მარცვალს რომ ამოაგდებდა და თვალით მანიშნებდა, ჩამოდიო. კბილის ჯაგრისით დერეფნის ბოლოს საპირფარეშოსკენ გავრბოდი, თავს სწრაფად ვიწესრიგებდი და მორიგეობაზე დაუგვიანებლად ვცხადდებოდი. შაბათობით მე ძია სეითს ვემსახურებოდი, ის კი თავის ღმერთს ეთაყვანებოდა.

დღის ბოლოს გაწეული შრომის საფასურად შაქარყინულის რამდენიმე ნატეხი მერგებოდა, რომელსაც სარაიაში მომპასის ყუთში ვინახავდი და მთელი კვირა ვიზოგავდი. დედა ყოველ ჯერზე ერთსა და იმავეს მიმეორებდა, ერთხელაც არ მინახავს სინაგოგაში წასული, რაღა შაბათს გაახსენდება ღმერთი და უქმეო. მე კი ძია სეითისთვის მსახურებაზე უარი არასოდეს მითქვამს და შაბათის მოახლოებას მოუთმენლად ველოდი, რომ ახალგაღვიძებული ლია კიდევ ერთხელ მენახა.

ერთ დღესაც ძია სეითი მეუბნება:

– ზურიკო, იმ დღეს მომაგონდა! შენი არ იყოს, ცხონებულ მამაშენსაც იმ სარაიაში თავისი ამბავი ჰქონდა, – მამაჩემის უხსენებლად შაბათი არ ჩაივლიდა.

– ჰო, ვიცი! – ისე გავხედე, თითქოს მემკვიდრეობით სარაია კი არა, სრა-სასახლე მრგებოდა.

– რაც სკოლა დავამთავრეთ, მე იქ აღარა ვყოფილვარ! შენა, ის კუკლა ისევ იქ არის? – ცალი წარბი აწია და ქვემოდან შემომხედა.

– რა კუკლა, ძია სეით? – ტოლჩიდან წყალი ჩამოვისხი.

– აი, ფაიფურისა, ჩავარდნილი თვალებით, – წრედ შეკრული თითები თვალებთან მიიტანა.

– არა, არ მინახავს! – ღიმილი ვერ შევიკავე.

– იმ კუკლას შიგნით ნათურა დაუყენა. აი, რომ აანთებდა, ცეცხლოვანი გველეშაპი გეგონებოდა. ღამით ჩართულს ტოვებდა, ქურდები უნდა დავაფრთხოო! – სიცილზე დიდრონ თვალებში ცრემლი მოერია.

– ძია სეით, რეები გახსოვს! – თითო საჩემო ამბავი ყოველთვის მზად ჰქონდა.

– როგორ მოიფიქრა მაინც! – საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიდო – ფირმა გოგოების ფოტოები ჰქონდა სარაიაში გაკრული. იმათ ყარაულად თუ დააყენა! – ცხვირსახოცის კუთხით თვალები ამოიშრო.

– სულ ზედა თაროზე თუ იქნება, – ჩაფიქრებული კედელზე გაკრულ პანორამას მივაცქერდი.

– კარგად დაძებნე ყუთებში, არ გადააგდებდა, – შვიდრტოიან შანდალს სანთლის ნაღვენთი ფრთხილად ააცალა.

– მოვძებნი, ძია სეით! – ჩაის ტილო მაგიდას გადავაფარე და მორიგეობისთვის მოვემზადე.

– ახლა მიდი, გენაცვალე, ლია გაიღვიძებს და ჩაიდანი შემოდგი ცეცხლზე! – ჩემი მსახურება ყოველთვის ლიასთვის საუზმის მომზადებით იწყებოდა.

ლია სეითზე ბევრად უმცროსი იყო და მთელ ეზოში ყველაზე ლამაზი კაბები ეცვა. საწოლში მირთმეული ყავის ლაქებით აჭრელებულ ლეიბებს ყოველ ზაფხულს ამინას არეცხინებდა. მერე კი ხის ჩრდილში, ფარდაგზე ფეხმორთხმული წკეპლას მოიმარჯვებდა, გადათეთრებულ

მატყლს თვითონვე გაპენტავდა და ჩემს გულს კიდევ ერთხელ მოიგებდა. ლიას ალები აწუხებსო, ერთხელ რაღაცაზე განაწყენებულმა ამინამ თავისთვის ჩაილაპარაკა. ძილის წინ დედას ვკითხე, ეგ რა არის-მეთქი. ქალური ამბავიაო, მოკლედ მომიჭრა. ლია, ალები, ქალები – ვიმეორებდი გულში და ლიაზე ლექსის დასაწერად ორი ღამეც კი გავტეხე, არაფერი გამომივიდა. ის ღამეებიც შაქარყინულის ანგარიშზე იყოს.

* * *

კვირა კალმახისა იყო. დილით, როდესაც მე და დედა გოგილოს აბანოში წასასვლელად ვემზადებოდით, ქვრივშუშანა მზის ქოლგას გაშლიდა, თავისივე მოქსოვილ იისფერ ბადეს დაიჭერდა და დეზერტირების ბაზრისკენ გაუყვებოდა გზას. დიდი ხნის წინ დამეგობრებული ვაჭრისგან ორ ცალ მოზრდილ კალმახს იყიდდა და «ცარსკი პეროგის» გამოსაცხობად რამდენიმე ვაშლსაც გამოიყოლებდა. შუადღისთვის სუფრას ორისთვის გააწყობდა და სადილს უჩემოდ პირს არ დააკარებდა. აბანოდან მოშიებული ვბრუნდებოდი, ეზოს ჭიშკართან დედას ყელზე ვკოცნიდი და პირდაპირ შუშანა ბებოსთან გავრბოდი.

სანამ სუფრას შემოვუსხდებოდით, შუშანა ერთი ათჯერ მაინც შემოირტყამდა თავში ხელს: «უი, თავი მომიკვდეს, ტარხუნის გამოტანა დამვიწყებია», ან «ეს რა პური დამიჭრია?! შავი პური შავი დღისთვისაო. თეთრი დღეა, თეთრი პური მივირთვათ!» სანამ შუშანა ბებო დაფუსფუსებდა, მე ისევ აბანოდან გამოყოლილ ხატებს დავდევდი უმისამართო მზერით. ცხელი ორთქლისგან აწითლებული შიშველი სხეულების, წყლისგან გასწორებული დალალების, ჩემს დანახვაზე ოდნავ

შემცბარი, იშვიათად კი ურცხვად მომზირალი ქალების წარმოდგენა თავგზას მიბნევდა და კიდევ უფრო მაშიებდა. დამატყობდა შუშანა, საითაც გამიტაცებდნენ ფიქრები და თავისებურად შემომაპარებდა ხოლმე: «დიდი ბიჭი ხარ უკვე! რაღა დროს შენი ქალების აბანოში წაყვანაა. იმ კვირიდან ეზოს კაცებს გაჰყევი, ჰო, გენაცვალე!»

ქვრივშუშანა პირველ სართულზე, ერთ ვიწრო ოთახში ცხოვრობდა. მთელი ჩვენი ეზო და კარ-მიდამო ერთ დროს შუშანას მამამთილის ყოფილა. მერე კი ბედის უკუღმართობას მთელი ოჯახი პირველ სართულზე, ერთ პატარა ოთახში გამოუმწყვდევია, უწინ მრეცხავებისთვის რომ ჰქონდათ დათმობილი.

– ეგ ხეც ჩემი მამამთილის დარგულია, – ერთ დღესაც შუშანამ თვითონ წამოიწყო ჩვენი ეზოს თუთის ხეზე საუბარი.

– მეც მაგას არ ვეუბნები?! – ღვინოსავით დავაგემოვნე მსხლის ლიმონათი.

– ჰო, გენაცვალე, ყველა იტყუება, ეს თუთის ხე პაპაჩემის დარგულიაო! – თან ჩემი თეფშისკენ გადმოწეულიყო და კალმახს ფხას აცლიდა.

– შუშანა ბებო, ეგ ხე ყველას უყვარს და მოსაჭრელად ენანებათ, – გამოვექომაგე თუთას.

– შენმა მზემ, ჩემზე მეტად გული არავის ეტკინება, მაგრამ მალე მაგის ფესვები იატაკს ამოამტვრევს და სახლში შემოგვივარდება. ის დები ხო უსახლკაროდ დარჩებიან და შენი სარაიაც ზედ მიჰყვება! – უტყუარობის დასტურად ჩანგლის ბოლო მაგიდას დაჰკრა.

– შუშანა ბებო, ჩემი სარაიის ქვეშ მართლა ოქროს ფულია ჩამარხული? – თვალებანთებულმა კიდევ ერთხელ ვკითხე.

– ჰო, მაშ! სახლის შენება რომ დაუწყიათ, ჯერ ეგ სარაია დაუდგამთ მუშებისთვის. ჰოდა, საძირკველში ოვანესს ნიკოლოზისდროინდელი ოქროს ფული ჩაუტანებია. ვერცხლი უნდაო, მაგრამ ამან ოქრო ჩადო. დიდი ამაყი ვინმე იყო! – ოვანესზე საუბრისას პატივისცემის ნიშნად ხმას იცვლიდა.

– ერთხელაც ოქროს თუთა რომ გამოისხას იმ ხემ, – თვალები ამიციმციმდა.

– უნდა მოიჭრას! შუშანა თანახმაა-თქო, ყველას უთხარი. – ხელსახოცით მოიწმინდა ტუჩის კუთხეები.

ხანდახან სადილის ბოლოს საჩუქარიც მერგებოდა. ქვრივშუშანა ოთახის სიღრმეში სკივრისკენ გამიძღვებოდა, ნაქარგებიან გადასაფარებელს გადააძრობდა და ჯადოქარივით ორივე ხელით ახდიდა თავს. ამოირჩიეო, მეტყოდა და თვალს ჩამიკრავდა, ჩემი თავსატეხიც ეგ იყო. ათასგვარი მუნდშტუკებიდან, მძივებიდან თუ ფერუმარილის ცარიელი ყუთებიდან ერთ ყველაზე ბრჭყვიალა რამეს მოკრძალებით ამოვიღებდი და მადლობის ნიშნად გულუხვ მასპინძელს ხმელ მკერდზე მივადებდი თავს. ამასობაში ქვრივშუშანას ფუმფულა ბალიშებისკენ გაეპარებოდა თვალი, ძილმორეული გამიღიმებდა და მეტყოდა, «ცარსკი პეროგს» აქ არ გავჭრი, ჩაიზე სახლში მიირთვითო. მერე დედაჩემს ასძახებდა და კიბის რიკულებიდან გამოწვდილ დარცხვენილ ხელს, დაღესტნური ვერცხლის სამაჯურით, ხელუხლებელ ნამცხვარს მიაწვდიდა.

* * *

ორშაბათი არაჟნიანი მაჭკატებისა იყო. გაკვეთილების მერე «ვაენი გარადოკში» მივდიოდი და საშა სუროვცევს ქართულს ვასწავლიდი. გარადოკს ოთხი შესასვლელი ჰქონდა. მე საბადურის ქუჩიდან ვსტუმრობდი ქალაქს, რომლის ქუჩებშიც მხოლოდ ბავშვები და ქალები დაიარებოდნენ. სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მამაკაცებს კი გათენებამდე ან გვიან საღამოს თუ მოჰკრავდით თვალს. ეს გეომეტრიულად სწორხაზოვანი და მოსაწყენი, სამხედრო წესებს დამორჩილებული «გარადოკი» მაინცდამაინც ნატიფი რიკულების, ორნამენტებიანი ჭიშკრების და წრიული კიბეების უბანში გაეშენებინათ. უკანა გზაზე ამ მკვეთრი სხვაობის გასაფერმკრთალებლად გზას ვიგრძელებდი და შაუმიანის ქუჩით ვუბრუნდებოდი ჩემს ფერად და მხიარულ თბილისურ ეზოს.

სუროვცევები სამხედრო ქალაქის შუაგულში, გენერლების ტუფით მოპირკეთებულ კორპუსში ცხოვრობდნენ. გენერალი სუროვცევი მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილ ფოტოზე მყავდა ნანახი, თუმცა მისი არსებობა სახლში მაინც ყოველთვის იგრძნობოდა. სანამ საშასთან ავიდოდი, ეზოში მოთამაშე ბავშვებს გამოველაპარაკებოდი და სახლის წინ ჩამომსხდარ დიასახლისებს ანგარიშს ჩავაბარებდი – ვისთან და რატომ მივდიოდი. ყველა კორპუსის წინ, დაბალი ღობით შემოკავებულ გაზონებში სხვადასხვა ფერის ვარდები და გლადიოლუსები ხარობდნენ. ამ პაწია ბაღების პატრონები ძირითადად პირველი სართულის მაცხოვრებლები იყვნენ. სუროვცევებს კი ასეთი ბაღნარი არ ჰქონდათ, რადგანაც მეოთხე სართულზე დაედოთ ბინა.

ჩემი და საშას მეცადინეობა თამაში იყო, რომლის დროსაც მხოლოდ ქართულად უნდა გველაპარაკა. სანამ საშა თავის

არსენალს სიამაყით მაცნობდა ხოლმე, დეიდა ლადა ტაფაზე მაჭკატებს აბრუნებდა. «ბაკაკებო, ხვაწიტ ზანიმატსა!» – კარს შემოგვიღებდა ბოლოს და ხელებს პეპლებიან წინსაფარზე გაიწმენდდა.

– ზურიკო, ნაპომნი, კაკ პო გრუზინსკი ბლინი, – გარეცხილ ჭურჭელს საშრობზე ჩამოალაგებდა.

– მაჭკატი, წოწია ლადა! – დარცხვენით ვეტყოდი და უხერხულობისგან ჩანგალს მივაბჯენდი კბილებს.

– მაჩკატი, მაჩკატი! – იმეორებდა დეიდა ლადა და გულიანად იცინოდა.

როგორც კი იქაურობას მიალაგებდა და დიდ ოთახში ტელევიზორის საყურებლად გავიდოდა, საშას ხმადაბლა ვეტყოდი:

– საშა, გინდა მე ვეტყვი წოწია ლადას, ჩემთან გამოგიშვას? – დიდი ოთახისკენ გავაპარებდი თვალს.

– არ გამომიშვებს. ეს «ვაენი გარადოკია», თავისი წესები აქვს! – სამზარეულოს კარს მიხურავდა და თავს გააქნევდა.

– ჩემთან ხომ მეგობრობ? ხოდა ჩემი ეზოა! – კიდევ ერთხელ ვცდიდი გადმობირებას.

– მისმინე, მართლა არ კეტავთ ღამით კარს? – საშა სკამს ჩემკენ ახლოს მოწევდა.

– მართლა! – ამენთებოდა თვალები ჩემს ეზოზე საუბრისას.

– მართლა ერთად სადილობთ ხოლმე მეზობლები? – ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა.

– მართლა! – დასტურად თავს მოწყვეტით დავუქნევდი.

– მართლა ყველას თავისი ღმერთი ჰყავს? – კიდევ უფრო ხმადაბლა იკითხავდა.

– ჰო, იქ ყველას თავისი ღმერთი ჰყავს, საპირფარეშო კი საერთო. – გავუღიმებდი და არაჟნიან თეფშს ჩანგალზე წამოცმული მაჭკატით მოვასუფთავებდი.

– შენი სარაია მართლა ოქროსია? – დაეჭვებული კიდევ ერთხელ მკითხავდა.

– მართლა! – თვალს ავარიდებდი და კედელზე დაკიდებულ ხის კოვზებს გავხედავდი ზედ მოხატული ძახველით.

– შტაბს ვერ დავტოვებ! – მომიჭრიდა ბოლოს და თეთრად მოთხუპნულ პირს მოიწმენდდა.

სუროვცევებმა ისე დატოვეს საქართველო, საშა ერთხელაც არ მსტუმრებია. გამგზავრების წინ სამახსოვროდ ნაჩუქარმა ჯარისკაცების ნაკრებმა კი ჩემი სარაიის მეორე თაროზე დაიდო ბინა.

* * *

სამშაბათი ჩაისა იყო – პატარა, გამჭვირვალე ჭიქით და ლამბაქზე ნატეხი შაქრით მორთმეული ჩაისა. ამ ჩაის სულ სხვა გემო ჰქონდა, ვიდრე სახლში, ვერცხლის ბუდეში მოთავსებული დიდი ჭიქით დალეულს. ელმირა და შაჰლა ადრე დაობლებული დები იყვნენ. იმათ დედ-მამას ჭრელ აბანოში მექისეებად უმუშავიათ. ერთხელ მოულოდნელად მოვარდნილ წყალს აბანოები დაუტბორია და ხალხი დამხრჩვალა, მათ შორის ალიცა და ფატმაც. მეზობლებს გოგოები ნათესავებისთვის არ გაუტანებიათ – როგორც ჩვენს შვილებს, ისე მივხედავთო. ობლებისთვის ლუკმა-პური გაუყვიათ და არაფერი დაუკლიათ, შაჰლას თვალებისთვის კი ვერაფერი უშველიათ. რომ წამოზრდილან, ელმირას ფრჩხილების გალამაზება

უსწავლია და უბნის ქალებთან ბინაზე დაიარებოდა. როცა არ უნდა დაგეხედა, ცერა ფრჩხილის კიდეზე წვრილ ხაზად სხვისი ნუნებიდან ამოსუფთავებული წითელი ლაკი ემჩნეოდა. ამასობაში კი შაჰლა ლიას ზურგზე მასაჟის კეთებაში დაოსტატებულა და საქმეც გაუჩენია.

– აი, რომ ვერ ხედავს, ხელი უფრო მგრძნობიარე აქვს, – იტყოდა ხოლმე მასაჟისგან გათანგული ლია.

– ეგ კი არა, სამზარეულო ოთახის გვერდითა მაქვს და სადილი თუ მიმეწვა, შაჰლა მეძახის ეზოს ბოლოდან, – პირზე ხელს აიფარებდა და ისე იტყოდა ამინა.

– ნოვრუზის ჯეჯილი რომ ჩაჭკნება, აღდგომისას ჩავუტან ხოლმე. ერთი-ორ ღერს თითებით გასრესს და ისე ხარბად დაყნოსავს! – სინანულით თავს გააქნევდა დედაჩემი.

ელმირა კი ამბობდა, სხეულის სიამეების ცოდნა შაჰლას მშობლებისგან გამოჰყვა, მერე რა რომ ქისა არ უჭირავს ხელშიო.

მთელ ეზოში ყველაზე მოსაწყენი ხედი შაჰლასა და ელმირას ფანჯარას ჰქონდა – იქიდან მხოლოდ ეზოს ჩიხი და ჩემი სარაია მოჩანდა, სახურავზე გაწოლილი ჭრელი კატებით. ხოლო ის, რისი დანახვაც სარაიიდან მათ ფანჯრის მიღმა შეიძლებოდა, სუნთქვას მიჩქარებდა და ამოუცნობ სიამოვნებას მანიჭებდა. სამშაბათობით ფიზკულტურის გაკვეთილს ვაცდენდი და სკოლიდან ადრე ვბრუნდებოდი. სარაიაში შევიპარებოდი, ბინოკლს მოვიმარჯვებდი და შაჰლასთან სტუმრად მოსულ ვარდისფერ ქალს მალულად ვუცქერდი.

გაშიშვლდებოდა ეს ქალი, ტახტზე პირჩაღმა დაწვებოდა და მოკეცილ ხელებს თავს გვერდულად ჩამოადებდა. შაჰლა თითებს გაავარჯიშებდა, ზურგზე სურნელოვან

ზეთებს წაუსვამდა და სივრცეში მომზირალი დაჰყვებოდა ხერხემლის მალებს. მერე ხან ხელის გაშლილი მტევნებით დაუვლიდა, ხან იდაყვებს მიაშველებდა და ვარდისფერი ქალიც ნეტარებისგან ტერფებს აათამაშებდა. მასაჟის მერე შაჰლა და მისი სტუმარი სავარძლებში მოკალათდებოდნენ, ელმირა ხალიჩაზე ფეხმორთხმით დაჯდებოდა, სამოვარიდან ჩაის ჩამოუსხამდა და გააბამდნენ ქალები მუსაიფს. თუ დარი იყო და ფანჯარა ღია ჰქონდათ, საუბარს ადვილად ვარჩევდი. ერთხელაც შაჰლა ამბობს:

– თავიდანვე გეთქვა! აი, ჩვენი ლიაც უშვილოა და იმიტომ ვუკეთებ მასაჟებს.

– შაჰლა, შენ თუ მიშველი! – სავარძლიდან წამოხტა ვარდისფერლოყება ქალი.

– მაშინ მარტო ზურგის მასაჟი არ გეყოფა, – თავი გააქნია შაჰლამ.

– შენ როგორც იტყვი, შაჰლა! – ორივე ხელი აწია ქალმა დანებების ნიშნად.

– სისხლია მთავარი! ის რომ ამოძრავდება, ნაყოფიც მოგეცემა. – მისანივით წარმოთქვა შაჰლამ.

– ლია რომ მაინც უშვილოა? – დაეჭვებით იკითხა სტუმარმა.

– ახლა უკვე სეითმა უნდა ივარგოოოს! – ღიმილით წაუმღერა.

ქალები ჯერ კიდევ საუბრობდნენ, ელმირამ სარაიის კარი მოულოდნელად რომ შემომიღო. ჩაი გამომიწოდა – ცხლად დალიე, გაგაგრილებსო, ნიშნისმოგებით მითხრა და დოინჯი შემოიყარა. შემცბარმა ხმა ვერ ამოვიღე, ბინოკლი

ზურგსუკან გადავმალე და თავის გასამართლებლად ესღა მოვიგონე:

– დარაბები ღია დაგრჩენიათ და...

– ზურიკო, ზურიკო! – თითი დამიქნია და თვალი ჩამიკრა.

მას მერე მამხილებელი ჩაის გარეშე არცერთ სამშაბათს არ ჩაუვლია.

* * *

ოთხშაბათი ქიშმიშისა იყო. საღამოთი ლიას მეზობელ ქუჩაზე ვეგზავნებოდი «ზაკაზის» წამოსაღებად. ძია რუბენს უბანში «ვიტიჩკას» ეძახდნენ. ხან ვის შეპირდებოდა, კაბას ფეშქაშად შეგიკერავო, ხან ვის დააიმედებდა, ერთი შარვალი ჩემზე იყოსო, მაგრამ შეკვეთების გადამკიდე დანაპირებს ვერ ასრულებდა. ვიტიჩკაში ჩამაკერეო, ეტყოდნენ ხოლმე განაწყენებული უბნელები და რუბენიც თავიდან დათქვამდა დანაპირების ჩაბარების დროს. ლიასთან საქმე სხვაგვარად იყო, «ზაკაზი» იყო და იმიტომ. იცოდა, ოთხშაბათ საღამოსთვის ლიას მუშტრებისთვის უსიკვდილოდ ორი ჯინსის შარვალი უნდა ჰქონოდა შეკერილი. დამინახავდა თუ არა, ახალგაუთოებულ შარვლებს უბეში ხელს წაავლებდა, კოხტად დაკეცავდა და ცელოფნის პარკში ჩამილაგებდა.

– ლიას უთხარი, ბოლო პარტიაა-თქო – ყოველ ჯერზე ერთსა და იმავეს მეუბნებოდა.

– ვეტყვი, ძია რუბენ! – თან ქიშმიშისკენ გავაპარებდი თვალს.

– ვახ, კინაღამ არ დამავიწყდა?! – ვერცხლის თასს ჩემკენ გადმოდგამდა – ეგა მშველის. აი, სულ რომ ვზივარ, ბოდიში

და, ტუალეტში მიჭირს. სამირას არ უთხრა, იცოდე, მამამისს ეტყვის.

– არ ვეტყვი, ძია რუბენ, – ღიმილით ვუპასუხებდი, მუჭს გაივივსებდი და ქარვისფერ ქიშმიშს სათითაოდ შევექცეოდი.

– ერთი კარგად უნდა დაველაპარაკო ლიას, გაძვირდა, ხო იცი, ესენი! – უჯრას გამოაღებდა და Montana-ს მარკებს გადმომიწყობდა ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებით – ამ ფასად ვეღარ შეკერავს-თქო.

– რომ არ დააკეროთ ჯინსებს ეს არწივები? – საჩვენებელ თითს გადავუსვამდი ოვალურ სპილენძის მარკას.

– რას ამბობ? მაგითა ვჭამ პურს. ეგრე მუშტრები ვერცხლის ქუჩაზე გაიქცევიან. უმარკებოდ იქაური პარტნოიცა კერავს.

ძია რუბენი კერვას გააგრძელებდა, მე კი ასჯერ ნანახ ნივთებს ხელახლა ვათვალიერებდი. ყველაფერი იგივე იყო: საკერავ მანქანაზე დამაგრებული საკითხავი ნათურა, პაწია ბალიშში ჩარჭობილი ნემსები, თარგების დახაზვისას ცარცით მოხატული მაგიდა, მუშამბის სანტიმეტრები, სხვადასხვა ზომის მაკრატლები და ღილები, საკიდებზე საპატიოდ ჩამოკიდებული კაბები და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფერადი ძაფები ძია რუბენის კალთაზე. ხანდახან ნემსზე ძაფის აგებას მთხოვდა და დაიწუწუნებდა, მე თვალის ჩინი დამაკლდა, ჩემმა ბიჭმა კი კორპუსში ამჯობინა ცხოვრება და მოხუცი მამა მარტო დამტოვაო.

– შაბათ-კვირამდე ამ ჩემს შურტვაწს არა სცალიან, ვექილია! – თავის გვარგადაკეთებულ ვაჟზე იტყოდა ხოლმე – ძნელია მარტოობა, ზურიკო-ჯან!

– ძია რუბენ, M-ს როგორ აწერ ჯიბეებზე? – თავს გადავწევდი და ხელისგულზე დარჩენილ წვრილ ქიშმიშებს პირში ჩავიყრიდი.

– გასწავლი ხელობას, ოღონდ სათითეს თავიდანვე უნდე მიეჩვიო. ნახე, თითები რა დღეში მაქვს! მიდი, შენ მაინც დაუკარი პიანინოზე. – მეტყოდა და თან კედელზე დაკიდებულ გუგულიან საათს ახედავდა.

შუშაბანდიდან დიდ ოთახში შევიდოდი და ერთი ნათურის მოიმედე ბროლის ჭაღს ავანთებდი. შავ, დამტვერილ პიანინოს თავს ავხდიდი და საჩვენებლი თითებით «ჩიჟიკ-პიჟიკის» დაკვრას დავიწყებდი. ძია რუბენი ნაცნობ მელოდიას ღიღინით აჰყვებოდა, მერე ხმას ჩაიწმენდდა და გამომძახებდა:

– იმ ოთხშაბათს ტარზანზე სომხურად გასწავლი სიმღერას!

– მასწავლე, ხეზე ავალ და ისე ვიმღერებ, – ყელს მოვიღერებდი ხოლმე.

– ზურიკო, შენ აღარ უნდა გაიზარდო, ჰა? – თავს გააქნევდა და ჩემკენ მობრუნდებოდა.

– რა მეჩქარება, ძია რუბენ! – მხრებს ავიჩეჩავდი.

– შენ როდის შეგიკერო შარვალი? მოვიცლი თუ არა, ოჩერედში პირველი შენა ხარ! – სქელშუშიან სათვალეს ჩამოიწევდა და თვალს ჩამიკრავდა.

ძია რუბენს ჯინსი ჩემთვის არ შეუკერავს, ნაჩუქარი Montana-ს მარკა კი სკოლის შარვალზე დავაკარი, ოღონდ შიგნიდან.

* * *

ხუთშაბათი კაკლის მურაბისა იყო. დედამ, კბილები რომ არ დაგიჭიანდეს, ერთი დღე დავთქვათ და იმ დღეს გაგიხსნი

ქილასო. მწვანედ დაფერილ ბროლის ლარნაკში პაწია ფურცლები ჩავყარეთ, ხუთშაბათი ამოვიდა. სანამ დილაობით გამზადებულ კარაქიან პურს და მურაბიან ჩაის გეახლებოდით, დედა სარკესთან დადგებოდა, გიშრისფერ გრძელ თმას გაიშლიდა და მონდომებით ივარცხნიდა. თავს რომ მოიწესრიგებდა, სამნაჭრიანი სარკის გვერდითა ფრთებს ისე აამოძრავებდა, რომ ყველა მხრიდან დაენახა საკუთარი თავი. მეც, ამ მომენტს ჩასაფრებული, წამოვხტებოდი და ზურგსუკან დავუდგებოდი. ერთბაშად რამდენიმე დედაჩემის დანახვა მაფრთხობდა კიდეც და უზომოდაც მაბედნიერებდა. განა სხვა დღეს არ ივარცხნიდა თმას, მაგრამ კაკლის მურაბასთან ერთად ამ ჯადოსნურ სანახაობას სხვა გემო ჰქონდა.

– საფოსტო ყუთის შემოწმება არ დაგავიწყდეს! – შემახსენებდა და მამაჩემის ოდეკოლონების ცარიელ ფლაკონებს თვალდახუჭული დაყნოსავდა.

– წელს მგონი კარგი რთველი გვექნება, – ზურგიდან ჩამეხუტებოდა, ჩემს გატკბილულ ხელებს აირიდებდა და აივნის რიკულებზე აყოლილ ვაზს გახედავდა.

– აბა, იპოვე, რომელ ჭიქაშია ბუფეტისთვის ხურდა, – გამომცდელად მეტყოდა და მეც პირღია თევზის ფორმის არყის სირჩებს რიგრიგობით გადმოვაპირქვავებდი.

დედა ყოველთვის გადამეტებულად ზრუნავდა ჩემზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მამა გარდაიცვალა. მეც ყოველთვის მორჩილად ვუახლოვდებოდი, როდესაც დილა-საღამოს შუბლზე კოცნით ჩემი სხეულის ტემპერატურას ამოწმებდა. არც იმას ვუკადრისობდი, სკოლაში წასვლის წინ ძილ-ბურანში მყოფს პერანგის ღილებს რომ მიკრავდა. დიდხანს ვერ შეველიე დედაჩემის ღამის პერანგს, რომლის სურნელიც ჩვილივით უშფოთველ

ძილს მგვრიდა. იმ დღეს კი, როდესაც ეზოში თუთის ხეს ჭრიდნენ და თვალებზე ხელი ამაფარა, ზურგსუკან ქვრივშუშანას ხმა მოგვესმა:

– გაუშვი, ნახოს! ხო უნდა იცხოვროს ამანაც?!

მომდევნო ხუთშაბათს დედამ ჩვეულად გამოიღო განჯინიდან კაკლის მურაბა, მინდვრის ყვავილებით მოხატულ ფაიფურის ფიალაზე გადმომიღო და იქვე ჩამომიჯდა.

– ზურიკო, ერთ რამეზე მინდა მოვრიგდეთ. – ღელვისგან თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა.

– რა იყო, დე? – კბილებს შორის გაჩხერილი კაკლის უღელი ფრჩხილით მოვიშორე.

– აი, რომ დათბება, სარაია ერთად დავალაგოთ, – ტუჩები მოკუმა და თუთიყუშისთავიანი კოვზი ხელზე მსუბუქად დამარტყა.

– მე თვითონ დავალაგებ! – თავი ჯიუტად გავაქნიე.

– ძველმანები უნდა გადავყაროთ, – მომეალერსა და შუბლზე ჩამოშლილი თმა გამისწორა.

– არ გადავყრი! – თავი განზე უხეშად გავწიე.

– შეეშვი იმ სარაიას! ეზოში ითამაშე ბავშვებთან ერთად და წონაშიც დაიკლებ, – მუცელზე დამადო ხელი.

– ის სარაია ჩემია! – განაწყენებულმა მურაბის ქილა დედაჩემისკენ გადავდგი.

ვერ მოვრიგდით. სარაიის შეჩვეული სუნი, ნახევრადშემინულ კარში შემომავალი მზის ორიოდე სხივი და თაროებზე ჩამოლაგებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნივთები ყველაფერს მერჩივნა.

იმედგადაწურულმა დედამ ხელები მკერდზე ჯვარედინად დაილაგა, პირი კედლისკენ იბრუნა და დეკორატიულ თეფშზე გამოსახულ მამაჩემის ფოტოს, როგორც ხატს, ისე მიაცქერდა. დედაჩემის ზურგისთვის თვალი არ მომიშორებია. მხრები ოდნავადაც არ შერხევია, მაგრამ რომ შემობრუნდა, უკვე ნამტირალევი იყო. მე არასოდეს მინახავს დედაჩემის ტირილი, მხოლოდ აწურული წარბები და წყლიანი, წითლად შემორკალული თვალები. ხანდახან მეგონა, დედაჩემის საცრემლე არხები დაძარღვულ ყელში ჩაედინებოდა და ამიტომაც ჰქონდა მის ღაწვებს მტკნარი გემო. იქნებ სულაც სხვაგვარად იყო ეს ყველაფერი, ჩემს გულს კი ასე დაამახსოვრდა.

* * *

პარასკევი გრძელი ვახშმისა იყო. ვისაც რა ჰქონდა იმ დღისთვის მომზადებულ-გადანახული, უშურველად გამოჰქონდა, ეზოში დიდი ლურჯი სუფრა იშლებოდა და მთელი სამეზობლო ერთად ვვახშმობდით. უბრად მყოფი მეზობლები ორი ჭიქა ღვინის მერე გულაჩუყებულები ეხვეოდნენ ერთმანეთს, ხუთი ჭიქის მერე კი ხელახლა ჩხუბობდნენ. შუაღამემდე ვმხიარულობდით ბავშვებიც. ვმღეროდით, ვთამაშობდით, უფროსების მონაყოლ ამბებს გაფაციცებით ვუსმენდით:

– როგორ იყო, ალიკას ძაღლმა რომ უკბინა და ვეტექიმთან წავიდა? – იტყოდა ერთი და მხიარულად აჰყვებოდნენ დანარჩენები.

– ისა? რუბენა ბებიამისის შინიონით ქალების აბანოში რომ შეიპარა? – იტყოდა მეორე და ამბის მოყოლამდე ჯერ თვითონ იჯერებდა გულს სიცილით.

– იმას რად არა ჰყვებით, გოგია ჩეხ გოგოებს ჩურჩხელის ნერგს რომ დაჰპირდა! – იტყოდა მესამე და ვიღაცას გადაცდენილ ლუკმაზე ზურგში წარმორტყმა არ ასცდებოდა.

სუფრას რომ აალაგებდნენ ქალები და დარეცხილი თეფშები თავის პატრონებს დაუბრუნდებოდა, მაგიდის თავსა და ბოლოში ნარდი და დომინო გაიშლებოდა. პატარები მამებს ზურგსუკან ამოუდგებოდნენ და მხურვალედ გულშემატკივრობდნენ. ამ დროს მე უკვე სარაიაში გადავინაცვლებდი ხოლმე და ჩემს ძვირფას ნივთებს ხან რაღაც მოსაზრებითა და ლოგიკით, ხანაც თავშესაქცევად ვუცვლიდი ადგილებს.

ერთ პარასკევსაც ეზოში განსაკუთრებული სამზადისი იყო. ამინამ ახლა მინდა, ხალხო, თქვენი დახმარება და გვერდით დგომაო. დილეს გათხოვება გადაეწყვიტათ. დილე ჩემზე უფროსი იყო და ერთი თავით მაღალიც. პატარა ძმასავით დამიჭერდა ხოლმე და ლოყებზე მკოცნიდა. მე კი ამ ალერსიან თამაშში მისი ხვეული თმის სურნელი მაბრუებდა. იმ სუსხიან დღეს დილეს ლამაზი აბრეშუმის კაბა ეცვა – მგონი, სამი ერთად, სულ ფერად-ფერადები. სუფსარქისის ქარები კარგა ხნის ჩავლილი იყო, მაგრამ ჩვენი სახლის კიბეს მზე ჯერ კიდევ ვერ ათბობდა. დილეს ნაცვლად მე მციოდა, ის კი თითქოს ერთბაშად გაკაჟებულიყო და დაქალებულიყო, ჩემთვის არც უკოცნია – როგორც დიდმა გოგოებმა იციან, ისე გადამისვა თავზე ხელი.

– დილე, აქ აღარ იცხოვრებ? – პირველად შევხედე დილეს თვალებში თამამად.

– აღარ, ქორწილი მალე იქნება. – პირველად დაიმორცხვა დილემ.

– ხო მოხვალ ხოლმე? – ქურთუკის საყელოში ჩავრგე გაყინული ცხვირი.

– რომ არ მოვიდე, მამაჩემი ჩუმად იტირებს, – ცრემლი შეერია ხმაში.

– ჩვენთან აღარ ითამაშებ? – კედელზე დაკიდებულ ბადმინტონის ჩოგნებს გავხედე.

– სათამაშოდ სადღა მეცლება?! – დიდი ქალივით გაისწორა უბესთან კაბა.

დილეს დასანიშნად სტუმრები დაფითა და ზურნით მოვიდნენ, სასიძო დილეზე ცოტათი უფროსი იქნებოდა, ასე 17 წლისა. შრაშუნა ქაღალდებში გახვეული საჩუქრები დილეს და-ძმებს და მშობლებს ჩამოურიგეს. დილეს კი საქორწინო ბეჭედი გაუკეთეს და წითელ-ყვითელ ყვავილებიანი თავსაფარი წააკრეს. იმ საღამოს დილეს ხმა აღარ ამოუღია, მე კი პირი არაფრისთვის დამიკარებია. სარაიაში ჩავიკეტე და დიდხანს ვფიქრობდი, მთელი ჩემი ავლა-დიდება რომ გამეტანა, შევძლებდი თუ არა პატარძლის გამოსყიდვას. ზურნის ხმა რომ მიწყნარდა, თითქოს დავმშვიდდი და გული მოვიბრუნე. მოულოდნელად თავში ძია სეითის შეკითხვამ გამიელვა – კუკლაზე. სკამზე შევდექი და ზედა თაროების გადმოლაგება დავიწყე. ერთ დამტვერილ ყუთს მივაგენი, ფრთხილად ჩამოვიღე და გულისფანცქალით ავხადე თავი. შიგნით ის ძველი ფაიფურის თოჯინა აღმოჩნდა. ლურჯი ხავერდის ტილოთი სათუთად გავწმინდე, მაღაზიაში გავიქეცი და ნათურა ნისიად წამოვიღე.

სარაია გვიან დავტოვე. ეზოში რომ გამოვედი, სტუმარ-მასპინძლები დაშლილიყვნენ, ქალებსაც მოგროვილი ჭურჭელი ონკანთან დიდ ჯამებში ჩაელაგებინათ და საქმე

ხვალისთვის გადაედოთ. დედა თავის სარწეველაში განაწყენებული მელოდა, დღეს მაინც რაღა იყო იმ ბნელ და მტვრიან სარაიაში გამოკეტვაო.

იმ ღამეს შაჰლას კივილმა გაგვაღვიძა, დედამ ფანჯარა გამოაღო და განწირული ხმით გამომძახა:

– სარაია იწვის!

ღამის პერანგზე ხალათი მოიცვა და ეზოში ჩამავალ ხვეულ კიბეზე სირბილით დაეშვა, მეც დავედევნე. მეზობლებს სათლები და თასები სასწრაფოდ გამოეტანათ, ონკანთან რიგი დაეყენებინათ და სარაიას წყალს მორიგეობით ასხამდნენ. ძველი ხის თაროები და კარადები მალევე დანაცრულიყო, გადარჩენილ ნივთებს კი ერთიანად შავი ფერი დასდებოდა. მზად ვიყავი იმ ნახშირში ისევ თავიდან აღმომეჩინა ჩემი საგანძური, მაგრამ ვიცოდი, დედა ახლოს არ მიმიშვებდა. ნარეცხმა წყალმა, რომელიც ეზოს დაქანებული შუაგულისკენ მიედინებოდა და დაჟანგული ლუკით ჩვენი ქალაქის მიწისქვეშა სამყაროს უერთდებოდა, უმზეო სარაიის ნათელი დღეები თან გაიყოლა.

ხანძარი რომ მინელდა, ძია სეითმა ხმამაღლა და გადაწყვეტით თქვა: «მოკლე ჩართვის ამბავია!» ყველამ მე შემომხედა. დილემ თავისი თავშალი მომახურა და ზურგსუკან დამიდგა. დედაჩემის ტირილი ისევ ვერ ვნახე, კვლავ ნამტირალევი თვალებით მიყურებდა და დასველებული ხალათის ბოლოს მუჭში წურავდა. წრეზე ჩამწკრივებულ მეზობლებს თვალი მოვავლე და ძლივს ამოვილუღლუღე: «ის კუკლა ვიპოვე...». იმის თქმა კი ვეღარ გავბედე, რომ სარაიის კი არა, დილეს დარაჯად ავანთე იმ ღამეს ცეცხლოვანი გველეშაპი – იქნებ ის მხიარული სტუმრები, განიერი შარვლებითა და მონეტებით შემკული

ფერადი კაბებით აღარასოდეს მობრუნებულიყვნენ დილეს წასაყვანად. სანამ მხრებაჩეჩილი მეზობლები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა წამოვროშე, ძია სეითი ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა, დაიჩოქა, გულში ჩამიკრა და ჩუმად მითხრა: «დაგენაცვლე, მამაშენმა, დიდი ბიჭი ხარო.»

* * *

შაბათს ძია სეითთან მორიგეობაზე აღარ ჩავსულვარ, არც იმას ამოუგდია ჩემ დასაძახებლად ლობიოს მარცვალი. ნაშუადღევს პეტრე-პავლეს ეკლესიაში წასულა და მამაჩემისთვის დიდი სანთელი დაუნთია. იქიდან მობრუნებულს უთქვამს, მე მაინც მგონია, ღმერთი ერთიაო. მერე ლიას მუცელზე მოფერებია – თუ გვისურვა, აბრაამი დავარქვათო.

* * *

კვირას აბანოში ეზოს კაცებთან ერთად წავედი.

4. კრიტიკა

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

ემა ბოვარიდან სევერინ სერიზიმდე (ჟოზეფ კესელის „დღის ლამაზმანი“)

ლუის ბუნუელის ფილმი, «დღის ლამაზმანი», კეტრინ დენევის მონაწილეობით, კარგად არის ცნობილი, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ რომანი, რომელიც საფუძვლად დაედო ეკრანიზაციას, ასევე ახლობელი იყოს ჩვენთვის. იგი მხოლოდ ახლა, 2016 წლის აპრილის თვეში გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ და ამ დღეებში შედგა წიგნის წარდგინება საზოგადოების წინაშე. თარგმანი ეკუთვნის მერაბ ფიფიას, რომლის თარგმანები გამოირჩევა განსაკუთრებული პროფესიონალიზმით, ეს კი ენის ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ავტორის სტილის გადმოტანას თარგმანში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უცხოენოვანი მხატვრული ნაწარმოების აღქმისას. ჟოზეფ კესელის «ქართული ენა» მკითხველში აღძრავს სიმსუბუქის, უპრეტენზიობის განცდას, რაც ერთგვარად ანეიტრალებს იმ ატმოსფეროს, სადაც გვიხდება «ცხოვრება» ტექსტის კითხვისას. რომ არა ენის ამგვარი ქსოვილი, კიდევ უფრო მეტად დაითრგუნებოდა მკითხველი, რომელსაც მთელი რომანის მანძილზე უწევს ისეთი ამბის მოსმენა, რომელიც უამრავ კითხვას და ბუნებრივ პროტესტს აჩენს მასში. არ ვიცით, რამდენად აქცევდა მწერალი საკუთარ სტილს ყურადღებას, ანუ საგანგებოდ მუშაობდა თუ არა მასზე, მაგრამ, შესაძლოა, ამ ენის შექმნაზე გავლენა მოახდინა მწერლის პროფესიამ – იგი ჟურნალისტი იყო და სერიოზულად მოღვაწეობდა ამ სფეროში.

აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ბუნუელის ფილმის სცენარი თითქმის მთლიანად არის აცდენილი მწერლის ჩანაფიქრს

და კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს, რაკი არავითარ ახსნას არ სთავაზობს მაყურებელს. ამიტომ, რომანის კითხვისას შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ფილმის სცენარს კი არ ეცნობით, არამედ ნაწარმოებს, რომლის მოტივებზე შეიქმნა ფილმი.

ლიტერატურამ და ხელოვნებამ იცის ე.წ. მემკვიდრეობები, ლიტერატურული პერსონაჟის «გაგრძელებები» და ხშირად ამგვარი გადაძახილით ძალზე საინტერესო და საყურადღებო სივრცე იქმნება – ეს სივრცე მკითხველს მოუწოდებს იაზროვნოს, იფიქროს, ჩაუღრმავდეს არა მხოლოდ ახალ პერსონაჟს, არამედ ძველიც ხელახლა გადაიაზროს, უკვე კარგა ხნის ლიტერატურულ გმირს ახალი სიცოცხლე შესძინოს.

როგორც წესი, ამ მემკვიდრეობას არ სჭირდება რომელიმე ერთი ენის შიგნით ჩაკეტვა, უამრავი პერსონაჟი გადასულა ერთი ენიდან ანდა ერთი კულტურიდან – მეორეში და იქ უპოვია ახალი სიცოცხლე, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრანგული ლიტერატურის შიგნით გვიწევს მოგზაურობა.

ფლობერმა «მადამ ბოვარი» 1856 წელს გამოსცა და, შეიძლება ითქვას, ამ რომანს თავის გმირზე არანაკლებ რთული ცხოვრება ჰქონდა. ემა ბოვარის თავისუფალმა და ვნებიანმა ისტორიამ ისე აღაშფოთა ფრანგული საზოგადოება, რომ ფლობერის და ჟურნალ «რევუ დე

პარის» რედაქტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი აღიძრა საზოგადოებრივი მორალის შეურაცხყოფისათვის. არც იყო გასაკვირი, ფლობერის პერსონაჟი იმდენად სკანდალური და თამამი იყო იმ ეპოქისთვის, რომ სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელიც იყო – ახალგაზრდა ქალმა უფლება მისცა საკუთარ ვნებებს, თავის ჭკუაზე ეტარებინათ იგი და ამით საფრთხე შეექმნა ყველაზე წმინდა ურთიერთობისთვის – ოჯახისთვის. რამდენადაც ინდიფერენტულია დღევანდელი ადამიანი ამ თემებისადმი, იმდენად მგრძნობიარე იყო იგი ფლობერისდროინდელ საფრანგეთში.

რამ გამოიწვია «მადამ ბოვარის» დაწერა, რატომ იქმნება დასავლურ და, ძირითადად მაინც, ფრანგულ ლიტერატურაში ასეთი ტიპის ქალთა სახეები, ამას თავისი სოციო-კულტურული საფუძველი აქვს. ერთი მხრივ, ისეთი მოძრაობების გააქტიურება, ქალთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ლოზუნგებით რომ გამოდიოდნენ – იქნებოდა ეს შარლ ფურიეს უტოპია, რომელიც მორალურ შეუზღუდველობას ქადაგებდა, მარქსის სოციალისტური თეორიები, თუ ცოტა მოგვიანებით, უკვე უშუალოდ, ფემინისტურ მოძრაობებად სახელდებული აქტივობები. ემა ბოვარის დრამატული ისტორიის ქვეტექსტები სწორედ რომანტიკული ქალის კარჩაკეტილი ცხოვრებით გამოწვეულ ძლიერ ვნებებზე მოგვითხრობს. რომ არა მისი შინაგანი მისწრაფებები და ის გარემო, რაც მას «გარეთ» ხვდება – მამაკაცთა მხრიდან ქალის გრძნობების არად ჩაგდება, ახლადგამოჩეკილი წვრილი ბურჟუების მიერ ცხოვრებაში გაუთვითცნობიერებელი ქალის მიმნდობი ხასიათის ბოროტად გამოყენება, ემა ბოვარი ასეთი უმწეო და დრამატული ვერ იქნებოდა. მთელი ის მასკულინური გარემო, გარდა მისი მამისა და ქმრისა, მტრულად არის

განწყობილი ახალგაზრდა, ლამაზი, მგრძნობიარე ქალის მიმართ. თითქოს ყველაფერი იქითკენ არის მომართული, რომ მისი გულუბრყვილო და მიმნდობი ხასიათით ისარგებლოს – იქნება ეს სატრფო თუ მევახშე. რამდენადაც უშურველია ქალი, იმდენად ძუნწები და არაფრისგამღებები არიან კაცები, რომელთაც ემა თავის ვნებიან სიყვარულს სთავაზობს. ამ ფონზე კიდევ უფრო ადვილად იკითხება ფლობერის დამოკიდებულება ტრადიციული ოჯახისადმი, როგორც ერთადერთი სანდო დასაყრდენისადმი, რადგან, ფაქტობრივად, შარლ ბოვარის სახით ფლობერმა იდეალურად კეთილშობილი მამაკაცის სახე დახატა.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამავე პერიოდში იქმნება მთელი წყება ისეთი ლიტერატურული პერსონაჟებისა, როგორებიცაა ემილ ზოლას «ნანა» (1868-1880), უმცროსი დიუმას «მარგარიტა გოტიე» (1848 წ.), რუსულ ლიტერატურაში კი «ანა კარენინა» (1877 წ.), რამდენადმე მსგავსი ემა ბოვარისა, თუმცა, განსხვავებული სოციალური ატმოსფეროთი და, ასევე, განსხვავებული სასიყვარულო ისტორიით. აქ საყვარელი კაცი ანას ერთგულია და საზოგადოებასაც უწევს წინააღმდეგობას დამკვიდრებული ნორმების მსხვრევით.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი ნამდვილად გამოირჩეოდა თავისი სერიოზული მგრძნობელობით ქალის უფლებების, მისდამი პატივისცემის, მსხვერპლის როლიდან გამოყვანის მისწრაფებებით. ფეოდალიზმიდან შემორჩენილი «ბატონობა» და ქალის მფლობელობა, ბუნებრივია, აჩენდა პროტესტს ჰუმანისტებში და ამიტომ წამოვიდა ასეთი ძლიერი ფემინისტური ნაკადი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად კესელის გმირის ერთგვარი ნათესაობისა ემა ბოვარისადმი და თავად რომანის

სიუჟეტში ჩადებული ერთგვარი მსგავსებისა, «დღის ლამაზმანი» მაინც სხვა პრობლემების რომანია.

ერთიც უნდა აღინიშნოს, «დღის ლამაზმანი» ფლობერის რომანს იმ მხრივაც გვაგონებს, რომ აქაც ქმრის როლში ექიმი და ერთგვარად პასიური გმირია დახატული, მიმნდობი და სრულიად უდანაშაულო. შესაძლოა, კესელმა ამ შტრიხითაც ერთგვარი მინიშნება მოგვცა შარლ ბოვარისა და პიერ სერიზის მსგავსებაზე – როგორ ხდებიან მსხვერპლნი მოსიყვარულე და სრულიად უდანაშაულო ქმრები.

თუმცა, ბუნებრივია, ახალი მხატვრული ნაწარმოები, რაც უნდა ახლო ნათესაობას ამჟღავნებდეს რომელიმე წინამორბედისადმი, თავისი ახალი სათქმელით მოდის. კესელის რომანი 1928 წელს არის დაწერილი, ანუ იმ დროს, როდესაც ფსიქოანალიზის თეორიას საკმაოდ ფართო «მუშაობა» აქვს გაჩაღებული და თავის შედეგებს იმკის. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი მენტალური რევოლუციის გამო მთელი დასავლური ხელოვნება ფართო პლანით აშუქებს ადამიანის ფსიქიკას, მის უცნაურ და თითქმის ამოუხსნელ საიდუმლოებებს. კესელმა რომანის ერთგვერდიან პროლოგშივე მისცა გასაღები მკითხველს – 8 წლის პატარა გოგონა სევერინი სრულიად მოულოდნელად იღებს ისეთ ძლიერ დარტყმას და იძენს ისეთ მძაფრ ემოციურ გამოცდილებას, რომელიც, როგორც წესი, უკვალოდ არ ქრება ადამიანის ცნობიერებიდან. რომ არა პროლოგი, სავარაუდოდ, ურთულესი ასახსნელი იქნებოდა ახალგაზრდა, საყვარელ ადამიანზე გათხოვილი, იდეალური ოჯახის მქონე ქალის მხრიდან იმ ნაბიჯების გადადგმა, რასაც, ერთი შეხედვით, არავითარი რეალური მიზეზი არ გააჩნია. თავისთავად ცხადია, მხოლოდ ვიღაცის მხრიდან ნახსენები ე.წ. «შეხვედრების სახლი» ვერ

უბიძგებს თავის ქმარზე შეყვარებულ, მასთან ჰარმონიაში მცხოვრებ ქალს, ასეთ საეჭვო დაწესებულებას მიმართოს და გაიზიაროს ბედი ქალებისა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო აკითხავს ასეთ სახლებს. შეძლებული ოჯახის ქალისთვის იქ მოხვედრა შეიძლებოდა უფრო სერიოზულ მიზეზებს ებიძგებინა, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, ნახევრად უცნობი კაცისა და მეგობარი ქალის მხრიდან ამ დაწესებულების ხსენებას. სევერინის დაინტერესება ბორდელით და შემდეგ თავისი გაორებული ცხოვრების წარმართვა ნამდვილად დიდი გამოცანა იქნებოდა, რომ არაფერი გვცოდნოდა ადამიანის ქვეცნობიერის, მისი ფარული სექსუალური ლტოლვების და ე.წ. ლიბიდოს შესახებ. გარედან თითქოს ყველაფერი მოწესრიგებულია, ქალი იდეალურ ოჯახში ცხოვრობს, არ აკლია სითბო, სიყვარული, მატერიალური კეთილდღეობა, მეგობართა წრე და, უცებ, ასეთი ალოგიკური ნაბიჯი – საკუთარი სხეულით ვაჭრობა, რათა ახალ-ახალი ვნებები განიცადოს, ხოლო ცოლ-ქმრულ სარეცელზე უარი თქვას.

და მაინც, რა მოხდა ამ ქალის ბავშვობაში ისეთი, რომ ზრდასრულ ასაკში ასეთ ოდიოზურ ქცევაში გადაიზარდა?

რომანის ერთგვერდიან პროლოგში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გახდა 8 წლის სევერინი მათ სახლში მოსული სანტექნიკოსის წუთიერი შეხების მსხვერპლი. დედის ოთახისკენ მიმავალ გოგონას გრძელი დერეფანი უნდა გაევლო, სწორედ ამ დროს გადაეყარა ამ უხეშ, პედოფილ კაცს, რომლის უხეშ შეხებას გოგონას გაოგნება და კომაში ჩავარდნა მოჰყვა. ამ ფაქტის შესახებ არსად არაფერს ლაპარაკობს მწერალი, არც სევერინს ახსენდება ეს განცდები, რომანი იწყება ახალგაზრდა გათხოვილი ქალის ცხოვრებით თითქმის იდეალურ ატმოსფეროში.

მკითხველი ზერელე დაკვირვებითაც მიხვდება მწერლის სათქმელს – ის, რომ ადამიანის ქვეცნობიერკის ბნელ ხვეულებში ზოგჯერ ისეთი საშიშროებები ბუდობენ, რომეში დალექილი მეხსიერება ხშირად უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე, ვიდრე რეალური და ნათელი სინამდვილე, რომ მისი ფსიქილთაც ვერაფრით ახსნი და ვერ შეებრძოლები.

კესელი არაფერს ლაპარაკობს პერსონაჟის რეფლექსიებზე, მის თვითჩაღრმავებაზე, არამედ მხოლოდ მოცემულობას გვიხატავს და გვაცნობს ამ ქალის უცნაური ქცევის გასაღებს – მას ენატრება არა ნაზი, რბილი, ფაქიზი ურთიერთობა საყვარელ მამაკაცთან, არამედ, ქალიშვილობის დადგომამდე, საკუთარი სახლის დერეფანში შემთხვევით გადაყრილი მამაკაცის იმ სიუხეშის განცდა, რამაც სამარადისო ნაჭდევი დაუტოვა სულზე. მთელი მისი მოძრაობა ამ აკრძალულ, ბნელით მოცულ ვიწრო ბილიკებზე, სწორედ იმ წამიერი, დაუსრულებელი და, ამავე დროს, თავზარდამცემი შოკის შედეგია.

მკითხველს მოეხსენება, სანამ ექიმი-ფსიქიატრი ზიგმუნდ ფროიდი ფსიქოანალიტიკოსი გახდებოდა, მის პრაქტიკაში დაგროვდა უდიდესი გამოცდილება პაციენტების ცხოვრების შესახებ, იმ პაციენტებისა, რომელთაც ფსიქიკური პრობლემები აწუხებდათ და პრაქტიკოსმა ექიმმა მიაგნო ავადმყოფობის მიზეზებს – მათი უმეტესობა ადრეულ ასაკში მომხდარ დიდ სულიერ ტრავმებთან იყო დაკავშირებული, ანდა ადამიანის მიერ საკუთარ პიროვნებაში მიმდინარე ისეთ პროცესებთან, რომელთა

ახსნა მას არ შეეძლო. ფსიქოანალიზის უდიდესი რევოლუციური აღმოჩენა სწორედ იმ უცნაური «არსების» – ქვეცნობიერის მიგნება იყო და იმ დღიდან ადამიანმა იწამა, რომ მისი რაციონალური მე აბსოლუტურად უუნარო და უძლურია იმ ბნელი და იდუმალებით მოცული არსების წინაშე, რომელსაც ადამიანის ფსიქიკა მალავს საკუთარ წიაღში. ქვეცნობიერის აღმოჩენა, შესაძლოა, თავისი მასშტაბებით ახალი კონტინენტის აღმოჩენას უტოლდებოდეს, რადგან ადამიანის ტვინი არანაკლები მნიშვნელობის ორგანოა, ვიდრე, თუნდაც, კონტინენტები დედამიწაზე.

ჟოზეფ კესელი ახალგაზრდა ქალის ისეთ უცნაურსა და ამაზრზენ ისტორიაზე მოგვითხრობს, რომლის თანაგრძნობა მკითხველს, ალბათ, არც მოეთხოვება, თუმცა, მისი წაკითხვა უთუოდ დააფიქრებს, ვინძლო საკუთარ სულში მიმდინარე უცნაურობებზე პასუხის მოძებნაში დაეხმაროს.

5. ახალი თარგმანი

ნიკოლო ამანიტი



ნიკოლო ამანიტი დაიბადა ქალაქ რომში, 1966 წლის 25 სექტემბერს. 1994 წლიდან სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რომანით «ლაყუჩები», რითაც ადგილი მოიპოვა ე.წ. «კანიბალებში» – გროტესკისადმი მიდრეკილ ახალგაზრდა იტალიელ მწერალთა გაერთიანებაში. 1995 წელს, მამასთან ერთად, რომელიც იყო ცნობილი ფსიქოანალიტიკოსი, დაწერა ესე – «შვილის სახელით». მასში მამა და შვილი გარდატეხის პერიოდზე საუბრობენ. 1999 წელს ნიკოლო ამანიტი კიდევ უფრო იხვეჭს სახელს რომანით «მოვალ და წაგიყვან», რომელიც სხვადასხვა ჟანრს მოიცავს. 2001 წელს გამოსცემს თრილერის ჟანრის რომანს – «მე არ მეშინია». 2006 წელს კი რომანს, «როგორც ღმერთი ბრძანებს». ამ ბოლო ორი ნაწარმოების მიხედვით რეჟისორმა გაბრიელე სალვატორესმა მხატვრული ფილმები გადაიღო. შემდეგ გამოიცა «ზეიმი დაიწყოს» (2009) და მოთხრობათა კრებული «მომენტი დელიკატურია»

(2012). რომანში «მე და შენ» (2010) ისევ შეეხო გარდატეხის პერიოდს. მასზე დაყრდნობით ბერნანდო ბერტოლუჩიმ ფილმი გადაიღო. ნიკოლო ამანიტის არაერთი ნაწარმოები დაჯილდოებულია პრემიით.

მტერთან საწოლში

(იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ)

იაკოპ პასტორე რომ ყოფილიყო, მთელ ღამეს მეცადინეობაში გაატარებდა და არა გოგოსთან, მაგრამ ის ხომ ჯოვანი მინუტოლო იყო, რომელიც ახლა შხაპის ქვეშ დონატელა რეტორეს სიმღერას თავისებური ვერსიით ღიღინებდა, – კობრა გველი არაა, ქვეწარმავალია, გარემოს რომ წამლავს... სამყარო ლამაზია, პასტორესავით ადამიანები რომ არსებობენ.

პირველი სექსი იყო ჯოვანისთვის ამ საღამოს. ზაფხულზე კი ჰქონდა ერთი შემთხვევა, მაგრამ... ფრანგი გოგო გაიცნო, სახელად ფლორენსი. ღამე პლაჟზე, საძილე ტომარაში გაატარეს. გოგო ბევრს აკოცნინებდა, მაგრამ როგორც კი შეეხებოდა მკერდზე, მაშინვე საყვედურებს იწყებდა ნერვებაშლილი, – თქვენ, იტალიელები, ყველანი ერთნაირები ხართ!..

ეს იყო სულ! ასე ჯოჯოხეთურად გავიდა მთელი ღამე, თანაც კოღოების და ფრანგი სერჟანტის წინააღმდეგ მოუხდა გამკლავება.

მოკლედ, დიდი იმედგაცრუება შეხვდა!

მაგრამ ახლა სულ სხვა იყო. ჯულია ტყუილად მოლაპარაკე არ ჩანდა, როგორც ის ფრანგი.

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა! პასტორესთან ერთად იყო მისული იმ ნაგავ დღესასწაულზე. რამდენიმე ბოთლი ცხელი ლუდი დალია და სახლში წასვლა რომ გადაწყვიტა იტალიურის სამეცადინოდ, გამოეცხადა ეს გოგოც. თითქოს

გულუხვ ღმერთს გამოეგზავნა მისთვის ზემოდან, რომ ბოლოს და ბოლოს, უმანკოებაზე დაესვა წერტილი.

ყველაფერი ისე კარგად მიდიოდა, უკეთესს ვერც იოცნებებდა კაცი!

ორივე კარგად გაერთო. ისულელეს, იგიჟეს, იცინეს და ბოლოს, ჯოვანიმ თქვა, – წავიდეთ?

– კი.

– სად?

– ჩემთან, სახლში.

– ძალიან კარგი.

თითქოს ყველაფერი ფილმში ხდებოდა. გარეთ რომ გამოდიოდნენ, პასტორე მიუახლოვდა, – ბიჭო, შენ სამეცადინო არ გაქვს?

– მეცადინეობა კი არა, მინიტი მასწავლებელს უთხარი, ჯოვანი მინუტოლომ უნდა იჟიმაოს-თქო.

წავიდნენ ჯულიას სახლში.

ვაჰ, წინასწარ გათვლილივით ჩანდა – მშობლები არ იყვნენ!

თხუთმეტი წუთით «სიბნელის არმიას» უყურეს და მერე წავიდა ხვევნა-კოცნა... ერთმანეთს მავთულებიანი მარიონეტებივით ჩაეხლართნენ. ენების გადაკვანძვა... ლიფი ძლივს გაიხსნა... ძუძუების სრესა... ძუძუსთავები... სახიფათო ხვევნა... ქშენა... კვნესა... ტყლაშუნი...

და ბოლოს და ბოლოს, როცა შარვლამდე მივიდა ჯერი, ჯულიამ ყურში ჩასჩურჩულა, – დასაბანად ხომ არ წახვიდოდი?

ოჰ, არა�ა... ოფლის სუნი... – შერცხვა ჯოვანის.

რამდენი ხანია, არ უბანავია? არა, არც ისე დიდი ხანი. წინა დღეს გადაივლო წყალი უცებ, მაგრამ რას იფიქრებდა, თუ იმ საღამოს ასე დაბრკოლდებოდა!

ნაწლავები გადაეხლართა უსიამოვნებისგან და ისე ჩაიწკმუტუნა, როგორც კოკერს შეასწრებენ ხოლმე მოსაქმების დროს სასტუმრო ოთახში. – ვყარვარ, ჰო?

პასუხსაც არ დალოდებია, ისე შევარდა აბანოში.

აი, ამიტომაც იმყოფებოდა ჯოვანი შხაპის ქვეშ და თან ღიღინებდა, – კობრა გველი არაა... ერთი პატარა უცოდინარია, რომელსაც უსიამოვნება მოაქვს ხალხისთვის...

ჯოვანიმ იქ დადებულ შამპუნებს გადახედა, წარწერები გადაიკითხა. – გადავამეტებ და თმასაც დავიბან.

ჯულიას ოჯახი მანიაკალურად სუფთა იყო. აბანოში ყველანაირი შამპუნი იდო: ქერტლის საწინააღმდეგო, ცხიმიანი თმისთვის, ირლანდიური შროშანი... ჯოვანიმ შვედეთის წყალმცენარეების შამპუნი აარჩია და თვალდახუჭულმა დაიწყო თავის მასაჟი. უცებ, მუსიკა გაისმა. მისი საყვარელი ჯგუფი «პეარლ იამი» მღეროდა.

– მაგარია! ჯულია ჩართავდა სტერეოს.

გაახილა თვალები და მის წინ შიშველი გოგო დაინახა. – შეიძლება, შენთან ერთად დავიბანო?

ჯოვანიმ აღელვებისგან რაღაც ჩაილუღლუღა... ინგლისურს უფრო ჩამოჰგავდა.

ჯულია ულამაზესი იყო. ისეთი ძუძუები ჰქონდა, რას არ გადაიხდიდა იტალიელი ქალების ოთხმოცდაცხრამეტი

პროცენტი, ასეთი მკერდი რომ ჰქონოდა! სრიალა კანი... ფეხები... მოკლედ, ძალიან ლამაზი იყო.

ჯოვანიმ იგრძნო, რომ მის დანახვაზე რაღაცამ რეაგირება მოახდინა, შეენძრა. დაიხედა ქვევით და უხერხულად ჩაილუღლუღა, – ოჰ, იშვიათი მოვლენა!..

ჯულიას გაეღიმა. შხაპში შევიდა და კოცნა და ხელების ფათური დაუწყო.

– როგორი ლამაზია ცხოვრება! – ფიქრობდა თან ჯოვანი, – ცოტაც საკმარისია, რომ

სამყაროს დიდებულება შეიგრძნო. შხაპი, ქალი... და გიხარია, როგორც აღდგომის დღესასწაული!

წყლის შხეფები, კოცნა, წყალმცენარეების სურნელი და მუსიკა თავბრუს ხვევდა მას და ყველაფერი უფრო ლამაზი ეჩვენებოდა.

– გავიდეთ იქით? – დაიკვნესა ჯულიამ.

– კარგი.

– პირსახოცი მომაწოდე.

ჯოვანი მივიდა, სადაც პირსახოცები ეკიდა. – რომელი გინდა?

– ის, ვარდისფერი, ამოქარგული რომ აქვს «ბ. მ.»

– ბევრი მაკოცე?

– არა, ბეატრიჩე მინიტი – დედაჩემი.

პირველი, რაც მოხდა, ის იყო, რომ ჯოვანის ასე გააქტიურებული პენისი გახეული რეზინის ბუშტივით ჩამოეფლაშა; მეორე კი, რაც ჭამა და სვა იმ დღესასწაულზე

– ლუდი, ჩიპსები და სალათა, ყელში ამოაწვა და კინაღამ ამოაღებინა.

– ბეატრიჩე მინიტი? – ჩაილაპარაკა გაკვირვებულმა.

– ჰო, მაგრამ რა გემართება? ცუდად ხარ?

– ბეატრიჩე მინიტი, იტალიურის მასწავლებელი?

– ჰო, ის.

ამ დროს გაისმა ხმაური. სახლის კარი გაიღო და ვიღაცები შემოვიდნენ, – ჯულია, ჩვენ დავბრუნდით!

– რა საზიზღრობაა ეს ცხოვრება! რა საძაგლობაა ეს სამყარო! – გაიფიქრა ჯოვანიმ, -

ცოტაც საკმარისია ამის სათქმელად. მასწავლებლის შვილთან შხაპი, თავად მინიტი რომ შემოდის სახლში და ყელამდე რომ ხარ ამოსვრილი ნაგავში.

– ჯულია, სად ხარ? – გაისმა ხმა.

გოგონამ თმაში იტაცა ხელი, – ოჰ, ღმერთო, ჩემები!.. ხვალ დილისთვის უნდა ჩამოსულიყვნენ!

როგორც მოკრივე მოწინააღმდეგესთან, ისე დაიწყო აბანოში ხტუნვა. მერე ჯოვანისკენ გაიხედა. ის კი უნიტაზზე ასულიყო, თავი და ცალი მკლავი სარკმელში გაეყო. – ძალიან პატარაა ფანჯარა. რა მეშველება! გავები! – იძახდა დაბალ ხმაზე.

– ჯულია, სად ხარ? – ისმოდა სასტუმრო ოთახიდან.

– აბანოში ვარ, დედა! მოვდივარ! – თან ჩუმად ჯოვანის ეუბნებოდა, – რას აკეთებ,

ჩამოდი ახლავე! გაგიჟდი?

– არ შემიძლია, გაჭედილი ვარ! მიშველე!

მესამე სართულზე იყვნენ. ჯულიამ, როგორც იქნა, ჯოვანი თვითმკველობას გადაარჩინა. ბიჭს ცივი ოფლი ასხამდა და თვალები დასიებოდა. აღელვებულმა მხრებზე წაატანა ხელები, – შენ არ გესმის? დედაშენი ჩემი მასწავლებელია! უნდა დავანებო სკოლას თავი, თორემ ვიცი, გამანადგურებს. სხვა გზა არ მექნება, მცირეწლოვნების სამუშაო უნდა მოვძებნო!

ამ დროს სამზარეულოდან ისევ გაისმა, – კაჩოტა გიყიდეთ, შენ რომ გიყვარს! მოდი!

– კაჩოტა გიყიდეს, შენ რომ გიყვარს. კაჩოტა გიყიდეს, შენ რომ გიყვარს. –

იმეორებდა ჯოვანი და თან თავს კედელს ურტყამდა.

– შეწყვიტე ახლავე! – სტაცა ხელი ტანსაცმელს ჯულიამ და მიაჩეჩა. მერე,

ცოტაზე გამოაღო კარი და გაიხედა. – მისმინე, წადი სამეცადინო ოთახში, ჩაიცვი და მე მათ სამზარეულოში შევაჩერებ. შენ კი უხმაუროდ გაიპარე. გააკეთებ ასე?

– ვეცდები.

– კარგი.

ჯულიამ აკოცა ტუჩებში და ხელი ჰკრა კარისკენ.

რა თქმა უნდა, პასტორე ასეთ სიტუაციაში არასდროს ჩავარდებოდა, მაგრამ ჯოვანი მინუტოლო რომ იყო, ამიტომ დაემართა ასე; და ახლა, როგორც მუმია სარკოფაგში, ისე იწვა მასწავლებლის ლოგინის ქვეშ.

ჯულიამ დანაპირები ვერ შეასრულა. ჯოვანი კი შევიდა სამეცადინო ოთახში ჩასაცმელად, მაგრამ ამ დროს

ვიღაცამ შუქი აანთო. ის მეკარესავით გადახტა და დივანის უკან დაიმალა. რაღაც სასწაულით ვერ შეამჩნიეს. იატაკზე ხოხვით შევიდა მეორე ოთახში და შეძვრა ლოგინის ქვეშ. თურმე ის ოთახი ჯულიას მშობლების ყოფილა. იქაც აინთო შუქი. მასწავლებლის ქმარი შევიდა და პიჟამა ჩაიცვა. ის საზიზღარი კბილების გამოსახეხადაც არ წასულა, ისე წამოწვა ლოგინზე! ცოტა ხანში, ცოლიც შევიდა და გვერდით მიუწვა.

ახლა კი მართლა იყო ჯოვანი გათავებული!.. იწვა გაუნძრევლად ქვეშ. ცხვირით ზამბარებს ედებოდა და გულში იგინებოდა.

რასაც ლაპარაკობდა ცოლ-ქმარი, ყველაფერი ესმოდა. მეორე დღის გეგმებს აწყობდნენ.

ქმარი ამბობდა, – ხვალ ჯოჯოხეთური დღე მექნება. ადრე უნდა წავიდე და გვიან დავბრუნდები.

ცოლი, – ეჰ, ვის ეუბნები! ხვალ მე ბოლო გამოკითხვა უნდა ჩავატარო. ზოგი მოსწავლე ისეთი თხაა, რომ ჭკუიდან გადაგიყვანს. თუ არ გამოცხადდებიან და გადამადებინეს, ღმერთს გეფიცები, ყველას ჩავჭრი და ჩავტოვებ იმავე კლასში!

ჯოვანის კინაღამ ტირილი წასკდა. რატომ ხდებოდა ყველაფერი ეს მის თავს?! და აი, კულმინაციის წერტილიც – ზამბარებმა ჭრიალი დაიწყო, ლოგინმა – რწევა, ქმარმა – ხვნეშა და ქალმა – კვნესა.

ჯოვანიმ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და კამბალასავით გაბრტყელდა, რომ არ გაჭყლეტილიყო. – წარმოუდგენელია, პირდაპირ ვისმენ ჩემი მასწავლებლის ჟიმაობას!

საბედნიეროდ, ცოტა ხანს გაგრძელდა, შუქიც ჩააქრეს.

– ღამე ნებისა! – უთხრა ბატონმა მინიტიმ.

– ღამე ნებისა! – უპასუხა ქალბატონმა მინიტიმ.

– ღამე ნებისა, ამ ჩემ ფეხებს! – თქვა გულში ჯოვანიმ.

მეორე დღეს, ლოგინიდან რომ გამოძვრა, ზომბივით იყო. აი, ისეთი, უკვე რომ იხრწნება. თმები ყალყზე დადგომოდა, როგორც «სექს პისტოლსის» მომღერალს ალიენებთან შეხვედრისას. თვალები წითელი ჰქონდა ალბინოსი თაგვივით და უპეები ჩამობერვოდა. მთელი ღამე ვერ მოახერხა დაძინება, ბატონი მინიტი გრიპიანი ძაღლივით ხროტინობდა. ძვლები სულ დამტვრეული ჰქონდა, თითქოს რომი-მილანის მატარებელმა გადაუარაო. მანამდე დაჰყო ლოგინის ქვეშ, სანამ არ დარწმუნდა, რომ მშობლები სახლიდან გასულები იყვნენ. მერე სამზარეულოსკენ წალასლასდა. ძალიან წყუროდა. იქ ჯულია იჯდა და საუზმობდა.

– შენ აქ რა გინდა? – გაუკვირდა გოგოს, – არ უნდა წასულიყავი?

– ჩუმად! ცუდად ვარ. მთელი ღამე შენი მშობლების ლოგინის ქვეშ გავატარე. ეს იყო ყველაზე საშინელი ღამე ჩემს ცხოვრებაში. სიკვდილი მინდა!

მიიდო ბოთლი პირზე და ნახევარი უცებ დაცალა. მერე საათს გახედა და საიქიოდან გამოსული ხმით თქვა, – მე უნდა წავიდე, მაპატიე. ვაგვინებ.

– სად მიდიხარ?

– გამოიცანი! სკოლაში, სად უნდა წავიდე?! დედაშენმა უნდა გამომიძახოს დღეს.

კარგად! – და სიკვდილმისჯილივით გაემართა კარისკენ.

– ერთი სასიამოვნო რამ უნდა გითხრა. – ხელი წაავლო ჯულიამ.

– თქვი, თუმცა მე უკვე აღარ მჯერა კარგი ამბების.

– წუხელ, დედაჩემის ნიშნების ჟურნალში რვა ჩაგიწერე. ესე იგი, შეგიძლია

მშვიდად იყო. ახლა ისაუზმე, მერე გადაიბანე და მერე... მე დღეს სკოლაში არ

მივდივარ...

– ვერ გავიგე, შეგიძლია გაიმეორო? რვა დამიწერე?

– სწორედაც.

– რვა? ის რვა, ორი მრგვალით რომ იწერება ერთმანეთზე?

– რვა.

ჯოვანი მუხლებზე დაეცა ჯულიას, როგორც ღვთისმშობელი მარიამის წინაშე და ხელების კოცნა დაუწყო – მე შენ გაფასებ, უფრო სწორად, გაღმერთებ. შენ ხარ ყველაზე მაგარი ქალი მთელ მსოფლიოში. სანტა მარია გორეტი შენთან შედარებით არავინ იყო. ასეთი ნიშანი იმ გამოქლიავებულ პასტორესაც არ ექნება აღებული დედაშენთან. მე შენ მიყვარხარ! მე მინდა ცოლად გამომყვე! მე შენ ახლავე ლას-ვეგასში წაგიყვან!

ჯულიამ ბიჭი წამოაყენა, – რატომ არ გაჩუმდები ცოტას?

– იმიტომ რომ არ შემიძლია!

მაგრამ შეძლო... გოგომ ენა პირში შეუცურა...

ორი სააათის შემდეგ, ჯულიას ლოგინში იწვა და თავი მის ძუძუებზე ედო. საუკეთესო ბალიში მსოფლიოში!

ფილმს ბოლომდე უყურეს. ახლა კი გრძნობდა თავს კარგად. თანდათან ტკბილი ძილი ერეოდა. თვალებს ნელა-ნელა ხუჭავდა, მაგრამ სანამ ჩაიძინებდა, ერთმა კითხვამ შეაწუხა, რომელიც სისხლმოწყურებული კოღოსავით უწიოდა ყურებში.

– მისმინე, ერთი რაღაც უნდა გკითხო... ჩემზე იფიქრებ, ეს საცოდავიო, მაგრამ...

– თქვი! რა?

– ჯერ დაიფიცე, რომ ასე არ იფიქრებ, თუ არა, არ გკითხავ.

– კარგი, ვფიცავ.

– ყელში ბურთი მეჩხირება... როგორი იყო? აი, გითხარი, ოღონდ სიმართლე უნდა მითხრა. ცუდად გამომივიდა?

ჯულიას გაეღიმა. მერე, გაიკეთა სათვალეები და მასწავლებლის ხმით უპასუხა, – მე თქვენ დაგიწერდით ერთ... ერთ კარგ რვიანს, ბატონო ჯოვანი ლოიაკონო! ერთ კარგ რვიანს!

ჯოვანი წამოიწია. – ლოიაკონო რა შუაშია?! მე გვარად მინუტოლო ვარ!

– მოიცა, ჯოვანი ლოიაკონო არ ხარ შენ?

– რა, არ ვიცი, მე რა მქვია? ჯოვანი ლოიაკონო ჩემი თანაკლ... არაა!.. – თავში შემოირტყა ბიჭმა ხელები. მუცელშიც საშინელი ტკივილი იგრძნო. უცებ ყველაფერს მიხვდა. – არ მითხრა, გთხოვ! არ მითხრა, რომ რვა იმ გამოქლიავებულ ლოიაკონოს დაუწერე!

ჯულიამ სახე ხელებში ჩარგო, მას კი ნერვიულობისგან სიცილი აუვარდა, – უხ, ჩემი! დამერხა! სკოლაში უნდა გავიქცე. შეიძლება კიდეც მოვასწრო!

წამოვარდა ლოგინიდან და გამწარებულმა ჩაცმა დაიწყო. – ქალო, შენ მანდ იყავი, არ გაინძრე. წავალ, სასწავლო კარიერას შევინარჩუნებ და დავბრუნდები! – უთხრა ჯულიას და სახლიდან გავარდა.

1999

6. არტი

დავით ანდრიაძე

გამოუცხადებელი ღამე , ანუ ფერწერა, როგორც დაუსრულებელი პროექტი

მგონი, ყველას გვახსოვს «Грачи прилетели» — ალექსეი სავრასოვის პერედვიჟნიკული კიჩი...

კიჩი ვეძახოთ და, ამ ქრესტომათიულ პეიზაჟშიცაა აკუმულირებული რუსული ხელოვნების კონცეპტუალური განწყობების მთელი სპექტრი — სათაური უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სურათის ფერწერული ხარისხი.

ჯემალ კუხალაშვილსაც აქვს ერთი სურათი, სათაურით – «ყვავებმა გადაიფრინეს».

აქ სათაურს — ფერწერა ჯობნის...

ავანტიურა — ფერწერაშია!

და საერთოდ, კუხალას მხატვრობა — ერთი გაბმული ავანტიურაა...

თავის «მეთოდოლოგიურ უპრინციპობას» რახანია რისკიანად დებს წარმატების სასწორზე და ავანტაჟური ჟესტებით თამაშობს როგორც პროფესიონალი, ისე უბირი მაყურებლის ემოციებზე.

მისი არტისტული მაშინერია მართლაც გამომწვევი ეფექტურობით მუშაობს; მხატვრის მიერ შემოთავაზებული «იმიჯები» თვალსა და ხელს შუა გვისხლტება... თითქოსდა, ტექნიკური მართვის სისტემიდანაც კი გამოდის და იწვევს

გაუთვალისწინებელ «ავარიებს»; თუმცა, გამოცდილ ოსტატს მუდამ ეგულება ავტობლოკირების მექანიზმები — ბერკეტები, რომლების მის «ექშენს» წამსვე აბრუნებს ჩვეულ მდგომარეობაში; და როცა გგონია, რომ ყველაფერი დამთავრდა და «კატასტროფაც» გარდაუვალია, სინამდვილეში, მაშინ იწყებს ხელახალ თავგადასავალს...

მან თავად შეთხზა საკუთარი არტისტული მითი და როგორც ავტოდიდაქტი, ისე დაეუფლა ექსტატიკური ფერწერის ენას.

მისი ოპუსების შემხედვარე, იჯერებ, რომ ხელოვნების აუთენტური ნაწარმოები რადიკალურადაა «შეპყრობილი» თავისი წარმოშობის მყისიერებით — მთლიანადაა დახარჯული თავის აქტუალობაში და მხატვარსაც ამდენადვე ძალუძს ტრივიალობათა, როგორც გოეთესეულ «მშვენიერ წამთა» შეჩერება; «ნორმალურობის», რუტინის გარღვევა და უცაბედად ჩამოქროლილ ფანტაზმათა მოხელთება.

ასეთი ტემპორალობა ვალტერ ბენიამინმა თეორიულად შეამკვრივა ცნებით — «დიალექტიკური ხატი».

მგონი, ჩვენი მხატვარიც ასეთ «ხატებს» მიელტვის; იმაგოებს — ხელშესახებისა და ეფემერულის ზღვარზე რომ სულდგმულობენ...

მერე და მერე, აბეზარ ანტიავტორში «უსაქმური» მჭვრეტელის ოპტიკა იღვიძებს, თუნდაც, ოპტიკა ბავშვისა, გარეგანი გამღიზიანებლებისაგან თავი რომ ვერ დაუცავს და ავტომატური აღქმის ამარა დარჩენილი იგერიებს ყოველდღიურობის «უდღეურ» შემოტევებს.

ამასობაში, ამ ინფანტილურ სუბიექტში დენდი იღვიძებს; დენდი,

«უქნარობას» — «ღლაბუცთან» რომ აწყვილებს და ასე ცდილობს, გაგვაკვირვოს, გაგვაოცოს... თუმცა, თავად უკვე აღარაფერი აკვირვებს.

ასე შემოგვეძ[ა]ლება მხატვარი, როგორც გაელვებული წამიერების და ამ წამიერებით ტკბობის ექსპერტი; ისტორიულში — პოეტურის, მყისიერებაში — მარადიულის ექსპერტი.

ის მარადიული მგზავრია; მოხეტიალე დასის არტისტივითაა, რომლის ნომადურობაც არც «სტაბილურობით» აღიწერება და არც «არასტაბილურობით»...

ეს — უფრო მეტასტაბილურობაა!

მეტასტაბილური სამყაროს სპონტანური თვითორგანიზაცია პოსტმოდერნულადაც შეიძლება აღიწეროს, როგორც «გენერლის» მეტაფორა;

ესაა სუბიექტი, გამუდმებულად ტრანსდისკურსიულ პოზიციაში რომ იმყოფება; ანუ ავტორი, თავისი პარალაქსური მზერა ლინეარული ხედვის პროცესუალობიდან — აცენტრირებულ სისტემაზე რომ გადააქვს.

ასე ყალიბდება შიზოანალიტიკურ კონტექსტში «ბრძოლის ველზე გასვლა გენერლის გარეშე».

ასე ისმება დელიოზ-გვატარისეული კითხვა: «საჭიროა კი გენერალი, რათა N-ურმა ინდივიდებმა ერთდროულად გაისროლონ?»

კუხალასთან ყველა «ერთდროულად ისვრის!»

მას ხელეწიფება, სამყარო მისი ნებისა და წარმოდგენისამებრ, «შემოგვატყუოს» როგორც

ყოველდღიურად გათამაშებულ მისტერიათა, გნებავთ, «კინოგადაღებათა» ციკლი, და მთელი ეს «ბაკქანალია» მის სურათებში, მოცემულია არა როგორც იზოლირებულ კადრ-ეპიზოდთა თანდათანობით აღქმა და შემდგომ, მათი მონტაჟი, არამედ ერთდროული (სიმულტანური) აღქმის მთლიან აქტში განხორციელებული ხედვა.

ამგვარ ხედვას შეესატყვისება სინოპსისის ცნება, რომლის ფორმულაცაა: «ვუცქიროთ ბევრს და აღვიქვათ ერთი».

სინოპტიკური ხედვა, დიახაც, სურათს მოითხოვს; სურათს, როგორც ნაწარმოებს; სურათს, როგორც საბოლოო ვიზუალურ პროდუქტს.

მხატვრული კრეატიულობის ამგვარი ფინალური პროდუქტისადმი, როგორც «ნაწარმოების» ცნებაში კოდიფიცირებული არტისტული სისტემისადმი რწმენა ჯერაც არ გამქრალა.

მხატვრებს კვლავაც სწადიათ «შექმნან ნაწარმოებები!»

როგორც ჩანს, «არავიზუალურის» ანდა სპეციფიკური ტერმინის — «ნონსპექტაკულარულის» გარშემო ამტყდარი დისკუსიები დიდად არ დაშორებია ხელოვნების კონსერვატორული გაგების ჩარჩოებს.

მეორე მხრივ, თავად შემოქმედების პროცესი — ესაა მთელი იმ დისკურსიული მასივის კონცეპტუალური საფუძველი, მხატვრულ «წარმოებად» რომ იწოდება და ერთ ზოგად პროცესს კი არა, მის ცალკეულ მოდელებს

გულისხმობს, გარკვეული კონსტექსტები, ნარატივები თუ ინდივიდუალური ენები რომ გვთავაზობენ.

ამ ტიპის მხატვრები ერთ პერსონალურ პროექტს ამუშავებენ — ესაა ფერწერა; ფერწერა, რომელიც იურგენ ჰაბერმასის მიერ მოაზრებული მოდერნისა არ იყოს, თავადაა დაუსრულებელი პროექტი.

ამ პროექტის ნარატივი კი, გადაღებაა; არა მაინცდამაინც კინოგადაღება, არამედ გადაღება, როგორც შემოქმედებითი პროცესის მომენტი; მომენტი, თვით თანამედროვე არტდისკურსის ტრენდებისა თუ ვიზუალური კოდების მიღმა რომ ივარაუდება.

რაგინდარა (ავტორის ხმა – «რა გინდა, რა!») გრანდნარატივის მოძიება უკვე იმგვარი ინტრიგა თუ ავანტიურაა, წარმატებული ნაწარმოების კრიტერიუმად რომ გამოდგება.

არის ამაში რაღაც, რეპრეზენტაციული ძალადობის ელემენტი!

მით უფრო, რომ იულია კრისტევას თუ დავუჯერებთ, თვით რეპრეზენტაციაა ძალადობის აქტი.

დავკვირვებულვარ: კუხალა ხშირად მიმართავს გამოთქმას — «ნაწარმოები» (ანდა «ჩემი ნაწარმოები») ანუ თავად წყვეტს საკითხს, რომ «ხელოვნების ნაწარმოებს» ქმნის.

ის თავისი «ნაწარმოებების» შემქმნელიცაა და მაყურებელიც...

რახანია გადაჯიშდა მხატვარი, რომელსაც შეუძლია თავად გააკონტროლოს თავისი არტისტული საქციელი. არტისტული «გენიალობის», როგორც ქვეცნობიერი

საქციელის ფიგურა კატასტროფულად დაშორდა შემოქმედ სუბიექტს და იქცა ავტონომიზირებულ სისტემად, ნიკლას ლუმანისამებრ, «ავტოპოიესისის» რეჟიმში რომ ხორციელდება.

ესაა სისტემა, რომელიც კონკრეტულ ავტორს «გაარარავებით» ემუქრება; და ამ სიტუაციაში, მხატვრისთვის დიდი ვერაფერი ნუგეშია, რომ თავად მხატვრული სისტემა იქცა გენიალურად; რომ მხატვარი კი აღარაა გენიალური, არამედ სისტემა...

ამასობაში, მხატვარი ქვეცნობიერად უბრუნდება კულტურის სინოპტიკურ ხედვას და თავად კულტურა დაჰყავს მის ცოცხალ წარმოდგენამდე.

ამგვარი ხედვის საბოლოო გამომუშავებაში, კუხალასნაირ ფსიქოტიპს დიახაც, მხატვრის ცოცხალი ხელი სწყალობს; ხელი, რომელიც აძლევს უფლებას, მოხერხებულად, იმოძრაოს «მაღალ» და «დაბალ» ჟანრებს შორის და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, შექმნას თავისებური «მაღალი დაბალი ხელოვნება» ანდა პირიქით, «დაბალი მაღალი ხელოვნება», უაღრესად ინდივიდუალურიც და ანონიმურიც; ხელოვნება — შემოსილი ვერბალური და, გნებავთ, ლიტერატურული ასოციაციების უხილავი აპკით.

მთავარია, არ გაურბოდე «ძველმოდურ» მხატვრულ სახეს, როგორც ესთეტიკურ ხატს, რომელიც მუდამ «რაღაცის» შესახებ მოგვითხრობს, «რაღაცის» გამო გველაპარაკება; და ესაა თავისებური მოლაპარაკებაც; კონვენცია და კონვერსიაც... არა მხოლოდ ესთეტიკური თანხმობა, არამედ კულტურული შეთანხმებაც, რომ ყოველივე, რასაც მხატვარი წარმოგვიდგენს, ონტოლოგიურ სიცარიელეში

აღმოჩენილი ადამიანის დრამაა; დრამაც და ტრაგიფარსიც...

ამასთან, ჩვენს წინაშე ხელახლა დგება ამ «სიცარიელიდან» თავის დაღწევის და «საგანგებო» მარადისობისკენ გასაჭრელ ახალ გზათა მოძიების ამოცანა, თუნდაც, დილემა, მარადიულსა და მოკვდავს შორის უზარმაზარი ყოფიერებითი განსხვავების კვალობაზე, მათი დიალოგური პარტნიორობის ახალსავე პრინციპებს რომ გვკარნახობს;

და ესაა დიალოგი, ისევ და ისევ, ღმერთსა და ადამიანს შორის, ოღონდ, დიალოგი — გადატანილი ექსისტენციალურ სფეროში; დიალოგი — ორი შემხვედრი «შენ»-ის ანუ შესაძლებლობისა და აუცილებლობის სფეროში.

დიახ, მხატვარი ის «ამბიციური» სუბიექტია, რომელსაც შეუძლია «შენ»-ობით მიმართოს ღმერთს, როგორც ტრანსკონფესიურ უზენაესს...

«ღამე», რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, მარტოოდენ «გამოცხადებას მოკლებული ღამე» კი არა, მოლოდინის ღამეცაა...

და მარტინ ბუბერისავე ონტოლოგიური მეტაფორით, მან იცის ადგილი, სადაც შეიძლება მოხდეს ეს გამოცხადება.

ეს ადგილი ჩვენი ერთობაა...
ერთობა და კომუნიკაცია;
კომუნიკაცია და სოლიდარობა;
სოლიდარობა და ირონია;
ირონია და შემთხვევითობა;

ასე რომ, მოდელი: კომუნიკაციური გონი VS სუბიექტ-ცენტრირებული გონი ამ «შემთხვევაშიც», ავტოთემატიზაციის რეჟიმში «მუშაობს»...

«სხვა ამბავია», რომ მხატვარი გაუთავებლად წარმოგვიდგენს პერსპექტივათა მონაცვლეობას; ცხოვრების სცენას ხშირად ა ტერგო ანუ «ზურგიდან» გვიჩვენებს...

და ესაა პერსპექტივა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული სუბიექტებისა, საკუთარ ცხოვრებას წინარერეფლექსიურ დონეზე რომ განიხილავენ და თვითიდენტობის რეპრეზენტაციასაც ამგვარადვე ავლენენ.

აი, კონტრდისკურსი, იმთავითვე რომ ახასიათებდა მოდერნს, როგორც დაუსრულებელ პროექტს.

მაგრამ, მოდერნული კულტურა, არნოლდ გელენისა არ იყოს, მაინც «კრისტალიზებული» კულტურაა, თუმცა, ეს კრისტალიზაცია, მით უფრო პარადოქსულად გამოვლინდა ისეთ დინამიურ და «ჭრელ» სფეროში, როგორიც მოდერნის ფერწერაა.

ასეა თუ ისე, «გამოცხადებას მოკლებული ღამე» ანუ პოსტისტორიული თანამედროვეობა გრძელდება, ხოლო ის, ჯერჯერობით უადგილო ადგილი, როგორც ახალი, საერთო გამოცხადების უტოპიური აჩრდილიც, კვლავინდებურად «უსახლკარობის» ანუ ონტოლოგიური სიცარიელის განცდით «გვავსებს» (სიც).

მთავარი ისაა, რომ მხატვარი ჯიუტად განაგრძობს «ღამის გადაღებებს»...

«რეალონტოლოგისტი» მხატვარი გამუდმებით ითვალისწინებს ამ «ღამის» არსებობას და მერაბ

მამარდაშვილისა არ იყოს, თითოეულ ჩვენგანს მოუწოდებს, «გაბედოს... იყოს»;

ოღონდ, სანამ «სხვას» მოუწოდებდე გაბედოს, რათა «იყოს», თავადვე უნდა გქონდეს ეს ონტოლოგიური გაბედულება.

დღეს რისკიანი არტისტი, სანამ დახატავდეს, მანამდე ითვალისწინებს თავის უმთავრეს კულტუროსოფიურ განწყობას, ცივილიზაციათა შეჯახებით რომ უნდა გამოხატოს; ანუ იმ უნივერსალური «ავარიით» (თუ ავარიათა «ჯაჭვით»), მხატვარმა თავისი თემატურ-ათემატურის ზღვარზე მყოფი პარასურათების ონტოტექსტუალურ ნარატივად რომ აქცია.

დასახელებისა და დაუსახელებლობის, სათაურისა და უსათაურობის, თავმობმისა და თავმოუბმელობის, «სახლკარისა» და «უსახლკარობის» ზღვარზე მყოფი მეტამთხრობელობის «სტილად» ქცეული დისკურსი (სწორედაც დის-კურსი!) უწინარეს ყოვლისა, იმით იწვევს პირადად ჩემს იმპონირებას, რომ ის საკუთრივ, ამ «სტილის» ნეიტრალიზებას მიმართავს; და ამ გაბედული და გართულებული «ნეიტრალიზებითვე» გვიადვილებს ონტოთემატური ნარატივის, როგორც სიუჟეტის, უშუალო აღქმას...

მხატვარი კოლორისტულ სფეროშიც, «ჭუჭყიანი» ქრომატული დომინანტით, ერთი შეხედვით «უსახური» ფაქტურით თუ «გამომშრალი» ტექსტურითაც კი, მით უფრო ინტენსიურად ჩაგვაგონებს მის მიერ აღქმული (და აღთქმული) მეტარეალობის მთელ კატასტროფულ «ზედაპირულობასაც» და «სიღრმულობასაც»... თუნდაც, იმ ხდომილებრივ უსასრულობას, ტრანსფორმებით მოწოდებული «სინამდვილის» აგრესიული ნაფლეთებით

რომ გვილიბრავს თვალს — პარალაქსული ხედვისაკენ — «გარღვეული ცნობიერების» ამ მეკავშირისაკენ რომ წარმართავს ჩვენს პერცეპტუალურ ინტენციას და «ცენტრალური» წესრიგის კოპირებით კი არ წარმოგვიდგენს ამ ფანტაზმატურ სინამდვილეს, არამედ ავტოხტონურ რეჟიმში გვიხატავს; გვიხატავს, როგორც თვითკონფიგურირების უნარმქონე მეტარეალობას, თავისი გაუწონასწორებლობით რომ იტაცებს გაწაფულ თვალს...

ამგვარ პარასურათების მონაწილე — «ხალხი» კი არა «პუბლიკაა»; პუბლიკა ანუ ხალხის, როგორც მაკროსოციალური კვაზისუბიექტის — «უსუბიექტო სუბიექტის» ეს სუბსტიტუტი.

პუბლიკა საკუთარი თავის მაყურებელიცაა; ავტოკომუნიკატორი...

და ამაშიც აცენტიზმი გამოსჭვივის — პრიორიტეტული ზონები გაუქმებულია: ფუკოსეული «ძალაუფლება ტახტის გარეშე» «ყველგან და ყოველმხრივ» (გად)მოგვეცემა...

მხატვრობა (და არა მხატვარი) იმპლიციტურად სვამს კითხვებს თვით ადამიანის სიღრმის ანდა ადამიანის, როგორც სიღრმის შესახებ; ესაა ძიება იმ ფარული და «პირდაპირ» ვერაღქმული რეალობისა, თავის მხრივ, უშუალო და პირდაპირ აღქმული (ინტო)რეალობის სკანდალურ ტექსტებს რომ ედება საფუძვლად; ვიზუალურ ტექსტებს, თავისი (სინ)ენერგეტიკული ველით; თუნდაც, იმ სოციალური ენერგიით, დღემდე რომ განსაზღვრავს ამ არტისტული ნატურის სტატუს-კვოს.

ახლა მხატვრობა თავისებური მოგონებაცაა ფერწერაზე; ფერ-წერის მუდმივი გახსენება; ფერწერის როგორც დისკურსის პროვოცირება.

ამასთან, ფერწერა და ფერწერული რეპრეზენტაცია მისთვის ძალაუფლების ან/თუ ხელის-უფლების წყაროს ლატენტური მეტაფორაცაა.

ეს უკვე აქტუალური დისკურსის თემაა; ანუ ფერწერის, როგორც სიამოვნების წყაროს თემა...

თავის დროზე გაიომ აპოლინერმა შეაქო კუბისტები იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს ფერწერით სიამოვნებაზე და უფრო «ამაღლებულ» სიამოვნებას — წმინდა გეომეტრიზმით სიამოვნებას მიჰყვეს ხელი.

საქმეც ისაა, რომ არა მხოლოდ შენ უნდა მიიღო სიამოვნება — მხატვარმა, არამედ «სხვასაც» მიანიჭო იგი.

არადა, რა ძნელია ამ «სხვის» გათვალისწინება!

საერთოდ, ძალაუფლებისადმი, როგორც სიამოვნების წყაროსადმი ინტერესი, პლებეური მსოფლაღქმისთვის დამახასიათებლად ითვლება.

აი, საკუთარი ძალაუფლებისადმი ინტერესის აღძვრა და სამყაროსათვის «მიძღვნა» კი, არისტოკრატიული ნატურის თვისებაა.

სიამოვნების «მიტაცება» ყოველი ჩვენთაგანისთვის კარგად ნაცნობი «რევოლუციური» დისკურსია.

სიამოვნებისგან თავშეკავება კი, თანაც, მომავალ სიამოვნებათა სახელით — თვითუარყოფას მოასწავებს, თუნდაც, მსხვერპლშეწირვას...

მაგალითად, კაბაკოვისათვის ფერწერა — საბჭოურ «ხუდფონდში» მონური შრომის სიმბოლოა, ამგვარი ფერწერის სასაქონლო ნიშანი კი, ა. მელამიდის გამოთქმით, «უტიფარი მონასმია» («Хамский мазок»).

ამგვარი «მონასმი» მოდაში აღარაა;

და კუხალაც, მითუმეტეს გაურბის...

მას აღარც «სახელდახელო» ფერწერა იზიდავს, ბლიც-ფერწერა...

დღეს იგი საკუთრივ ფერწერით, თანაც «დაუშაქრავი ფერწერით» სიამოვნებას იხანგრძლივებს; უსასრულოდ იხანგრძლივებს... და ამ უსასრულობას თვით ადამიანური ყოფიერების უსასრულობასთან, პრინციპულ დაუბოლოებლობასთან და არაფინალობასთან რითმავს.

მხატვარს სადღეისოდ მით უფრო უფრო სწყურია სასწაული; მით უფრო იზიდავს ძილისა და ღვიძილის, მოთენთილობისა და დაძაბულობის რიტმები; თვითიდენტიფიკაციისა და გაუცხოების «ახალწვეული» ინტენციები, «თავის დროზე», «თავის ადგილზე», «თავის კანში», «თავის ტანში» მოხვედრის სიამოვნებანი...

ყველაფერი ეს — ფერწერისგან ახალ, პერფორმატიულ ძალისხმევას მოითხოვს; რათა მის თავს, მუდმივად რაღაც «ნამდვილი» ხდებოდეს...

ხდებოდეს და გარდა-ხდებოდეს...

სხვაგვარად, შენი სურათების მნახველის ინიციაციას ვერ შეძლებ; სხვანაირად, მაყურებელი ინკლუზიური ვერ გახდება შენს სამყაროში...

ასეა, თანამედროვე ხელოვნება შინაგანი სხეულის «სხვა» კონვერსივს თხოულობს!

ამიტომაცაა, რომ ახლა (სულ – ახლა, ახლა!) არტისტული «ნახევარფაბრიკატიც» კი, გაცილებით ცოცხალია, შინაგანად მფეთქავი და პულსირებადი, ვიდრე მავანთა «ბოლომდე მიყვანილი» არტეფაქტები...

ასეთი არტისტული რეციდივიც მით უფრო ფასობს და მისი ოპუსების ნონ-ფინიტო-ც ამიტომ მესახება ფერწერის, როგორც დაუსრულებელი პროექტის ემანაციად.

ბინდდება...

გამოუცხადებელი ღამის გადაღებები გრძელდება...

კამერა!!!

[1] იოშინოია (იაპ. 吉野家) – იაპონიაში გავრცელებული სწრაფი კვების რესტორნების ქსელი, რომელიც დაარსდა 1899 წელს ქალაქ ტოკიოში.

[2] პაჩინკო (იაპ. パチンコ) – სათამაშო აპარატები იაპონიაში. აპარატი მუშაობს პინბოლის მსგავსი პრინციპით და იძლევა თანხის მოგების საშუალებას. იმის გათვალისწინებით, რომ იაპონიაში აზარტული თამაშები და კაზინოები კანონით არის აკრძალული, პაჩინკო ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს.

[3] კონსტიტუციის მეცხრე მუხლი – იაპონიის კონსტიტუციის მუხლი, რომლის თანახმადაც იაპონია უარს ამბობს ომზე, როგორც საერთაშორისო დავების მოგვარების საშუალებაზე. ამავე მუხლით იაპონია უარს ამბობს იყოლიოს მუქმივმოქმედი ჯარი.

[4] ვატანაბე (იაპ. 渡辺) – იაპონიაში მეხუთე ყველაზე გავრცელებული გვარი.

[5] ოდენი (იაპ. おでん) – იაპონიაში გავრცელებული ზამთრის კერძი, რომელიც მზადდება ბოსტნეულისგან და ტრადიციულ იაპონურ ბულიონზე («დაში»).

[6] კასისი (ფრან. Crème De Casis) – ფრანგული მუქი წითელი ფერის ლიქიორი, რომელიც მზადდება შავი მოცხარისგან.

[7] პავლონია – ხის სახეობა, რომელიც გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში. ძირითადად ჩინეთში და ლაოსში. დიდი პოპულარობით სარგებლობს იაპონიასა და კორეაში.

[8] ჰეისეი (იაპ. 平成) – პერიოდი, ეპოქა იაპონიაში. ჰეისეის პერიოდი იაპონიაში დაიწყო 1989 წლის 8 იანვარს, მას შემდეგ რაც იმპერატორი აკიჰიტო ავიდა ტახტზე. ყოველი

იმპერატორის გარდაცვალების და ახალი იმპერატორის ტახტზე ასვლის შემდეგ ქვეყანაში იწყება ახალი პერიდი, ახალი ეპოქა, რაც ზეგავლენას ახდენს ქვეყნის წელთაღრიცხვის სისტემაზე. იაპონიაში დღეს არის ჰეისეის 28 წელი ანუ 28 წელი მას შემდეგ, რაც იმპერატორი აკიჰიტო ავიდა ტახტზე.

[9] მაილების დაგროვების ბარათი – მსოფლიო ავიაკომპანიების ერთგვარი საბონუსე სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მგზავრს, იქონიოს სპეციალური საწევრო ბარათი, რომელზეც ყოველი ფრენის შემდეგ ირიცხება ქულების გარკვეული რაოდენობა. დაგროვილი ქულები საშუალებას აძლევს კლიენტს, მიიღოს ფასდაკლება მომდევნო ფრენაზე ან პროგრამით გათვალისწინებული სხვა საჩუქარი.

[10] უმებოში (იაპ. 梅干) – იაპონური საჭმლის სახეობა. დამარილებული, დამჟავებული ქლიავი.